

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საქართველოს გეოგრაფია

GEOGRAPHY OF GEORGIA

№ 11, 2021

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი
Interdisciplinary scientific Journal



უნივერსიტეტის
გამოცემა

მთავარი რედაქტორი პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი

Editor-in-Chief Prof. DSc. Nodar Elizbarashvili

სარედაქციო საბჭო:

ასოც. პროფ. გიორგი მელაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გელა სანდოძე – პასუხისმგებელი მდივანი
პროფ. ზურაბ სეფერტელაძე
პროფ. ლია მაჭავარიანი
პროფ. დავით კერესელიძე
პროფ. იოსებ სალუქვაძე
პროფ. გიორგი გოგსაძე
პროფ. ზურაბ დავითაშვილი
პროფ. ბექან თუთბერიძე
პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი
გეოგრაფიის დოქტორი მანანა რატიანი
პროფ. არნოლდ გეგეჩკორი
ბიოლოგიის დოქტ. ნუგზარ ზაზანაშვილი
პროფ. ჯაბა სამუშია
ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე
ასოც. პროფ. ბესიკ კალანდაძე
გეოგრაფიის დოქტორი ნოდარ წივწივაძე
ასოც. პროფ. დალი მიქაუტაძე
გეოგრაფიის დოქტ. გიორგი დვალაშვილი

საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია:

ასოც. პროფ. მარინე ელბაკიძე, სკინს კატენბერგი, შვედეთი
აკად. რამიზ მამადოვი, ბაქო, აზერბაიჯანი
პროფ. აშოტ ხოეციანი, ერევანი, სომხეთი
პროფ. რანა სინგხი, ვარანასი, ინდოეთი
გეოგრაფიის დოქტორი ჰეინო მეესენი, ბერნი, შვეიცარია
პროფ. ვოლკერ რედელიფი, ვისკონსინი, აშშ
პროფ. რეციპე ეფე, ბალიკესირი, თურქეთი
პროფ. ლიუდმილა ნიემეცი, ხარკოვი, უკრაინა

Editorial Board:

Assoc. Prof. Dr. Giorgi Meladze (Deputy Editor-in-Chief)
Assoc. Prof. Dr. Tengiz Gordeziani (Deputy Editor-in-Chief)
Gela Sandodze – Executive Secretary
Prof. DSc. Zurab Sepherteladze
Prof. DSc Lia Machavariani
Prof. DSc. David Kereselidze
Prof. Dr. Ioseb Salukvadze
Prof. Dr. Giorgi Gogsadze
Prof. DSc. Zurab Davitashvili
Prof. DSc. Bezhan Tutberidze
Prof. DSc. Elguja Mekvabishvili
Dr. Manana Ratiani
Prof. Arnold Gegechkori
Dr. Nugzar Zazanashvili
Prof. DSc. Jaba Samushia
Assoc. Prof. Dr. Vazha Trapaidze
Assoc. Prof. Dr. Besik Kalandadze
Dr. Nodar Tsvitsivadze
Assoc. Prof. Dr. Dali Mikautadze
Dr. Giorgi Dvalashvil

International Editorial Board:

Assoc. Prof. Marine Elbakidze, SkinsKattenberg, Sweden
Acad. Ramiz Mammadov, Baku, Azerbaijan
Prof. Ashot Khoetsian, Yerevan, Armenia
Prof. Rana Singh, Varanasi, India
Heino Meessen, PhD in Geography, Bern, Switzerland
Prof. Walker Redeloff, Wisconsin, USA
Prof. Recipe Efe, Balikesir, Turkey
Prof. DSc. Lyudmila Nyemets, kharkiv, Ukraine

ვებგვერდი: <http://geographyge.tsu.ge/>
ელ. ფოსტა: meladzeg@gmail.com
gela.sandodze@gmail.com

სარჩევი

ნოდარ ელიზბარაშვილი. ინტეგრაციული გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი	5
Nodar Elizbarashvili. Some Topical Issues of Integrative Geography	5
გიორგი მელაძე. საქართველო შობადობის გლობალური პროცესების ფონზე	16
Giorgi Meladze. Georgia at the background of the global fertility processes	16
ჯემალ ძაძუა (+), არქეოლოგიური ტურიზმის არსი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში	31
Jemal Dzadzua (+). The essence of archaeological tourism and its development Perspectives in Georgia.....	31
მაია ხეჩიკაშვილი, ინეზა ვაწაძე. ვაზის კულტურის გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებები და ღვინის ტურიზმი საქართველოში	37
Maia Khechikashvili, Ineza Vatsadze. Vine Culture Spread Geographical Features And Of wine Tourism in Georgia	38
გელა სანდოძე. საავტომობილო გზების მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება.....	49
Gela Sandodze. Environmental Impact Assessment of Road Construction	49
სანდრო გოგოლაძე. ტურისტული პოტენციალის ტრანსდისციპლინური შეფასება (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)	55
Sandro Gogoladze. Transdisciplinary Assessment of Tourism Potential (On the Example of Ambrolauri Municipality).....	55
ლადო გრიგოლია, სულიკო ძაგნიძე. სამეგრელო-ზემო სვანეთის ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიული თავისებურებები, ეკონომიკური პოტენციალი და გამოწვევები	62
Lado grigolia, Suliko Dzagnidze. Geographical features, economic potential and challenges of natural resources in Samegrelo-Zemo Svaneti region.....	62
მირანდა გურგენიძე. საქართველოს სამკურნალო მცენარეების გეოგრაფიული თავისებურებანი და ეკონომიკური მნიშვნელობა	71
Miranda Gurgenidze. Economic Significance and Geographical Features of Medicinal Plants in Georgia	71
ირინე ჯავახიშვილი. ევროპის ლანდშაფტური კონვენცია და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა ქართულ კანონმდებლობაში	80
Irine Javakhishvili. European Landscape Convention and Its Legal Provision in Georgian Legislation	80
გვანცა მოსიძე. გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) – არსი და განვითარების პერსპექტივები	90
Gvantsa Mosidze. Geographical Archaeology (Geoarchaeology) – The Essence and Perspectives of Development.....	90
ანა ჩართოლანი. მთიანი რეგიონების პრობლემატიკა და საერთაშორისო ორგანიზაციები	96
Ana Chartolani. Problems of Mountainous Regions and International Organizations	96

რედაქტორის გვერდი

ინტეგრაციული გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის გამგე,
თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალის
„საქართველოს გეოგრაფია“ მთავარი რედაქტორი
nodar.elizbarashvili@tsu.ge

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ინტეგრაციული გეოგრაფიის არსი და მისი მნიშვნელობა გეოგრაფიული მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკისთვის. დახასიათებულია ინტეგრაციული გეოგრაფიის ისეთი მიმართულებები, რომელთა განვითარება საქართველოში კიდევ უფრო გაზრდის გეოგრაფიული მეცნიერების გამოყენებით მნიშვნელობას. მათ მიეკუთვნება სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ (ლანდშაფტმცოდნეობის ნაწილი), გეოეკოლოგიური ექსპერტიზა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გეოგრაფიული ეკოლოგიის ნაწილი), გეოგრაფიული არქეოლოგია და ეკოლოგიური კულტურა (ისტორიული გეოგრაფიის ნაწილი), ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება (ლანდშაფტური დაგეგმარების ნაწილი), ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და დაგეგმარება (რეკრეაციული გეოგრაფიის ნაწილი).

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ინტეგრაციული გეოგრაფია, ლანდშაფტმცოდნეობა, კომპლექსური ანალიზი.

SOME TOPICAL ISSUES OF INTEGRATIVE GEOGRAPHY

Professor, DSc. Nodar Elizbarashvili

Iv.Javakhishvili Tbilisi State University,

Head of the Department of Regional Geography and Landscape Planning,

Editor-in-Chief of TSU Interdisciplinary Scientific Journal „Geography of Georgia“

nodar.elizbarashvili@tsu.ge

Annotation

The article discusses the essence of integrative geography and its importance for the theory and practice of geographical science. Areas of integration geography are characterized, the development of which will further increase the importance of using geographical science in Georgia. These include Cultural Landscape Studies (Part of Landscape Studies), Geoeological Expertise and Environmental Impact Assessment (Part of Geographical Ecology), Geographical Archeology and Ecological Culture (Part of Historical Geography), Landscape Management and Landscape Services (Part of Landscape Planning), assessment and planning of tourist-recreational resources (part of recreational geography).

Keywords: Georgia, Integrative Geography, Landscape Studies, Complex Analysis.

1. ინტეგრაციული გეოგრაფიის არსი და მნიშვნელობა

ინტეგრაციული გეოგრაფია გეოგრაფიის მესამე ძირითადი განშტოებაა, რომლის განვითარების ისტორია ერთ საუკუნეს ითვლის. იგი მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ სკოლებში ასევე ცნობილია, როგორც საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფია, სინთეზური გეოგრაფია, ერთიანი გეოგრაფია, რეგიონული გეოგრაფია, ფიზიკური ანთროპოგეოგრაფია, გარემოს გეოგრაფია ან ადამიანის გეოგრაფია. თუმცა მის შინაარსს არსებითად სწორედ ტერმინი – ინტეგრაციული – წარმოაჩენს. ამრიგად, ინტეგრაციული გეოგრაფია სწავლობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სივრცე-დროით თავისებურებებს და კანონზომიერებებს. ინტეგრაციულ გეოგრაფიაში თანაბარმნიშვნელოვნად განიხილება გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე საზოგადოებრივი და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი პროცესები (ან პირიქით). ინტეგრაციული გეოგრაფია თანამედროვე გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ასპარეზია, რაც მის აქტუალობას, უდიდეს გამოყენებით დანიშნულებას და განვითარების პერსპექტივებს უკავშირდება.

ინტეგრაციული გეოგრაფია შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან: ქვეყანათმცოდნეობა, გეოგრაფიული ეკოლოგია (გეოეკოლოგია), ისტორიული გეოგრაფია, რეკრეაციული გეოგრაფია, სამხედრო გეოგრაფია, სამედიცინო გეოგრაფია, მსოფლიო ოკეანის გეოგრაფია, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება და სხვ. მათი მიზნები და ამოცანები განხილულია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში „გეოგრაფიის საფუძვლები“ (ნ. ელიზბარაშვილი, 2008 – 2017 წ.).

ინტეგრაციული გეოგრაფიის მკაფიო მაგალითია ლანდშაფტმცოდნეობა და გეოგრაფიული კარტოგრაფია. ორივე მათგანი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და სინთეზურ ხედვას. თუმცა, საქართველოში ლანდშაფტმცოდნეობა

კვლავ რჩება რუსული გეოგრაფიული სკოლის გავლენის ქვეშ და ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილად მოიაზრება. ამგვარი მიდგომა აზარალებას ლანდშაფტმცოდნეობის მნიშვნელობას და ხელს უშლის ისეთი „დასავლური“ მიმართულებების განვითარებას, როგორცაა ლანდშაფტური დეგეგმარება, ლანდშაფტის მომსახურება და ლანდშაფტის მართვა, ლანდშაფტების პერცეფცია, კულტურული და ისტორიული ლანდშაფტების კვლევა, ლანდშაფტური რეკრეაცია და სხვ.

კავკასიის რეგიონში თუ საქართველოში მიმდინარე გეოპოლიტიკური, ეკოლოგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ქართული გეოგრაფიული სკოლის განვითარების პერსპექტივების ახლებურ გააზრებას საჭიროებს. თეორიულ გამოკვლევებთან ერთად, რაც მეცნიერების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, სასურველია გამოყენებითი გეოგრაფიული მიმართულებების სწრაფი განვითარება და პოპულარიზაცია, გეოინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო დანერგვა სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, გეოგრაფიული კვლევის ევროპული გამოცდილების გათავისება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება, ინტეგრაციული გეოგრაფიის მნიშვნელობის წარმოჩენა და გეოგრაფიის სხვადასხვა მიმართულების ფოკუსირება ურთიერთდაკავშირებული თემების კომპლექსურ შესწავლასა და გადაწყვეტაზე. დღის წესრიგში დგება ისეთი საკითხების კვლევა, რაც წარმოაჩენს გეოგრაფიული განათლების და მეცნიერების უდიდეს მნიშვნელობას მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში. არადა, საქართველოში უკანასკნელ ათწლეულებში გეოგრაფია სულ უფრო კარგავს მის ასპარეზს, კნინდება სასკოლო გეოგრაფიის მნიშვნელობა, ჩნდება მდარე ხარისხის სასკოლო სახელმძღვანელოები, ასპარეზზე გამოდის გაურკვეველი კვლევის ობიექტები და მიდგომები, იკარგება კავშირი საშუალო სკოლას, უმაღლეს სკოლასა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის.

ქართულ გეოგრაფიულ სკოლას, ისე, როგორც არასდროს, ესაჭიროება ყურადღების გამახვილება მთიანი ტერიტორიების პრობლემატიკაზე და მასში სხვადასხვა, ანალოგიური თემატიკით დაინტერესებული სამეცნიერო თუ პრაქტიკული ორგანიზაციების ჩაბმის აუცილებლობაზე. უკანასკნელ წლებში, ქართველ გეოგრაფთა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აქტიურობის შემცირებასთან ერთად, შეინიშნება სამეცნიერო აქტივიზაცია კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო-გეოგრაფიულ წრეებში მთიანი ტერიტორიების პრობლემატიკაზე. ამგვარი ვითარება დამღუპველად იმოქმედებს ქართული გეოგრაფიული სკოლის ავტორიტეტზე და განვითარებაზე. აღნიშნულ ვითარებას ამწვავებს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ გეოგრაფიულ სკოლას გამოაკლდა რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი, რომლებსაც კარგად იცნობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და რომლებიც სამართლიანად ითვლებოდნენ მთიანი ტერიტორიების ექსპერტებად დემოგეოგრაფიის, გეოეკოლოგიის და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევების სფეროში.

თანამედროვე გეოგრაფია დაკავებულია გეოგრაფიული გარემოს როგორც შეფასებით, ისე მისი განვითარების მოდელირებით და პროგნოზირებით. მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო წრეებში მეტად პოპულარულმა გლობალურმა მოდელირებამ, რაც ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის 80-იან წლებიდან, თანდათანობითი „გეოგრაფიზაცია“ და რეგიონალიზაცია განიცადა. ამგვარი ვითარება განაპირობა იმან, რომ ნებისმიერი გლობალური თუ რეგიონული პრობლემა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვ.). შესაძლებელია გაანილიზდეს გეოგრაფიული ანუ რეგიონული თუ ლოკალური მოვლენების ანალიზის და შეჯერების გზით. ამის გამო, არაერთი სახის გლობალური პრობლემის მოდელირება და პროგნოზირება შეუძლებელია ინტეგრაციული მიდგომის, კომ-

პლექსური ანალიზისა და სინთეზის გარეშე. გარდა ამისა, ერთიანი გეოგრაფიისაკენ, გეოგრაფიულ დისციპლინათა ინტეგრაციისაკენ სწრაფვა დარგობრივ გეოგრაფიულ მიმართულებათა განვითარების „არაგეოგრაფიული“ ტენდენციებით, ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენული ტრანსფორმაციის მასშტაბების და გარემოზე ზემოქმედების შედეგთა შეფასების და პროგნოზირების აუცილებლობითაა განსაზღვრული. როგორც აღნიშნავდა გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი (1947-2006), კომპლექსური ფიზიკურ- და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევანი გეოგრაფიის ძირითად ამოცანად, სოციალურ შეკვეთად გვევლინება (Беручашвили, Жучкова, 1997). და მართლაც, გეოგრაფიის ეფექტურობა და გამოყენებითი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ინტეგრაციული და კომპლექსურია სივრცე-დროითი კვლევა, რაც უფრო მეტი გეოგრაფიული მოვლენა და პროცესი განიხილება მიზეზ-შედეგობრივ კავშირში და რაც უფრო სრულყოფილია მათი პროგნოზირება.

ნებისმიერი ბუნებათსარგებლობითი ხასიათის პროექტი ბუნებრივი ფაქტორებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზს და ერთიან გეოგრაფიულ შეფასებას და ექსპერტიზას საჭიროებს. რაციონალური ბუნებათსარგებლობის კონცეპტუალური საფუძვლების შექმნაზე ძირითადი პრეტენზია კი ორ სამეცნიერო მიმართულებას შეიძლება ჰქონდეს: ეკოლოგიას და ინტეგრაციულ გეოგრაფიას. ინტეგრაციული გეოგრაფიის მომხრეთა უმრავლესობა კვლევის ობიექტად განიხილავს როგორც გეოგრაფიულ გარსში (გლობალური თვალსაზრისი), ისე სხვადასხვა რანგისა (მდინარეთა აუზები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები, ლანდშაფტები) და შედეგნილობის ტერიტორიულ კომპლექსში ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სივრცე-დროით თავისებურებათა შესწავლას. დასავლეთის არაერთ ქვეყანაში (აშშ, დი-

დი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ბელგია და სხვ.) გეოგრაფია ერთიან მეცნიერებად განიხილება, თუმცა აქ არსებითი აქცენტი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზსა და პროგნოზირებაზეა გადატანილი.

2. ინტეგრაციული გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

ინტეგრაციული გეოგრაფიის არაერთი მიმართულება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მათ შორისაა სამედიცინო გეოგრაფია, რეკრეაციული გეოგრაფია, სამხედრო გეოგრაფია და სხვ. გარდა ამისა, იკვეთება რამდენიმე ახალი მიმართულება, რომელთა განვითარება საქართველოში კიდევ უფრო გაზრდის გეოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელობას. მათ მიეკუთვნება სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ (ლანდშაფტმცოდნეობის ნაწილი), გეოეკოლოგიური ექსპერტიზა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გეოგრაფიული ეკოლოგიის ნაწილი), გეოგრაფიული არქეოლოგია და ეკოლოგიური კულტურა (ისტორიული გეოგრაფიის ნაწილი), ლანდშაფტის მართვა და ლანდშაფტის მომსახურება (ლანდშაფტური დაგეგმარების ნაწილი), ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და დაგეგმარება (რეკრეაციული გეოგრაფიის ნაწილი). ცალკეული მიმართულებების შესახებ საუბარია ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა პუბლიკაციაში (ნ. ელიზბარაშვილი, 2017, 2018, 2019). ამჯერად კი შევეხებით იმ ახალ და საინტერესო მიმართულებებს, რომელთა კვლევაში აქტიურად და წარმატებულად არიან ჩართულნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული (ინტეგრაციული) გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

2.1. სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ – კულტურული ლანდშაფტი წარმოადგენს ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი (ისტორიული) და ჰარმონიული ურთიერთდა-

მოკიდებულების შედეგს. იგი სამართლიანად მიიჩნევა ნაციონალური მემკვიდრეობის არსებით ნაწილად, რადგან მასში კარგად აისახება ადგილობრივი კულტურა და იდენტობა. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, ისე ტრადიციულ სამეურნეო ან სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას.

კულტურული ლანდშაფტი მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია, იგი ყველას ეკუთვნის. მას შეიძლება ეწოდოს ჩვენი და ბუნების თანაცხოვრების სარკე. მისი მემკვიდრეობით შესაძლებელია, წარმოდგენა ვიქონიოთ ლანდშაფტის პოტენციალზე და ეკოლოგიურ თავისებურებებზე, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებზე. კულტურული ლანდშაფტის დაცვა ნაციონალური იდენტურობის, ეროვნული ღირსების შენარჩუნების წინაპირობაა. მასზე ზრუნვა და მისი სწორი აღქმა გააუმჯობესებს მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხს და გააღრმავებს მათ პატრიოტულ მოტივაციას.

კულტურულ ლანდშაფტებს იცავს 1992 წელს მიღებული მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, რომლის მიხედვით, კულტურული ლანდშაფტების დაცვას შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზებას, ერთდროულად შეინარჩუნოს ან გააუმჯობესოს ლანდშაფტის ბუნებრივი (ბიოლოგიური მრავალფეროვნება) და ისტორიული-კულტურული ღირებულება.

კულტურული ლანდშაფტის, როგორც ტერმინის ფორმირება, უკავშირდება ევროპაში პეიზაჟური ფერწერის განვითარებას. ეს პროცესი მე-16 საუკუნიდან ანუ მაშინ იწყება, როცა მხატვრობაში პოპულარული გახდა გარემოს ცალკეული მონაკვეთების, დედამიწის ფორმების ან ეფექტური პეიზაჟების ასახვა. ამავდროულად ეკუთვნის ევროპაში გერმანული ტერმინის „ლანდშაფტის“ გავრცელება.

ტერმინი „კულტურული ლანდშაფტი“ სამეცნიერო ლიტერატურაში (გერმანული სკოლა) მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ამ-

რიგად, ტერმინის – კულტურული ლანდშაფტი – ისტორია ერთ საუკუნეს ითვლის, თუმცა მისი აქტიური განხილვა 1992 წლიდან, რიოს ისტორიული კონფერენციის შემდეგ დაიწყო.

სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ (ე.წ. პეიზაჟური მეცნიერება) ფორმირებას მე-20 საუკუნის დასაწყისში იწყებს, რასაც გერმანელ გეოგრაფს ოტო შლუტერს მიაკუთვნებენ. იგი გეოგრაფიულ გარემოს ორი სახით: ბუნებრივი ანუ ორიგინალური (ადამიანის ჩარევის გარეშე) და კულტურული ლანდშაფტების კრებადობის სახით განიხილავდა. მისივე აზრით, გეოგრაფიის ძირითად ამოცანას ბუნებრივი ლანდშაფტის კულტურულ ლანდშაფტად გარდაქმნის პროცესის შესწავლა წარმოადგენდა.

ამ მიმართულების მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ:

1. კულტურული ლანდშაფტი განვითარებულია მის ბუნებრივ ფუნდამენტზე;

2. ინარჩუნებს ძირითად გეოგრაფიულ ელემენტებს (რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, კლიმატი, წყლები, ნიადაგი, განსახლება, კომუნიკაციები და სხვ.);

3. ძირითადად (არსებითად) „ემორჩილება“ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებს.

თავდაპირველად კულტურულ ლანდშაფტად მოიაზრებოდა როგორც პეიზაჟი, რომელსაც გააჩნდა მაღალი ესთეტიკური და ფუნქციონალური მახასიათებლები, წარმოადგენდა ადამიანთა ან ეთნოსის საცხოვრებელ გარემოს, რომლის ფორმირებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ სულიერი და მატერიალური ფასეულობები. ცალკეული განმარტებით, კულტურული ლანდშაფტი ამა თუ იმ ადგილზე მცხოვრები ადამიანების ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის პროდუქტია; ბუნების და საზოგადოების მიერ ინიცირებული და ურთიერთდაკავშირებული პროცესების შედეგია.

არსებობს კულტურული ლანდშაფტის განსაზღვრის სხვადასხვაგვარი მიდგომა (ხედვა),

რომელიც ითვალისწინებს მის ისტორიულ, ეკოლოგიურ, აგრარულ, ეთნოკულტურულ და სხვა ღირებულებებს. მათ შორის ძირითადია:

- **ურბანული** ღირებულებების მიხედვით – ითვალისწინებს დასახლებული ლანდშაფტის ისტორიულ ღირებულებას;
- **ეკოლოგიური** ღირებულებების მიხედვით – ითვალისწინებს ლანდშაფტის გარემოსდაცვით, რეკრეაციულ და გარემოსაღმდგენ ღირებულებას;
- **რელიგიური** ღირებულებების მიხედვით – ითვალისწინებს ლანდშაფტის რელიგიურ ღირებულებას და სტატუსს, მაგალითად, სამონასტრო კომპლექსი, ნათლობის ადგილი და სხვ.;
- **ტრადიციული და ეთნოკულტურული** ღირებულებების მიხედვით – ამგვარი შეიძლება იყოს ისტორიული ძეგლი, ისტორიული შენობა, არქეოლოგიური ძეგლი, ისტორიული ბრძოლის ადგილი, ეთნოკულტურული სივრცე, ლეგენდები, ისტორიული სამრეწველო ან ინდუსტრიული რაიონები, ისტორიული წყალრეგულირების ნაგებობები, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სხვ.).

ამრიგად, კულტურული ლანდშაფტი შეიძლება იყოს: ქალაქი ან მისი ცალკეული უბანი, ცალკეული ისტორიული ძეგლი და ადგილი, სამონასტრო ანსამბლი, ისტორიული განაშენიანება, საინჟინრო კომუნიკაციები, არქეოლოგიური ძეგლი, არხები, ვენახები და ბაღები, პარკები, ბუნების ძეგლები და მასთან დაკავშირებული კულტურის ობიექტები და სხვ.

კულტურული ლანდშაფტის ამგვარი მრავალფეროვნება მისი სხვადასხვაგვარი განმარტების წინაპირობაა. ამის გამოა, რომ ცნობილია ანალოგიური შინაარსის არაერთი ტერმინიც: ისტორიული ლანდშაფტი, აგრარული ლანდშაფტი, ბუნებრივ-აგრარული ლანდშაფტი, ისტორიულ-ბუნებრივი ლანდშაფტი, გეოკულტურული რეგიონი, ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი, ისტორიულ-კულტურული ლან-

დმაფტი, ურბანული ლანდშაფტი, საქალაქო სივრცე (ადგილი), ბუნებრივ-კულტურული კომპლექსი, ისტორიულ-გეოგრაფიული ლანდშაფტი და სხვ.

თუმცა ფაქტია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კულტურული ლანდშაფტი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. იგი მკაფიოდ გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (ტერიტორიის) წარმოშობის და განვითარების თავისებურებებს, ადამიანის (ადგილობრივი თემის) და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებას (<https://tclf.org/places/about-cultural-landscapes>).

კულტურული ლანდშაფტის შექმნის მიზანი არაერთ ფაქტორს უკავშირდება. ისინი აღიწერება 7 საკვანძო სიტყვაში: ადამიანი, ეთნოსი, ბუნება, ისტორია, კულტურა, ფუნქცია და მაღალი მნიშვნელობა. ამგვარი კრებადობით შეიძლება მივიღოთ კულტურული ლანდშაფტის შემდეგი განმარტება: კულტურული ლანდშაფტი წარმოადგენს ადამიანის და ბუნების ისტორიული თანაარსებობის და მაღალი ეთნოკულტურული მნიშვნელობის ტერიტორიას.

კულტურული ლანდშაფტები მსოფლიოში (იუნესკოს მიერ) აღიარებულია ეთნოკულტურულად და ბუნებრივად მნიშვნელოვანი 12 ფასეულობის წარმოჩენის და შენარჩუნების მიზნით. ესენია:

- **რელიგიური ფასეულობები და რელიგიური არქიტექტურა** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 14 ქვეყანაში. მათ შორისაა: იტალია, იაპონია, ავღანეთი, კენია, პოლონეთი, პორტუგალია, აშშ, საფრანგეთი, ჩინეთი, კანადა, ავსტრალია და სხვ.
- **ტრადიციული სოფლის მეურნეობა** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 15 ქვეყანაში. მათ შორისაა: ანდორა, ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, ჩინეთი, იტალია, მექსიკა, სამხრეთი აფრიკა და სხვ.
- **ისტორიული მნიშვნელობის ადგილი** (დასახლება, ისტორიული ნაგებობა, ისტორი-

ული გზაჯვარედინი). ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 18 ქვეყანაში. მათ შორისაა: არგენტინა, ლიტვა, საუდის არაბეთი, სამხრეთი აფრიკა, შვედეთი, სირია, ვიეტნამი, ესპანეთი, უკრაინა და სხვ.

- **კულტურული პეიზაჟი** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 6 ქვეყანაში და ძირითადად უკავშირდება პრეისტორიულ კედლის მხატვრობას. ამგვარ ქვეყანათა შორისაა: კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, ყაზახეთი და სხვ.
- **ურბანული და ბუნებრივი ლანდშაფტის ჰარმონია** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 6 ქვეყანაში. მათ შორისაა: ბრაზილია, გერმანია, ისრაელი და სხვ.
- **განუმეორებელი ლანდშაფტური არქიტექტურა და ლანდშაფტური დიზაინი** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 10 ქვეყანაში. მათ შორისაა: საფრანგეთი, ირანი, ესპანეთი, ლიხტენშტეინი და სხვ.
- **ურბანული და ეკონომიკური ევოლუცია** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 2 ქვეყანაში: ავსტრია და პორტუგალია;
- **ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებული თანაარსებობა** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 7 ქვეყანაში. მათ შორისაა: ნორვეგია, რუსეთი, ლიტვა, ესპანეთი და სხვ.
- **ბუნებრივი რესურსების მოპოვების და გამოყენების ტრადიციული ფორმა** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მსოფლიოს 8 ქვეყანაში. მათ შორისაა: ჩეხეთი, ეთიოპია, იაპონია, ნიგერია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.
- **ეთნოკულტურა** – პოლინეზია (საფრანგეთი);
- **ბუნების ევოლუცია** – ამგვარი კულტურული ლანდშაფტი შექმნილია მხოლოდ გაბონში;

- **ბოტანიკური პარკი** – სინგაპური, დიდი ბრიტანეთი.

ამრიგად, კულტურული ლანდშაფტის ფასეულობებს შორის, მნიშვნელობით და რაოდენობით გამოირჩევა რელიგიური, ტრადიციული სოფლის მეურნეობის, ისტორიული ადგილების, ლანდშაფტური არქიტექტურის, ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების ფორმებთან დაკავშირებული ტერიტორიები.

1992 წლიდან კულტურული ლანდშაფტი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტად განიხილება და ამგვარი სტატუსი ათეულობით ტერიტორიას აქვს მინიჭებული. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის თანახმად, „კულტურული ლანდშაფტი ადამიანისა და ბუნების ერთობლივი ქმედების პროდუქტია“. იგი, თავისი სტატუსით, უნდა განაპირობებდეს არა მარტო მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, არამედ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასაც. კონვენციის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ამგვარი კულტურული ლანდშაფტის ტერიტორია მოიცავს:

- ✓ ძეგლის ტერიტორიას, რომლის საზღვრები გადის დაცვის და რეგულირების ზონაზე;
- ✓ დაცვის ზონას;
- ✓ რეგულირების ზონას;
- ✓ ისტორიულ ზონას, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ისტორიული, საქალაქო, არქიტექტურული და კულტურული ფასეულობა.

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულია კულტურული ლანდშაფტის სხვადასხვა კატეგორია. მაგალითად, ცნობილია, რომ გაერთიანებული ეროვნული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია (იუნესკო) დაარსების დღიდან იბრძოდა მრავალი კულტურული, ბუნებრივი და ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორიის დასაცავად მთელ მსოფლიოში. იუნესკო, რომელიც 1942 წელს შეიქმნა, არის მთავარი საერთაშორისო სააგენტო, რომელსაც აქვს მკაცრი მეცნიერული ხედვა კულტურული ლანდშაფტებისა და მათი შენარჩუნების შესახებ. მის სახელმძღვანელო დოკუმენტში ნათქვამია, რომ კულტურული ლანდშაფტი მოიცავს კაცობრიობასა და მის ბუნებრივ გარემოს შორის ურთიერთქმედების მრავალფეროვან გამოვლინებებს. ისინი უნდა შეირჩეს როგორც მათი გამორჩეული უნივერსალური მნიშვნელობიდან, ისე მათი რეპრეზენტაციულობიდან გამომდინარე. იგი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული გეოკულტურული, ადვილად ამოსაცნობი, ორგანულად განვითარებული და არსებითი სოციალური როლის მქონე ლანდშაფტი (<https://www.archonicle.com>, <https://whc.unesco.org>).

იუნესკოს მიერ აღიარებული კულტურული ლანდშაფტების გეოგრაფია კონტინენტების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. მათი რაოდენობით გამოირჩევა ევროპა. აქ 19 სახელმწიფოში კულტურული ლანდშაფტის სტატუსი აქვს 58 ობიექტს. სახელმწიფოებს შორის წამყვანია საფრანგეთი და იტალია (8-8 ერთეული თითოეულში), დიდი ბრიტანეთი და გერმანია (5-5), პორტუგალია და ესპანეთი (4-4 კულტურული ლანდშაფტი).

მეორე ადგილზეა აზია. აქ 30 კულტურული ლანდშაფტია, თუმცა 21 სახელმწიფოში. მათ შორის გამოირჩევა ჩინეთი (5 ერთეული), თურქეთი (4) და ირანი (3). ამერიკის ორივე კონტინენტზე 10 სახელმწიფოში გვხვდება 14 კულტურული ლანდშაფტი. მათი რაოდენობით გამოირჩევა ბრაზილია (3), კუბა და მექსიკა (2-2 თითოეულში). აფრიკის 9 სახელმწიფოში 13 კულტურული ლანდშაფტია წარმოდგენილი. სახელმწიფოებს შორის გამოირჩევა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნიგერია და სენეგალი. ავსტრალიასა და ოკეანეთში 5 კულტურული ლანდშაფტია დაფიქსირებული. აქ მათი რაოდენობით (3) ავსტრალია გამოირჩევა.

საქართველოში კულტურული ლანდშაფტის სტატუსი, მიუხედავად მეურნეობის რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიისა, არც ერთ ტერიტორიას არ გააჩნია. არადა, ამგვარი სტატუსი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული გეოკულტურული, ადვილად ამოსაცნობი, ორგანულად განვითარებული და არსებითი სოციალური როლის მქონე ლანდშაფტი (<https://www.archonicle.com>, <https://whc.unesco.org>).

საქართველოში კულტურული ლანდშაფტის სტატუსი, მიუხედავად მეურნეობის რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიისა, არც ერთ ტერიტორიას არ გააჩნია. არადა, ამგვარი სტატუსი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული გეოკულტურული, ადვილად ამოსაცნობი, ორგანულად განვითარებული და არსებითი სოციალური როლის მქონე ლანდშაფტი (<https://www.archonicle.com>, <https://whc.unesco.org>).

ტუსი მკაფიოდ წარმოაჩენდა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას და ქართული ეროვნული იდენტობის პოპულარიზაციასაც შეუწყობდა ხელს. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით ჯერჯერობით არავინ მუშაობს. „ქართული“ კულტურული ლანდშაფტის იუნესკოს ნომინაციაზე წარდგენა საშური საქმეა, რადგან ამავე ორგანიზაციის ძეგლის სტატუსს კარგა ხანია, უიმედოდ ელოდება ათზე მეტი ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლი, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად, გაცილებით სწრაფად მიიღებდნენ იუნესკოს კულტურული ლანდშაფტის სტატუსს.

2.2. გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) ისტორიული გეოგრაფიის საინტერესო და სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. იგი გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მომიჯნავე მეცნიერებაა და აერთიანებს ჰუმანიტარულ (საზოგადოებრივ) და საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინებს. გეოგრაფიულ არქეოლოგიაში უკვე დაცულია სამაგისტრო ნაშრომი, რომლის ავტორიც გვანცა მოსიძეა. სამაგისტრო ნაშრომი პირველია იმ კვლევებს შორის, რომელიც ეხება ახალ მიმართულებას ინტეგრაციულ (სინთეზურ) გეოგრაფიაში. ამგვარი კვლევა საქართველოში და კავკასიაში დღემდე არ ჩატარებულა.

ამჟამად შესაძლებელია, ვისაუბროთ გეოგრაფიული არქეოლოგიის, როგორც ინტეგრაციული (ინტერდისციპლინური) გეოგრაფიული მეცნიერების დაფუძნების და სასწავლო პროცესში მისი ჩართვის პერსპექტივებზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, გეოგრაფიული არქეოლოგია ახალ საშუალებას იძლევა, უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი გეოგრაფიული გარემოს განვითარებისა და ტრანსფორმაციის თავისებურებანი, საზოგადოების აქტიური სამეურნეო საქმიანობის ისტორიული კავშირი ბუნებრივ გარემოსთან, კულტურული ლანდშაფტების ფორმირების თავისებურებანი,

ისტორიული და ბუნებრივი პროცესების კანონზომიერებანი. იმედია, გეოგრაფიული არქეოლოგია მყარად დაიმკვიდრებს ადგილს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში და ხელს შეუწყობს როგორც ინტეგრაციული გეოგრაფიის, ისე არქეოლოგიის განვითარებას.

2.3. ეკოლოგიური კულტურა – ახალი სამეცნიერო მიმართულებაა გეოგრაფიულ ეკოლოგიაში, რომელიც ინტეგრაციული გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ამ თემაზე წარმატებით დაიცვა თავისი სამაგისტრო ნაშრომი თამარ ფილაურმა, რომლის კვლევის საგანს წარმოადგენდა მთის მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურა, მთიან რეგიონებში ადამიანის გარემოსთან შეგუების სხვადასხვა ფორმების დადგენა, გეოგრაფიული მახასიათებლების გავლენა მთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაზე, მათი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების გამომწვევი ეკოლოგიური მიზეზების გამოვლენა.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ნაშრომი შეიძლება პირველ ნაბიჯად ჩათვალოს საქართველოში მთის მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის კვლევასთან დაკავშირებით. მომავალში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების და სხვადასხვა რეგიონების ეკოკულტურის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და შედარებითი ანალიზი. ამ მიმართულების აქტუალობას განაპირობებს კლიმატის ცვლილების სწრაფი ტენდენციები, რაც გამოიხატება არაერთი ბუნებრივი ზონის თუ ლანდშაფტის გეოგრაფიული გავრცელების თავისებურებებში და მოსახლეობისთვის ახალ ეკოლოგიურ ვითარებასთან ადაპტაციის აუცილებლობაში.

2.4. ლანდშაფტის მომსახურება და ლანდშაფტის მართვა თანამედროვე ლანდშაფტმცოდნეობის და ლანდშაფტური დაგეგმარების ახალი და ძალზე საინტერესო მიმართუ-

ლებათ. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით საქართველოში არავინ მუშაობს.

ამ დროს, ლანდშაფტური დაგეგმარება სავალდებულო საქმიანობაა სივრცითი დაგეგმარებისა თუ სხვადასხვაგვარი სამეურნეო პროფილის საქმიანობის განხორციელების პროცესში. ევროპის ლანდშაფტური კონვენციის არსზე და მასში წარმოჩენილ ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელობაზე წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი ირინე ჯავახიშვილი. სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა უკავშირდება ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ინტეგრაციის პროცესის შესწავლას როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში პირველად იქნა გამოკვლეული კონვენციის როლი ევროპის და მათ შორის საქართველოს სივრცითი გეგმარების სისტემაში. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიხედვით, აღიარებულია ლანდშაფტის დაცვის აუცილებლობა, თუმცა მის მიხედვით შეუძლებელია ლანდშაფტის მართვის, დაგეგმარების და მომსახურების ნორმების და პრინციპების განსაზღვრა. ქართული კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს კონვენციით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებებს, რაც ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე.

ლანდშაფტის მართვა სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებაა, რომლითაც დაკავებული არიან გეოგრაფები, ტერიტორიული დაგეგმარების და მართვის სპეციალისტები, სოციოლოგები, ურბანისტები, ლანდშაფტის არქიტექტორები, ეკონომისტები და სხვ. მისი არსი, უპირველეს ყოვლისა, გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებას და უზრუნველყოფას უკავშირდება. აქ იგულისხმება იმ სივრცითი ურთიერთობების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოიქმნება ადგილობრივ, რეგიონულ, ქვეყ-

ნის ან გლობალურ დონეზე (არსებობს სივრცითი ურთიერთობების სხვა ფორმებიც: სასოფლო სივრცე – ურბანული სივრცე – ნაციონალური სივრცე).

ლანდშაფტის მართვის საბოლოო მიზანი ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს ჰარმონიული თანაარსებობაა. ამგვარი მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია იმ ბუნებრივი მექანიზმების ცოდნის გარეშე, რაც განაპირობებს ბუნებრივი გარემოს სტრუქტურისა და ფუნქციონირების გეოგრაფიულ თავისებურებებს. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი პროცესები და ცნობიერება არსებითად განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას, რის გამოც ამა თუ იმ ადგილისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების და საზოგადოების ქცევის კვლევა ლანდშაფტის მართვის აუცილებელი წინაპირობაა. ამრიგად, ლანდშაფტის მართვა მრავალწახნაგოვანი საქმიანობაა, რომელშიც ჩაბმულია სამეცნიერო, პრაქტიკული (სამეურნეო) და ადმინისტრაციული წრეები.

ლანდშაფტის მართვის თანამედროვე ფორმები გულისხმობს ადმინისტრაციული მართვის ვერტიკალზე ძალაუფლების გადანაწილებას ადგილობრივი მოსახლეობის (სამოქალაქო საზოგადოების) და კერძო სექტორის ინიციატივების სასარგებლოდ. ამგვარი მიდგომისას მართვა (ადმინისტრირება) ეფუძნება არაერთ პრინციპს, რომელთაგან ძირითადია: ადგილობრივი პრობლემების კომპლექსური შესწავლა (კვლევა), მათზე მოსახლეობის მაქსიმალური ფოკუსირება, ქმედებათა ადაპტაცია, ერთიანობა და მოქნილობა. გასაგებია, რომ მართვის ინოვაციური ფორმების რეალიზაცია მხოლოდ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ინტერესების გადანაწილების, კოორდინაციის და თვითორგანიზაციის, კონსენსუსის და ურთიერთშეთანხმების გზითაა შესაძლებელი. ამის გამოა, რომ როგორც ლანდშაფტის მართვაში, ისე ლანდშაფტურ და-

გეგმარებაში ქმედებათა ხანგრძლივობა ძირითადად 5, იშვიათად კი 10 წლით განისაზღვრება. ამის შემდეგ, როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ადგილობრივი მოსახლეობა განხორციელებულ ქმედებათა რევიზიას და ახალ დაგეგმარებას ახორციელებს.

ლანდშაფტის მართვა ძირითადად **ადმინისტრაციულ ფარგლებში** ხორციელდება, რაც ნაკლებად ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს ელემენტების ან ეკოსისტემების საზღვრებს. ამგვარი მიდგომა კვლავ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ თუ განსახლების ინტერესებს ემსახურება. ამიტომ, არცთუ ისე ცოტაა შემთხვევა, როცა იდენტურ ან მსგავს ბუნებრივ გარემოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმოდგენილი მოსახლეობა განსხვავებულ მოთხოვნას „უყენებს“.

ლანდშაფტის მართვის საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგია დღემდე არ არსებობს, რადგან მას არ გააჩნია დიდი ხნის ისტორია. ამგვარ მეთოდოლოგიას საფუძვლები თანდათან ეყრება, რისთვისაც განსაკუთრებით აქტიურობენ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სპეციალისტები (შვედეთი, გერმანია, შვეიცარია, ნორვეგია, ავსტრია, ფინეთი, ავსტრალია, იაპონია და სხვ.). გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს ლანდშაფტის გამოყენების და მართვის ტრადიციულ ფორმებს, რითიც განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ევროპის ქვეყნები გამოირჩევა. ამჟამად სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია ლანდშაფტის მართვის თანამედროვე შედეგების შესახებ, რომლის გათავისებას არსებითი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი ევროინტეგრაციისთვის.

ლანდშაფტის მომსახურებაში იგულისხმება იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ახორციელებს მისი ესთეტიკური და ეროვნული მნიშვნელობის შენარჩუნების მიზნით. ლანდშაფტის იერ-სახე მკაფიოდ მეტყველებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ეკოლოგიურ კულტურაზე.

დაბინძურებული და მოუვლელი, დეგრადირებული და დამთრგუნველი ლანდშაფტი არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთა, არამედ საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება.

სახელმწიფო ძირითადად ზრუნავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაშიც გზების, არხების, კავშირგაბმულობის, სოციალური და ეკოლოგიური ობიექტების მშენებლობის ხელშეწყობა და სტიმულირება იგულისხმება. მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია აქციოს ლანდშაფტი მიმზიდველ და საინტერესო, ჯანსაღ და უსაფრთხო, დაცულ და სუფთა გარემოდ, რაც ასევე აისახება მათ ფსიქოლოგიურ განწყობასა და სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობაზე. ამ მიზნით, ევროპის ქვეყნების დასახლებულ პუნქტებში შენობების ფასადის, ბაღების, ეზოებისა და პარკების კეთილმოწყობას და მიზანმიმართულ რეგულირებას უდიდესი ყურადღება ექცევა. ლანდშაფტის მომსახურების პასუხისმგებლობას ადგილობრივი მოსახლეობა იღებს საკუთარ თავზე, რაც ევროპული ეკოლოგიური კულტურის განუყოფელი ნაწილია.

2.5. აქტუალურ საკითხთა შორის ასევე აღსანიშნავია საქართველოში **სამეცნიერო ტურიზმის** განვითარების აუცილებლობა, რაც ინტეგრაციული გეოგრაფიის აქტუალური ამოცანაა. ამისთვის სასურველია, დამუშავდეს სპეციალური კონცეფცია, სადაც წარმოჩენილი იქნება არა მარტო ლანდშაფტური და ისტორიულ-კულტურული მრავალფეროვნების პერცეფციული მნიშვნელობა, არამედ ყველა სახის გეოგრაფიული „რესურსის“ (გეოგრაფიული კომპონენტების) ტურისტული დანიშნულება. სამეცნიერო-გეოგრაფიული ტურიზმის თეორიული საფუძვლების დამუშავება საინტერესო სამეცნიერო ამოცანაა, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია ინტეგრაციული გეოგრაფიის განვითარების არსებითი სტიმული შეიძლება გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ., გეოგრაფიის საფუძვლები (მეორე გადამუშავებული გამოცემა), სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, გამომც. „უნივერსალი“, გვ. 220, თბ., 2017.
2. ელიზბარაშვილი ნ., გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, გამომც. „უნივერსალი“, გვ. 502, თბ., 2016.
3. ელიზბარაშვილი ნ., ლანდშაფტმცოდნეობის აქტუალური საკითხები და ლანდშაფტური გეოგრაფიის განვითარების ტენდენციები საქართველოში. ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „გარემო და საზოგადოება“, #1, 2019, გვ.3-14. <http://es.tsu.ge/index.php/es/article/view/4/6>
4. Elizbarashvili N. (2018). Main concepts and Problems of Sustainable Development Mountainous Regions (On the example of the Caucasus). In procedeng: International Scientific and Practical Conference «REGION –2018: Optimal Development Strategy». – Kharkiv, Ukraine, pp. 215-219.
5. Беручашвили Н.Л., Жучкова В.К. Методика комплексных физико-географических исследований. -М.: изд-во МГУ, 1997, -320 с.
6. <https://www.google.com/search?q=integrative+geography&oq=integrative+geogra&aqs=chrome.0.0j69i57j0i22i30l6.17559j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8>
7. <https://www.archronicle.com/types-of-cultural-landscapes>,
8. <https://whc.unesco.org/en/culturallandscape/#2>.

საქართველო შობადობის გლობალური პროცესების ფონზე

ასოცირებული პროფესორი, გიორგი მელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgi.meladze@tsu.ge

ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოებისათვის შობადობის არსებულ დონეს და მის სა-
მომავლო პერსპექტივებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ნაშრომში განხილულია მოსახლეობის ბუნებ-
რივი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – შობადობის დინამიკა გლობალურ მასშტაბში.
დემოგრაფიული გადასვლის თეორიის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შობადობის კლება საყოველთაო
მოვლენაა და იგი მომავალში მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოიცავს.

შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, შესწავლილი და გა-
ანალიზებულია პოსტსაბჭოთა საქართველოში შობადობის სფეროში არსებული ვითარება და მისი პერ-
სპექტივები. ანალიზისათვის გამოყენებულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შემდგომ,
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში საქსტატი) მიერ, 1995-2013 წწ. გადაან-
გარიშებული მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: გლობალური, საქართველო, დემოგრაფია, დემოგრაფიული გადასვლა, შობადო-
ბა, კოვიდ-19.

GEORGIA AT THE BACKGROUND OF THE GLOBAL FERTILITY PROCESSES

Associate professor, **Giorgi Meladze**

Iv.Javakhishvili Tbilisi State Unoversity

giorgi.meladze@tsu.ge

Annotation

The current level of fertility and its future prospects are of great importance for the demographic security of any
country. The dynamics of fertility as one of the most important component of the natural movement of the population
is considered on a global scale. Based on the theory of demographic transition, it is shown that the decline in fertility is
a universal phenomenon that will cover all countries of the world. The current situation and prospects of fertility in
post-Soviet Georgia have been studied and analyzed on the basis of relevant indicators and calculations. For analysis
were used data recalculated by the National Statistical Office of Georgia after general population census of 2014 for
1995-2013.

Key words: Global, Georgia, demography, demographic transition, natality, covid-19.

თემის აქტუალობა

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს მასშტა-
ბით დიფუზიას განიცდის შობადობის კლების
პროცესი. 21-ე საუკუნის ბოლოს, უმთავრესად
შობადობის კლების შედეგად, მსოფლიოს ყვე-

ლა ქვეყანა დადგება მოსახლეობის შემცირების
პრობლემის წინაშე. გაეროს სპეციალისტების
დაბალი პროგნოზის თანახმად, ამჟამად არსე-
ბული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვე-
ვაში, ევროკავშირისა და მსოფლიოს რიგ ქვეყ-
ნებში მოსალოდნელია მოსახლეობის რიცხოვ-

ნობის განახევრება. 2080-იან წლებში განახევრდება საქართველოს, იაპონიის და საბერძნეთის მოსახლეობა. 2090-იან წლებში მსგავსი ვითარებაა მოსალოდნელი იტალიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში და ჩინეთში (<https://population.un.org>). მიგვაჩნია, რომ მიუხედავად აღნიშნული გრძელვადიანი პროგნოზის გამართლების დაბალი შანსისა, მას გააჩნია გარკვეული ღირებულება – იგი არის მომავალი თაობების გაფრთხილება შესაძლო საშიშროების შესახებ.

1960 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მართივ აღწარმოებას მსოფლიოს 5 ქვეყანაში, რაც ნიშნავდა, რომ ფერტილური ასაკის (15-49 წლის) ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობა 2.1-ზე ნაკლები იყო. 1990 წელს ასეთი ქვეყნების რიცხვი 46-მდე გაიზარდა (მელაძე გ., საქართველო და გლობალური..., 2013), ხოლო 2020 წელს მათი რაოდენობა 89 იყო (2020 World Population Data..., 2021). მესამე ათწლეულის დასაწყისიდან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ძალიან დაბალი შობადობა“, რაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის 1.5-ზე დაბალ დონეზე ყოფნას გულისხმობს.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის მართივ აღწარმოებას 1992 წლიდან ვეღარ უზრუნველყოფდა. 2020 წელს განხილულმა მაჩვენებელმა 1.97 შეადგინა (იხ. ცხრ. 4). ამ უკანასკნელის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შობადობის არსებული დონის დიდი ხნის მანძილზე შენარჩუნების შემთხვევაში, ყოველი მომდევნო თაობა დაახლოებით ყოველი 27-29 წლის შემდეგ 6.2%-ით შემცირდება.

ქვეყანაში არსებული შობადობის დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობაზე. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა აღნიშნული ასაკის ქალების რაოდენობრივი კლების პროცესი, რაც ამცირებს შობადი კონტინენტის პოტენციალს. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე დემოგრაფიული პროცესებიდან გა-

მომდინარე, მოსახლეობის აღწარმოება უფრო მეტადაა დამოკიდებული შობადობაზე, მოკვდაობასთან შედარებით, ყოველივე აღნიშნული ზრდის შობადობის მნიშვნელობას დემოგრაფიული ვითარების ჩამოყალიბებაში, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია – დემოგრაფიული გადასვლის თეორიის საფუძველზე, შობადობის გლობალური ტენდენციის განხილვა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 1995-2013 წლებისათვის გადაანგარიშებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე (1990-2020 წწ.) შობადობის დინამიკის შესწავლა და ანალიზი.

2007 წლიდან 2009 წლის ჩათვლით საქართველოში მკვეთრად გაიზარდა შობადობა. დაფიქსირებული მოვლენა საზოგადოების მიერ არაერთმნიშვნელოვნად იქნა შეფასებული. სათანადო სტატისტიკური ინფორმაციისა და განგარიშებების საფუძველზე განხილულია აღნიშნული მოვლენის არსი.

შობადობის დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა. შესწავლილია რეპროდუქციული ქალების ასაკობრივ სტრუქტურის შესაძლებლობები საქართველოში.

საქსტატის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში შობადობის უპრეცედენტო მატება დაფიქსირდა. აღნიშნულ წელს, 2013 წელთან შედარებით, თითქმის 11 ათასით გაიზარდა დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა. დაფიქსირებული ფაქტი შობადობის ზოგად კოეფიციენტშიაც შესაბამისად აისახა (იხ. ნახ. 1), ეს უკანასკნელი 2.9 პუნქტით აღემატებოდა 2013 წლის შესაბამისი კოეფიციენტის მნიშვნელობას. განხილულია აღნიშნული მოვლენის არსი.

განალიზებულია თანამედროვეობის უდიდესი გლობალური გამოწვევის – კოვიდ-19 ვი-

რუსის გავრცელების არაერთგვაროვანი ზეგავლენა, ცალკეული ქვეყნების შობადობის პროცესებზე.

კვლევის მეთოდები

შესაბამისი მასალების შესწავლისა და ანალიზისათვის გამოყენებულია: ისტორიული, შედარებითი, აღწერილობითი, სტატისტიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები. კვლევისათვის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანგარიშებულია შესაბამისი კოეფიციენტები.

ძირითადი შედეგები:

1. გრძელი გზა დაბალ შობადობამდე

შობადობის კლება გლობალური პროცესია, რომელიც, შესაბამისად, აღწერება დემოგრაფიული გადასვლის უნივერსალური თეორიის მიერ. აღნიშნული თეორია ოთხ ფაზას მოიცავს: პირველი ფაზა ხასიათდება მოკვდაობის უფრო დიდი მასშტაბით კლებით, ვიდრე შობადობა, რის შედეგადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაქსიმალურად იზრდება;

მეორე ფაზაში მოკვდაობის კოეფიციენტი თავის მაქსიმალურად დაბალ მაჩვენებელს აღწევს, ხოლო შობადობის კოეფიციენტი უფრო სწრაფად კლებულობს, რის შედეგადაც მცირდება მოსახლეობის ბუნებრივი მატება;

მესამე ფაზის დასასრულისათვის ნიშანდობლივია მოკვდაობის კოეფიციენტის მატება მოსახლეობის დაბერების გამო. ამასთანავე, მიმდინარეობს შობადობის კლების შენელების პროცესი. აღნიშნული ფაზის ბოლოს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს უახლოვდება;

მეოთხე ფაზაში მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი მატულობს და უახლოვდება შობადობის ზოგად კოეფიციენტს, ამ დროისათვის მთავრდება დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესი (აღნიშნული კოეფიციენტები 13%-ს ფარგლებში იმყოფებიან).

ოჯახების მცირეშვილიანობაზე გადასვლის პროცესი კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიის განუყოფელ მოვლენას წარმოადგენს, რომლის პირველი ნიშნები ევროპაში მე-18 საუკუნის ბოლოს დაფიქსირდა და მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით დიფუზიას განიცდის.

დემოგრაფიული პროცესების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ დემოგრაფიული გადასვლა არ დასრულდება მოსახლეობის სტაბილიზაციით (წულაძე გ., მელაძე გ., საქართველოს მოსახლეობა და..., 1998; მელაძე გ., წულაძე გ., დემოგრაფიული გადასვლის..., 1998). მეოთხე ფაზის დასრულების შემდგომ დამკვიდრდება მეხუთე – ანუ რეგრესული ფაზა. განხილულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ქართველი მეცნიერის ვ. გუჯაბიძის მიერ შემოთავაზებული დემოგრაფიული გადასვლის ხუთსაფეხურიანი მოდიფიცირებული მოდელი (Гуджабидзе В.В. Пространственно-временная диффузия демографического..., 1979; Гуджабидзе В.В. Демографический переход и старение..., 1990), რომელშიაც განსაზღვრულია მსოფლიოს დემოგრაფიული პროცესები მომავალში. აღნიშნული მოდელის მეხუთე ფაზას ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს – „ბოლო მეხუთე სტადიაში შობადობა სტაბილიზირდება დაბალ დონეზე (15%-მდე), შესაბამისად, ყველაზე დაბალია ბუნებრივი მატება. შობადობის შემცირებისა და მითუმეტეს – მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესების გამო, მოკვდაობის მაჩვენებელმა განსაზღვრულ დონემდე შეიძლება მოიმატოს და გადააჭარბოს კიდევ შობადობის მაჩვენებელს, ამიტომ მომავალში მოსალოდნელია მოსახლეობის ნულოვანი ან ძალიან უმნიშვნელო ბუნებრივი მატება (ზოგიერთ შემთხვევაში კი კლებაც კი)“. დემოგრაფიული განვითარების უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ რეალობად უნდა მივიჩნიოთ ცნობილი მეცნიერის ა. კარლსონის ხატოვანი გამოთქმა – დემოგრაფების რწმენა, თითქოსდა დასავლეთის ქვეყნების მოსახლე-

ობა სტაბილიზდება მარტივი აღწარმოების ზღვარზე ან მასთან ახლოს, არასოდეს არ ყოფილა აუხდენელ ოცნებაზე მეტი (Carlson A.C. Family Questions..., 1990).

როგორც უკვე აღინიშნა, შობადობის კლების მიზეზები სათავეს ისტორიულ წარსულში იღებენ, როდესაც შობადობა და მოკვდაობა ძალიან მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ. მედიცინის და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაბალი დონის, გამუდმებული ომებისა და ხშირი პანდემიების არსებობისას, ძალიან მაღალი იყო გარდაცვალებათა შემთხვევები, განსაკუთრებით მაღალი იყო ბავშვთა მოკვდაობა. ისტორიულ წარსულში ერთ წლამდე ასაკში იღუპებოდა ბავშვების 26.9%, ხოლო 46.2% ვერ აღწევდა სრულწლოვანებას (Volk A., Atkinson J., Infant and child death..., 2013). არსებული ვითარების გამო ადამიანები – პოპულაციის შენარჩუნების მიზნით, იძულებულნი იყვნენ, შობადობის მაღალ ნორმებზე ყოფილიყვნენ ორიენტირებულნი.

მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებაში რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა ჩვილთა მოკვდაობის მნიშვნელოვანი კლება ევროპაში მე-18 საუკუნის ბოლოდან. დაფიქსირებული ფაქტი მედიცინის განვითარებით და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებით იყო განპირობებული. აღნიშნულთან ერ-

თად, შობადობის შემცირების მიზეზები ადამიანთა ცხოვრების წესის ცვლილებებში უნდა ვეძიოთ. შობადობის დაბალი დონის განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზებია: ურბანული პროცესები, ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, ქალების მასობრივი ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში, განათლების მისაღებად სწავლის ვადების გახანგრძლივება, საზოგადოების ცხოვრებაზე რელიგიის ზეგავლენის შემცირება; ბიჭებისადმი უპირატესობის მინიჭების ტრადიციის შესუსტება; საპენსიო სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემების შექმნა, ამ უკანასკნელის მეშვეობით პენსიაზე გასვლის შემდეგ, ასაკოვანი ადამიანები მატერიალურად აღარ არიან თავიანთ შვილებზე დამოკიდებულნი, რაც ხელს უწყობს შობადობის კლებას.

დღესდღეობით ევროკავშირის ქვეყნებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კრიტიკულ ზღვარზე (15‰) დაბლა იმყოფება (იხ. ცხრილი 1). 2019 წელს საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობა 13.0‰-ს შეადგენდა, რაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ირლანდიასთან ერთად, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში შობადობის სფეროში არსებული მდგომარეობა დამშვიდების საფუძველს იძლევა.

ცხრილი 1

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოში

ქვეყანა	წ ლ ე ბ ი							
	1950	1960	1970	1980	1990	2000	2010	2019
ავსტრია	15.6	17.9	15.0	12.0	11.8	9.8	9.4	9.9
ბელგია	16.9	16.8	14.7	12.6	12.4	11.4	11.9	10.9
ბულგარეთი	25.2	17.8	16.3	14.5	12.1	9.0	10.2	9.0
უნგრეთი	20.9	14.7	14.7	13.9	12.1	9.6	9.0	9.5
გერმანია	16.1	17.3	13.4	11.1	11.4	9.3	8.3	9.4
საბერძნეთი	20.0	18.9	16.5	15.4	10.0	9.6	10.3	7.8
დანია	18.7	16.6	14.4	11.2	12.3	12.6	11.4	10.7

ირლანდია	21.3	21.5	21.8	21.7	15.1	14.4	16.5	13.0
ესპანეთი	20.2	21.7	19.5	15.2	10.3	9.8	10.4	8.5
იტალია	19.5	18.1	16.7	11.3	10.0	9.5	9.5	7.6
ლატვია	16.9	16.7	14.6	14.1	14.2	8.6	9.4	10.8
ლიტვა	23.6	22.5	17.7	15.2	15.4	9.8	9.9	10.3
ნიდერლანდები	22.7	20.8	18.3	12.8	13.2	13.0	11.1	10.1
პოლონეთი	30.7	22.6	16.8	19.6	14.4	9.9	10.9	9.9
პორტუგალია	24.4	24.1	20.8	16.2	11.7	11.7	9.6	7.8
რუმინეთი	26.2	19.1	21.1	18.0	13.6	10.4	10.5	9.8
სლოვაკეთი	27.4	21.7	17.8	19.1	15.1	10.2	11.2	10.5
სლოვენია	22.0	17.6	15.9	15.7	11.2	9.1	10.9	9.7
ფინეთი	24.5	18.5	14.0	13.2	13.1	11.0	11.4	9.4
საფრანგეთი	20.7	17.9	16.7	14.9	13.4	13.3	12.9	11.2
ხორვატია	24.8	18.4	13.8	14.8	11.6	9.8	10.1	8.9
ჩეხეთი	19.4	13.4	15.0	14.9	12.6	8.9	11.2	10.5
შვედეთი	16.5	13.7	13.7	11.7	14.5	10.2	12.3	11.9
ესტონეთი	18.4	16.7	15.8	15.0	14.2	9.4	11.9	10.4
საქართველო	23.5	24.7	19.2	17.6	17.1	11.1	14.6	13.0

წყარო: საქსტატი; <http://www.demoscope.ru>

2. შობადობის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოში

1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად – რომელმაც საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა – მოიშალა დემოგრაფიული შემთხვევების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა. აღნიშნულ პერიოდში სპეციალისტები ეჭვქვეშ აყენებდნენ ოფიციალურად გამოქვეყნებული დემოგრაფიულ-სტატისტიკური ინფორმაციის რელევანტურობას. აღნიშნულ წლებში გამოქვეყნდა შესაბამისი ნაშრომები (მელაძე გ., წულაძე გ., საქართველოს მოსახლეობა და..., 1997; გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და..., 1997, გუგუშვილი თ., საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული..., 1998), რომლებშიც ავტორთა მიერ შემოთავაზებული ორიგინალური გა-

ანგარიშები გაცილებით ადეკვატურად ასახავდნენ არსებულ რეალობას.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – შობადობის არასრული აღრიცხვის მასშტაბის დადგენის მიზნით, 1998 წელს ოფიციალურმა სახელმწიფო სამსახურებმა – იმჟამინდელი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრმა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველომ, ერთობლივი შერჩევითი გამოკვლევა ჩაატარეს. აღნიშნული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ დაბადებულთა აღურიცხაობამ 21.7% შეადგინა (ჯანმრთელობის დაცვა, 2000). მეტნაკლებად მსგავსი

მდგომარეობა იყო ბუნებრივი მოძრაობის (მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება) დანარჩენი კომპონენტების შემთხვევაშიც. სამწუხაროდ, ოფიციალური სამსახურების მიერ 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამდე არ მომხდარა დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემების გადასინჯვა.

2002 წლის აღწერის შემდგომ, იმჟამინდელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა 1992-2001 წლების პერიოდის დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემების გადაანგარიშება-შეფასება. მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა, სპეციალისტთა შეფასებით პრობლემა მაინც ვერ იქნა აღმოფხვრილი.

არსებული პრობლემა იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების და სამეცნიერო ცენტრების მსჯელობის საგანი გახდა. 2002 წელს ევროსაბჭოს ეგიდით ტალინში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა საქართველოში არსებული დემოგრაფიული სტატისტიკის პრობლემები (G.Meladze., Population development in Georgia..., 2002).

2004 წელს პარიზში, დემოგრაფიული კვლევების ეროვნულ ინსტიტუტში (INED) გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „მოსახლეობის სტატისტიკის როლი პოსტკოლონიურ სიტუაციაში“, სადაც საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ სპეციალისტები მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნებიდან. (Meladze G., Problems of demographic statistics..., 2004), სადაც კვლავ აღინიშნა საქართველოში დემოგრაფიულ სტატისტიკაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ.

სამწუხაროდ, დემოგრაფიულ სტატისტიკის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, რაც დაადასტურა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ,


რომლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობამ 3713.8 ათასი მცხოვრები შეადგინა, 2013 წელს კი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4490,5 ათასის ტოლი იყო. განსხვავებამ 776.7 ათასი ადამიანი შეადგინა. შექმნილი არაადეკვატური ვითარების გამო. საქსტატმა კვლავ მოახდინა დემოგრაფიულ სტატისტიკური მონაცემების ხელახალი გადაანგარიშება-შეფასება 1995-2013 წლებისათვის (ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017, 1994-2014 წლების..., 2018).

3. შობადობის პროცესები საქართველოში

საქართველოში შობადობის სფეროში მიმდინარე პროცესები მეტნაკლებად ჯდება დემოგრაფიული გადასვლის თეორიაში და გლობალურად მიმდინარე პროცესებში, თუმცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარ რიგ პერტურბაციულ მოვლენებს: გლობალური მასშტაბის ომებს, ფორსირებულ ინდუსტრიალიზაციას, სოციალურ კატაკლიზმებს – რომლებიც განვითარდა გასაბჭოების შემდგომი პერიოდის საქართველოში, 1930-იანი წლების რეპრესიებს, 1990-იანი წლების უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, თავიანთი კორექტივები შექმნა დემოგრაფიული სისტემის ბუნებრივ განვითარებაში, იწვევდნენ რა მისი წონასწორობის დარღვევას. ზოგიერთი მოვლენის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ათობით წლების შემდეგაც იგრძნობოდა და იგრძნობა.

საქართველოში 1990-2020 წწ. არაერთმნიშვნელოვნად იცვლებოდა შობადობა. აღნიშნული დროის მონაკვეთში განახევრდა დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა, რაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტის 27%-ით კლების ტოლფასია. განსაკუთრებით დაბალი იყო შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობები 1999-2005 წწ. (იხ. ნახაზი 1).

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში
1990-2020 წწ.*
(პრომილე)



* ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის გარეშე, 1991 და 1992 წლიდან.
წყარო: საქსტატი.

2006-2009 წლებში ადგილი ჰქონდა დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობის უჩვეულო მატებას. 2009 წელს 21%-ით მეტი ბავშვი დაიბადა 2009 წელთან შედარებით. განსაკუთრებით გაიზარდა დაბადებული ბავშვების აბსოლუტური რაოდენობა, 2007-2008 წწ. და 2008-2009 წწ. (შესაბამისად 3.9 და 4.1 ათასით). დაფიქსირებული ფაქტი ერთგვარად მოულოდნელი იყო, ვინაიდან ქვეყანაში არ გატარებულა შობადობის გაზრდისაკენ მიმართული არანაირი პოლიტიკა. შობადობის ზემოაღნიშნული მოკლევადიანი მატების ძირითად მიზეზად ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევდა ხელისუფლების წარმატებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და საქართველოს პატრიარქის ილია II ცნობილ მოწოდებას, რომლის თანახმადაც იგი ნათლავს ყოველ მესამე ბავშვს (აღნიშნული რიტუალი პირველად 2008 წლის 16 იანვარს შესრულდა).

აღნიშნულ მოვლენაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერც საქართველოში 2009 წელს ჩატარებული რეპრეზენტატიული გამოკვლევის – „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურ-

თიერთდამოკიდებულება“ იძლევა. ავტორთა აზრით, საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს (ბადურაშვილი ი., კაპანაძე ე., წიკლაური შ. ოჯახური ურთიერთობები და..., 2010), ხოლო რაც შეეხება მომავლის პერსპექტივებს, აღნიშნავენ: „ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგები არ გვაძლევს არანაირ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების რეპროდუქციული განზრახვები გაზრდილია..., უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი შობადობის რეალური ზრდა საქართველოში“ (იქვე, გვ. 64).

ნაწილობრივ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებებს, მაგრამ განხილული დროის მონაკვეთში შობადობის ასეთი მკვეთრი მატება დემოგრაფიული მეცნიერების თვალსაწიერიდან ნაკლებად დამაჯერებელია. მოვლენის ასახსნელად აუცილებელია, გაანალიზდეს შობადობის ყველაზე მაღალი დონით გამორჩეული ასაკის (20-24 და 25-29 წწ.) ქალებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები. დემოგრაფიულ მეცნიერებაში გათვითცნობიერებული ადამიანისათვის ცნობილია დემოგრაფიული ტალღების

არსებობის შესახებ. ზოგადად, დემოგრაფიული ტალღა არსებული სიტუაციისა და გარემო ფაქტორების შედეგად ყალიბდება, რის გამოც თავისი არსებობის მანძილზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ სისტემაზე, იწვევს რა მისი პარამეტრების კორექტირებას (მელაძე გ., საქართველო და გლობალური... 2013).

დაბადებული ბავშვების რაოდენობამ პიკს 2009 წელს მიაღწია, ამ დროისათვის ბავშვთა შობით გამორჩეულ ასაკებში (20-24 და 25-29 წწ.) იმ ქალების თაობა შევიდა, რომლებიც 1980-იანი წლებში დაიბადნენ, როდესაც მაღალი იყო შობადობა. ჩვენი აზრით, უმთავრესად აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ტალღის გამოძახილი იყო 2006-2009 წლების შობადობის მატება. რა თქმა უნ-

და, აღნიშნული დემოგრაფიული ტალღის შესაძლებლობები ამოწურვადია და შობადობის მატებას კლება მოჰყვებოდა. დღესდღეობით აქტიურ საქორწინო ასაკში შედის იმ ქალთა თაობა, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაიბადა, როდესაც მკვეთრად შემცირდა შობადობა. დღესდღეობით შობადობის სფეროში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას დაერთო კოვიდ-19-ის გლობალური პანდემია, რომელმაც ნეგატიური კორექტივები შეიტანა დაბადებულთა რაოდენობაში. უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი შობადობის ზრდა, ვინაიდან ქალების საერთო რაოდენობაში – ბავშვთა შობით გამორჩეულ რეპროდუქციულ ასაკში (20-29 წწ.) მყოფი ქალთა რაოდენობა მეტად მცირეა (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

20-29 წლის ასაკის ქალების რაოდენობა, ქალების ასაკობრივ სტრუქტურაში საქართველოში მოსახლეობის აღწერების მიხედვით*

აღწერის წლები	20-29 წლის ასაკის ქალების რიცხოვნობა	
	აბსოლუტური მონაცემები (ათასი)	პროცენტი
1926	221.7	16.8
1939	311.4	17.5
1959	406.6	18.7
1970	304.2	12.2
1979	402.7	15.2
1989	451.9	15.9
2002**	289.0	13.8
2014	275.2	14.2
2021***	217.0	11.2

* 2002 და 2014 წლები – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე.

**2002 წელი – საქსტატის შეფასებითი მონაცემები.

*** 2021 წელი – მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია.

წყარო: საქსტატი.

საგულისხმო ფაქტია, რომ თუკი აბსოლუტურ რიცხვებში განხილული ასაკის ქალების რაოდენობა 2002 წელს 289.0 ათასის ტოლი

იყო, 2021 წელს ისინი სულ 217.0 ათასს შეადგენდნენ, მათი წილი კი უპრეცედენტოდ დაბალი (11.2%) იყო.

შობადობის სფეროში 2014 წელს კვლავ დაფიქსირდა მოულოდნელი ფაქტი, კერძოდ, აღნიშნულ წელს დაბადებულთა რაოდენობამ 60.6 ათასი ბავშვი შეადგინა, რაც 11 ათასით აღემატებოდა 2013 წელს დაფიქსირებული ბავშვების რაოდენობას. აღნიშნული მოვლენის მიზეზი სტატისტიკურ აღრიცხვაში უნდა ვეძიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შემდგომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოახდინა დემოგრაფიული მაჩვენებლების გადაანგარიშება 1995-2013 წლების პერიოდისათვის. გადაანგარიშებისას აღმოჩნდა, რომ „ყოველ კალენდარულ წელს ქვეყანაში დაახლოებით 15-პროცენტით სხვაობა ფიქსირდება, ერთი მხრივ, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაბადების რეგისტრში და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ან მონაცემები) გაცემაზე პასუხისმგებელ განყოფილებაში რეგისტრირებულ ახალშობილთა რაოდენობასა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტატისტიკით აღრიცხული შესაბამისი ასაკის ბავშვების რაოდენობებს შორის“ (ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017). სამწუხაროდ, ავტორის განმარტებით, ჯერჯერობით ამ სხვაობას ახსნა ვერ მოეძებნა (იქვე, გვ. 20). აქედან გამომდინარე, შემოღებულ იქნა ტერმინი „შობადობა რეზიდენტთა შორის“. ზემოაღნიშნული დროის პერიოდში ოფიციალურად გამოქვეყნებულ დაბადებულთა რაოდენობას რეზიდენტი მოსახლეობის მიერ დაბადებული ბავშვები შეადგენენ. 2014 წლიდან დაბადებულთა აღრიცხვა მოიცავს როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ქალების მიერ გაჩენილ ბავშვებს.

სამეცნიერო თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ შობადობის განმსაზღვრე

ლი შემდეგი კომპონენტებიდან შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილებაში რომელ მათგანს რა წილი გააჩნდა:

- ა) 15-49 წლის ქალების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
- ბ) რეპროდუქციული კონტინგენტის ქალების ასაკობრივი სტრუქტურა;
- გ) შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები.

დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოვიყენებთ საინდექსო მეთოდს.

ფორმულას, რომლის მეშვეობითაც გაანგარიშებულ იქნა კოეფიციენტის ცვლილების ფაქტორები, შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{n^1}{n^0} = \frac{dW_{15-49}^1}{dW_{15-49}^0} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^0}{\sum F_x^0 \omega_x^0} \times \frac{\sum F_x^1 \omega_x^1}{\sum F_x^0 \omega_x^0}$$

სადაც: n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი; dW_{15-49} – 15-49 წლის ქალების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში; ω_x – რეპროდუქციული ასაკის (5-წლიანი ასაკობრივი ჯგუფები) ქალების წილი, 15-49 ასაკის ქალთა საერთო რაოდენობაში.

განგარიშებების შედეგად ირკვევა, რომ მხოლოდ 2015-2020 წლებში დაფიქსირდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილების სამივე კომპონენტის უარყოფითი მნიშვნელობა (იხ. ცხრილი 3). აღნიშნული დროის მონაკვეთში კოეფიციენტი 21,4%-ით შემცირდა. დაფიქსირებულ მოვლენაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების კლებით გამოწვეული შობადობის შემცირება (-13,0%). შობადობის კოეფიციენტის კლებაში მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 15-49 წლის ასაკის ქალების წილის კლებაზე 5.7 პროცენტი მოდიოდა. შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კლება 2.7%-ით იყო განსაზღვრული, ქალების რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერებით.

ცხრილი 3

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების ცვლილებების კომპონენტები საქართველოში 1990-2020 წწ. (პროცენტებში კოეფიციენტის სიდიდესთან თითოეული პერიოდის დასაწყისში)

წლები	მათ შორის ცვლილების ხარჯზე			
	შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ცვლილება პერიოდში	მოსახლეობაში 15-49 წლის ასაკის ქალების წილის	ქალების რეპროდუქციული კონტინენტის ასაკობრივი სტრუქტურის	შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების
1990-1995	-29.2	16.0	-15.8	-29.4
1995-2000	-2.4	2.2	-5.7	1.1
2000-2005	-0.1	-0.1	-0.2	0.2
2005-2010	23.7	-3.6	2.9	24.4
2010-2015	8.9	-6.3	1.5	13.8
2015-2020	-21.4	-5.7	-2.7	-13.0

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა შობადობის ასაკობრივმა კოეფიციენტებმა (იხ. ცხრილი 4). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ყოველ ათას ქალზე გაანგარიშებით, თითქმის განახევრდა 15-19 წლის ასაკის ქალთა მაჩვენებელი. განსხვავებულ მონაცემებს იძლევა მსოფლიო ბანკი, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 2019 წელს 44.0%-ს შეადგენდა, რაც 9-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, გერ-

მანია, ნიდერლანდები, შვეიცარია) შესაბამის კოეფიციენტებს (<https://data.worldbank.org>). საგულისხმო ფაქტია, რომ 2017 წლიდან 25-29 წლის ქალების კოეფიციენტი აღემატება 20-25 წლის ასაკის ქალთა მაჩვენებელს. დაფიქსირებული ფაქტი ბავშვის დაბადებისას დედის საშუალო ასაკის მატებითაა განპირობებული. ოფიციალური მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 1994-2020 წწ. 4.6 წლით გაიზარდა და 28.5 წელი შეადგინა (2020 წ.).

ცხრილი 4

შობადობის ასაკობრივი და ჯამობრივი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1990-2020 წწ.

წლები	დედის ასაკი							შ. ჯ. კ.
	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-54	
1990	58.1	167.3	110.2	64.1	24.7	6.2	0.3	2,16
1995	65.7	116.0	67.9	42.7	16.9	4.3	0.3	1,57
2000	43.7	120.6	80.8	46.3	20.5	5.3	0.5	1,59
2005	45.1	111.7	86.3	49.9	20.8	4.8	0.3	1,59
2010	52.2	132.6	111.0	67.0	29.1	6.8	0.3	2,00
2015	48.4	144.1	128.0	87.7	41.5	10.6	0.7	2,31
2020	27.3	103.3	121.8	81.6	44.4	13.3	1.7	1,97

წყარო: საქსტატი.


აღსანიშნავია, რომ ბავშვის დაბადებისას დედის საშუალო ასაკის ანალიზისათვის უმჯობესია გამოყენებულ იქნას არა საშუალო,

არამედ მედიანური ასაკი, რომელიც გაცილებით ზუსტად აღწერს მდგომარეობას. ჩვენი გაანგარიშებით, 2020 წელს მედიანურმა ასაკმა

32.5 წელი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში ქალები უფრო მაღალ ასაკებში აჩენენ ბავშვებს. ამ უკანასკნელ ფაქტს ამტკიცებს ქალთა 20-24, 25-29 და 30-34 წლის ასაკობრივი კოჰორტების დინამიკა (იხ. ნახ). ნახაზიდან ირკვევა, რომ დაბადებულთა საერთო რაოდენობაში სულ უფრო მატულობს 30-34 წლის ქალთა კოჰორტის წილი. 2020 წელს აღნიშნული ასაკის ქალთა წილმა დაბადებულთა საერთო რაოდენობაში გადააჭარბა 20-24 წლის ასაკის ქალების მაჩვენებელს.

ნახაზი 2

ქალთა 20-24, 25-29 და 30-34 წლის ასაკობრივი კოჰორტების დინამიკა (პროცენტი)



წყარო: საქსტატი.

4. გლობალური პანდემია და შობადობა

ცალკეულ ქვეყნებში კორონავირუსის პანდემიამ არაერთგვაროვანი ზეგავლენა მოახდინა შობადობაზე (იხ. ცხრ. 5). ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2021 წელს, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაბადებულთა

რაოდენობა საგრძნობლადაა შემცირებული პოლონეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში. საპირისპირო მოვლენა დაფიქსირდა ნიდერლანდებში, გერმანიაში, ფინეთში და სხვ.

ცხრილი 5

დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობის ცვლილება 2020 და 2021 წლის შესაბამის პერიოდებში

ქვეყანა	2020 წელი	2021 წელი	დაბადებული ბავშვების ცვლილება 2020 და 2021 წლების შესაბამის პერიოდებში
საფრანგეთი	01.-1.08.2020	01.-1.08.2021	-8959
შვედეთი	01-07.2020	01-07.2021	+395
გერმანია	01-06.2020	01-06.2021	+3923
იტალია	01-06.2020	01-06.2021	-11015
ესპანეთი	01-07.2020	01-07.2021	-8331
ავსტრია	01-06.2020	01-06.2021	+600
ბელგია	01-07.2020	01-07.2021	-211
ბულგარეთი	01-06.2020	01-06.2021	-792

ხორვატია	01.-08.2020	01.-08.2021	+177
ჩეხეთი	01-06.2020	01-06.2021	+422
დანია	01-06.2020	01-06.2021	+814
ესტონეთი	01.-08.2020	01.-08.2021	-9
ფინეთი	01.-08.2020	01.-08.2021	+2040
უნგრეთი	01.-08.2020	01.-08.2021	-533
ირლანდია	01.03.2020	01.03.2020	-476
ლატვია	01-07.2020	01-07.2021	-548
ლიეტუვა	01.-08.2020	01.-08.2021	-717
ნიდერლანდები	01.-08.2020	01.-08.2021	+5665
პოლონეთი	01-07.2020	01-07.2021	-16700
პორტუგალია	01-06.2020	01-06.2021	-4189
რუმინეთი	01-07.2020	01-07.2021	-336
სლოვაკეთი	01-07.2020	01-07.2021	+239
სლოვენია	01.-08.2020	01.-08.2021	-54

წყარო: მონაცემები აღებულია ქვეყნების შესაბამისი სტატისტიკური სამსახურების ვებგვერდებიდან.

2010-2019 წწ. ფინეთში დაბადებული ბავშვების აბსოლუტური რაოდენობის პერმანენტული კლება ფიქსირდებოდა. 2020 წელს შობადობა გაიზარდა, ხოლო 2021 წლის პირველ რვა თვეში უფრო მეტი ბავშვი დაიბადა, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (<https://pxnet2.stat.fi/...>). ფინელი ოჯახის მკვლევრის კ. იოკინენის აზრით, დაფიქსირებულ ფაქტს შემდეგი ახხნა გააჩნია – პანდემიამ გამოათავისუფლა სხვადასხვა გასართობებისა და მოგზაურობისათვის განკუთვნილი დრო და სახსრები. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ფინეთმა შედარებით უკეთ შეძლო პანდემიასთან გამკლავება, რის გამოც ადამიანებში შესაძლებელია გაიზარდა მომავლის რწმენა. მიუხედავად ამისა, იგი აღიარებს, რომ შობადობის მცირე ბუმი ვერ შეცვლის მრავალწლიან კლების ტენდენციას (<https://worldakkam.com/finlands...>).

დემოგრაფიის დარგის ექსპერტების აზრით, შობადობის მატება გერმანიაში გამოწვეულია ოჯახის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკით. ასევე იმ ფაქტით, რომ მოსახლეობას ხელისუფლებისაგან აქვს გარანტიები, რომ სახელმწიფო იმ შემთხვევაშიც კი გადაუხდის ხელფასს, თუკი მოსახლეობა ვერ შეძლებს

მუშაობას იზოლაციის დროს (<https://www.reuters.com/...>).

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, იძულებითი იზოლაციის გამო წყვილები უფრო მეტ დროს ატარებენ ერთად, რაც ხელს უწყობს შობადობას. ანგარიშგასაწევია ის მოსაზრებაც, რომ პანდემიის პირობებში ოჯახები სამომავლოდ გადადებენ ბავშვთა შობას, სახელმწიფოს მიერ იძულებით გამოწვეული ლოკდაუნები ამცირებს ახალგაზრდების სექსუალურ აქტივობას, რაც შესაბამისად ამცირებს პოტენციურ წყვილთა დაქორწინების შემთხვევებს, რაც შობადობის კლებაში აისახება.

სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც შემცირდა შობადობა, პანდემიის შემდეგ მისი მატებაა მოსალოდნელი და ამის მაგალითად მოჰყავთ ომის შემდგომი ბეიბი-ბუმი. ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, მაღალ დონეზე მდგომ ქვეყნებში ნაკლებად მოსალოდნელია შობადობის საგრძნობი ზრდა. შესაძლებელია დაფიქსირდეს ხანმოკლე მატება, რაც გამოწვეული იქნება – პანდემიის გამო – ე.წ. „ფეხმძიმობის დაპაუზებით“. აღნიშნულის საფუძველს იძლევა ის

ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში მეუღლეებს ჩამოყალიბებული აქვთ დაბალი რეპროდუქციული განწყობები, რაც ბავშვების ნაკლებ სასურველ რაოდენობას გულისხმობს. აღნიშნული განწყობა საკმაოდ მდგრადია, წყვილებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული თავიანთი აზრი, თუ რა რაოდენობის ბავშვებს იყოლიებენ და დროის რა ინტერვალებით.

საქართველოში კორონავირუსული დაავადება COVID-19-ით ინფიცირებული ადამიანი

პირველად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. მოსახლეობის მიერ საშიშროების მთელი სერიოზულობით აღქმას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდა, რის გამოც შობადობის პროცესები ინერციით მიმდინარეობდა.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემები, 2020 წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით გაუარესებულია (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა
2020 და 2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოში

წელი	ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი		
	დაბადებულთა რაოდენობა	გარდაცვლილთა რაოდენობა	ბუნებრივი მატება
2020. I-VI.	22310	23794	-1484
2021. I-VI.	21839	25821	-3982

წყარო: ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები 2021 იანვარი-ივნისი (წინასწარი მონაცემები).

საქსტატი. 15.09.2021. <https://www.geostat.ge>

საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის პირველ ნახევარში საქართველოში 21839 ბავშვი დაიბადა, რაც 471 ბავშვით ნაკლები იყო 2020 წლის შესაბამისი დროის მონაკვეთში დაბადებულთა რაოდენობაზე. ბუნებრივია, დაისმის კითხვა, რამდენად იყო აღნიშნული მოვლენა პანდემიის შედეგი?

მიუხედავად პანდემიის ნეგატიური გავლენისა შობადობაზე, იგი ძირეულად ვერ შეცვლის მოსახლეობის აღწარმოების პროცესს, ვინაიდან ადამიანები არ იქცევიან ფლუგერის მაგვარად, არ იხრებიან იმ მხარეს, საიდანაც ქარი ქრის, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორცაა ოჯახის დაგეგმვა. არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა კრიზისმა შესაძლებელია, გამოიწვიოს ბავშვთაშობის გადავადება გარკვეული დროით, რასაც დიდი ალბათობით მომავალში მოჰყვება შობადობის ადრინდელი დონის მეტნაკლებად აღდგენა.

საქართველოში შობადობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, კოვიდ-19 პანდემიაზე გაცილებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს რეპროდუქციული ასაკის ქალების მცირე რაოდენობა, რაც მომავალშიაც საგრძნობი იქნება.

დასკვნები

- დემოგრაფიული გადასვლა არ დასრულდება მოსახლეობის სტაბილიზაციით. მეოთხე ფაზის დასრულების შემდგომ დამკვიდრდება მეხუთე ანუ რეგრესული ფაზა.
- ახლო მომავალში საქართველოში არ არის მოსალოდნელი შობადობის მატება, ვინაიდან აქტიურ საქორწინო ასაკში იმყოფება იმ ქალთა თაობა, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიბადა, როდესაც მკვეთრად შემცირდა შობადობა.
- უახლოესი მონაცემებით (2021 წელი), ქალების საერთო რაოდენობაში ქვეყანაში

უპრეცედენტოდ დაბალია 20-29 წლის ასაკის ქალების რაოდენობა.

- საინდექსო მეთოდით შობადობის კვლევამ გვიჩვენა, რომ შობადობის სფეროში მომავალში გარდაუვალია პრობლემური სიტუაციის კიდევ უფრო გაღრმავება.
- ქალების ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, საქართველოში მოსალოდნელი იყო შობადობის კლება. კოვიდ-19 პანდემია დროში დაემთხვა აღნიშნულ პროცესს, რის შედეგადაც მისი მასშტაბი გარკვეულწილად გაიზარდა.
- საქართველოში სულ უფრო მატულობს ქალთა საშუალო ასაკი ბავშვის გაჩენისას. 2020 წელს 30-34 წლის ასაკის ქალთა წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში აღემატებოდა 20-24 წლის ასაკის ქალების მაჩვენებელს, რაც უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა.
- არსებული არასტაბილური ეკონომიკური ვითარების და რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობის შემცირების პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახების აქტიური დახმარების გარეშე, შობადობა კიდევ უფრო შემცირდება.
- სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ოჯახების შემწეობებისა და სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფისაკენ. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, შეიქმნას მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, ხელმისაწვდომი კომფორტული საცხოვრებელი ბინები, სტაბილურად მზარდი შემო-

სავლები, მნიშვნელოვანია, ოჯახებს ჰქონდეთ მყარი სოციალური გარანტიები.

- განსაკუთრებით აქტუალურია, სახელმწიფომ მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ ოჯახების დასახმარებლად, რომელთაც ჰყავთ ბავშვები და გეგმავენ ბავშვის გაჩენას. შესაძლებელია, აღნიშნულმა ზომებმა ვერ გამოიწვიოს შობადობის ზუზუმი, მაგრამ აღნიშნული ოჯახებისათვის ეს დახმარება საკმაოდ მნიშვნელოვანი სტიმული იქნება.
- სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი კოვიდ-19 პანდემიის გავლენის შესახებ შობადობაზე. ასევე ბუნდოვანია, თუ რა ზეგავლენას მოახდენს პანდემია დემოგრაფიულ პროცესებზე მომავალში, ვინაიდან უცნობია, თუ რამდენ ხანს გასტანს იგი.
- კოვიდ-19 ეპიდემიით შექმნილი კრიზისის მასშტაბს ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიოს პანდემიათა ისტორიაში. კოვიდ-19 ვირუსის ახალ შტამებად გარდაქმნის უნარის გამო მისი შედეგები გაცილებით უფრო კომპლექსური იქნება. დღესდღეობით რთულია დარწმუნებით რაიმეს თქმა, დასკვნების გაკეთებას დრო ესაჭიროება.
- სავარაუდოდ, კორონავირუსის პანდემია რადიკალურად ვერ შეცვლის შობადობის გლობალურ ტრანექტორიას. აღნიშნული არ გამორიცხავს პანდემიის მიერ არსებული ტრენდების დაჩქარებას ან შენელებას. სცენარის განხორციელება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ცალკეულ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ფაქტორებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადურაშვილი ი., კაპანაძე ე., წიკლაური შ., ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში, გამოკვლევის II ტალღის ანგარიში, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი (UNFPA) , გვ. 64, თბ., 2010.
2. გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბ., 1997.
3. გუგუშვილი თ., საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, თბ., 1998, მელაძე გ., საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები, გვ. 23, თბ., 2013.

4. მელაძე გ., წულაძე გ., დემოგრაფიული გადასვლის შედეგი; სტაბილიზაცია თუ რეგრესი? ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ჟურნალი „საქართველო“, გვ. 171-179, 1998.
5. მელაძე გ., წულაძე გ., საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები, თბ., 1997.
6. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები 2021 იანვარი-ივნისი (წინასწარი მონაცემები), საქსტატი, 15.09.2021. www.geostat.ge
7. წულაძე გ., მელაძე გ., საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები (მონოგრაფია), თბ., 1997.
8. ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 1999, სტატისტიკური კრებული, თბ., 2000.
9. ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, თბ., 2017.
10. 1994-2014 წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება, საქსტატი
http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/gadaangarisheba%20report%20_%20Geo_2018.pdf.
11. Carlson A.C. Family Questions: Reflections on the American Social Crisis. New Brunswick (USA) & Oxford (U.K.), 1990.
12. <https://data.worldbank.org/>
13. <https://demoscope.ru>
14. <https://population.un.org>
15. <https://population.un.org/wpp/Download/Standard/Population/>
16. https://pxnet2.stat.fi/PXWeb/pxweb/en/StatFin/StatFin__vrm__kuol/?tablelist=true
17. <https://worldakkam.com/finlands-birth-rate-rises-in-the-covid-19-pandemic-after-a-prolonged-baby-bust/155725/>
18. <https://www.reuters.com/article/uk-health-coronavirus-germany-births-idUKKCN2DR0WP>
19. Meladze G. Problems of demographic statistics in Georgia in the period after independence // Place et role statistiques de population en situation post-coloniale. International conference, Paris 9-10, XII, 2004.
20. Meladze G. Population development in Georgia: long-term view // Population date harmonization and basic demographic time series on Armenia, Azerbaijan and Georgia. Tallinn, May 9-12, 2002.
21. Volk A., Atkinson J. Infant and child death in the human environment of evolutionary adaptation // Evolution and Human Behavior 34 (2013). P. 184.
22. 2020 World Population Data Sheet. PRB. 2021. P. 5-20.
23. Гуджабидзе В.В. Демографический переход и старение населения в Грузии // Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тбилиси, 1990.
24. Гуджабидзе В.В. Пространственно-временная диффузия демографического перехода и прогнозирование естественного движения населения // Проблемы регионального демографического планирования. Душанбе, 1979.

არქეოლოგიური ტურიზმის არსი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ჯემალ ძაძუა (†)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

ანოტაცია

არქეოლოგიური ტურიზმი, რომელიც სამეცნიერო ტურიზმის ნაწილს წარმოადგენს, სწრაფად ვითარდება საქართველოში. ამის საფუძველს წარმოადგენს ის მდიდარი, მრავალფეროვანი და ხანგრძლივი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში.

სტატიაში განხილულია არქეოლოგიური ტურიზმის არსი და ქართული არქეოლოგიური სკოლის თავისებურებანი, საქართველოს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტების გეოგრაფია და არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, არქეოლოგია, საქართველო, გეოგრაფია

THE ESSENCE OF ARCHAEOLOGICAL TOURISM AND ITS DEVELOPMENT PERSPECTIVES IN GEORGIA

Jemal Dzadzua (†)

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Department of Regional Geography and Landscape Planning

Annotation

Archaeological tourism, which is part of scientific tourism, is developing rapidly in Georgia. This is based on the rich, diverse and long-lasting archaeological material found in our country.

The article discusses the essence of archaeological tourism and the peculiarities of the Georgian Archaeological School, the geography of important archeological sites in Georgia and the prospects for the development of archaeological tourism.

Key words: Tourism, Archeology, Georgia, geography

შესავალი

არქეოლოგიური ტურიზმი სამეცნიერო ტურიზმის სფეროს განეკუთვნება, თუმცა არსებობს მათ შორის გარკვეული სხვაობაც. თუ სამეცნიერო ტურიზმის საფუძველს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და პროცესების, ისტორიულ სიძველეთა კვლევა-ძიება და შესწავლა, მაშინ არქეოლოგიური ტურიზმი შეიძლება მივაკუთვნოთ დადებითი ემოციების მქონე ტურიზმის სფეროს, სადაც თავს იყრის სამეცნიერო, შემეცნებითი და რიტუალური ტურიზმის სახეობები.

საქართველოში არქეოლოგია XIX საუკუნეში ჩაისახა, ხოლო განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობით (1975 წელი). დმანისის არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულად ახლებურად დააყენა კავკასიაში ადამიანის პირველად გამოჩენის ქრონოლოგია.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, არქეოლოგიური ძეგლების სიუხვემ ყველა პირობა შექმნა საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის კიდევ ერთი სახეობის – „არქეოლოგიური ტურიზმის“ განვითარების

სათვის. იგი ტურისტებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რომელსაც ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლებული უძველესი ტომები. ტურისტებს ასევე ექნებათ საშუალება, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა (თუ ამის სურვილი გააჩნიათ) არქეოლოგიურ გათხრებში.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო წყაროს ანალიზი, სავლელე კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ იქნა არქეოლოგიური ობიექტების გეოგრაფიული თავისებურებანი, განხორციელდა საქართველოში არსებული სამუზეუმო და მხარეთმცოდნეობითი მასალის კლასიფიკაცია.

შედეგები

1. არქეოლოგიური ტურიზმის არსი და ქართული არქეოლოგიის განვითარების თავისებურებანი

ტურიზმი, ერთი შეხედვით, უბრალო, მაგრამ თავისი მრავალმხრივი ფორმებით დასვენების, ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის პროცესია. იგი სჭირდება ყველას, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა და რწმენისა.

ყოველი ტური ან მოგზაურობა წინასწარ გარკვეული შინაარსის მატარებელია, გააჩნია თავისი მიზანი, რომლის მიხედვითაც მას ტურიზმის ამა თუ იმ სახეობას მიაკუთვნებენ.

საერთაშორისო ტურიზმის სფეროში ჩამოყალიბდა ტურიზმის კიდევ ერთი ახალი სახეობა „არქეოლოგიური ტურიზმი“, რომელიც ფებს აქტიურად იკიდებს საქართველოში.

როგორც ცნობილია, არქეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის განვითარების ისტორიას ნივთიერი კულტურის ძეგლების მეშვეობით. მისი კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი წყაროებს და ისტორიულ ცნობებს.

როგორც მეცნიერება, არქეოლოგია ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. თუმცა არქეოლოგიური მასალისადმი ინტერესი უძველესი დროიდან გააჩნდა კაცობრიობას. ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში ბაბილონის მეფის ნაბონიდის ბრძანებით, თხრიდნენ ძველსასახლეთა ნანგრევებს და აღრიცხავდნენ ყოველგვარ მონაპოვარს, უმთავრესად კი წარწერებს.

ტერმინი „არქეოლოგია“ სიმკვლემით გამოიყენა პლატონმა (ძვ.წ. IV ს.). სიმკვლემით შესწავლა საგანგებო ყურადღების საგანი გახდა ძველ რომში, სადაც პოეტმა და მოაზროვნემ ლუკრეციუსმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება კაცობრიობის ისტორიაში ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანის მონაცვლეობის შესახებ (რაც შემდგომ დადასტურებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შედეგად (ქართული ენციკლოპედია, 1975). არქეოლოგიის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმავლობამ XIX საუკუნეში. გეოლოგიური თვალსაზრისით, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა კაცობრიობის ისტორიის განვითარების დაკავშირება დედამიწის ისტორიის პერიოდებთან. დადგინდა კავშირი პალეოლითსა და ნეოლითს შორის, გამოიყო გარდამავალი ეპოქა მეზოლითი.

საქართველოში არქეოლოგია XIX საუკუნეში ჩაისახა და განვითარდა. მიუხედავად არქეოლოგიური გათხრების სიმცირისა, მნიშვნელოვანი აღმოჩენები ჩატარდა სამთავროს სამაროვნისა და საჩხერის ყორღანულ სამარხებში. მრავალი არქეოლოგიური მასალა მოპოვებული იქნა ყაზბეგის განძის, ბორის სამაროვნის, ახალგორის განძის სამარხებში. ამ მასალების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია თბილისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმებში.

რიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმებში და რაიონული ცენტრების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, რომელიც ტურისტების დიდ ინტერესს იმსახურებს.

საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობით (1975 წელი), რომელმაც შეისწავლა სამთავროს სამაროვნები, არმაზისხევის, ბაგინეთის და საკუთრივ მცხეთის არაერთი უძველესი ძეგლი. ამან საფუძველი ჩაუყარა ქალაქ მცხეთის მთლიანად მუზეუმად გამოცხადებას და იგი დღეს ტურისტებისათვის მიმზიდველ, ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარ და გამორჩეულ ადგილს წარმოადგენს.

2. საქართველოს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტები

სამხრეთი კავკასია და მისი განუყოფელი ნაწილი საქართველო მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. უძველესი ადამიანის ნაკვალევი ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ქვის ხანის უძველესი ეტაპების: შელის, აშელის და მუსტიეს ხანაშია ცნობილი, როდესაც ადამიანები ჯგუფებად (ჯოგებად ცხოვრობდნენ) და მათთვის მეურნეობის ძირითად საქმიანობას კოლექტიური ნადირობა (მამაკაცებისათვის) და შემგროვებლობა (ქალებისათვის) წარმოადგენდა. აღნიშნულ ეპოქებში ვითარდებოდა ქვის შრომისა და სანადირო იარაღების დამზადების ტექნიკა, რომელთა გაცნობა ვიზიტორებს შეუძლიათ მხარეთმცოდნეობისა და სახელმწიფო მუზეუმებში.

საქართველოს ზღვისპირა ზოლი მიმდებარე ტერიტორიებით უძველესი ადამიანებით დასახლებული ყოფილა აშელის ეპოქაში, რაზეც მეტყველებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოხუმის მახლობლად აღმოჩენილი იაშთხვის ნამოსახლარი. ასევე აღსანიშნავია ამავე ეპოქის კუდაროს მღვიმეთა ჯგუფი, წონის გამოქვაბული ერწოს ტბის მახლობლად შიდა ქართლში და ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო (ჯაფარიძე, 2003).

დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას ტურისტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ ნეოლითის ხანის გვიან საფეხურზე მდგარი ადამიანის მიერ დამზადებული ორნამენტური ქვისა და კერამიკის იარაღების ახალ სახეობებს, რომელიც აღმოჩენილია ანასეულის, გურიანთას, ოდიშის და სხვა სამარხებში.

არანაკლებად დაინტერესებთ ტურისტებს საქართველოში კარგად ცნობილი ნეოლითის ბოლო ეტაპისა და ენეოლითის სპილენძ-ქვის ხანის ნამოსახლარები, რომელიც აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში მდ. მტკვრის შუა წელისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, დასავლეთ საქართველოში რიონ-ყვირილის აუზში, იმერეთში ქუთაისის მახლობლად (თეთრამიწის ნამოსახლარი), სადაც გამოქვაბულებში კარგად არის შემონახული ენეოლითური კულტურა. უძველესი ნამოსახლარებია ასევე გამოვლენილი საგვარჯილეს, სამელე კლდეს, სამერცხლე კლდეს, დარკვეთის და სხვა გამოქვაბულთა კომპლექსში (ჯაფარიძე, 2003).

დმანისის არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულად ახლებურად დააყენა კავკასიაში ადამიანის პირველად გამოჩენის ქრონოლოგია. დმანისის ფეოდალური ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ქვის ხანის სადგომი, სადაც ხერხემლიანთა ძვლებს შორის ნაპოვნი იქნა უძველესი ადამიანის „ჰომინიდების“ მსგავსი რამდენიმე თავის ქალა, ქვედა ყბა და ქვის პრიმიტიული იარაღები. მეცნიერთა მტკიცებით, უძველესი ადამიანი ამ მიდამოებში გამოჩნდა უკანასკნელი ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ, რომელიც ბაზალტური ლავების იზოტოპური განსაზღვრის შედეგად დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ უნდა მომხდარიყო და უძველესი ადამიანი აქ აფრიკის კონტინენტიდან უნდა შემოსულიყო. თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, საქართველო თავად წარმოადგენს უძველესი ადამიანის ფორმირების კერას.

სამარხებში ნაპოვნი მასალების საფუძველზე კრანიოლოგიებისა (მეცნიერება, რომელიც

სწავლობს ადამიანისა და ცხოველების თავის ქალის აგებულებას) და რესტავრატორების ერთობლივი მუშაობის შედეგად აღდგენილ იქნა უძველესი ადამიანის ქალის („მზია“) და მამაკაცის („ზეზვა“) პირვანდელი სახეები, რომელიც გამოფენილია თბილისის სახელმწიფო მუზეუმში და ვიზიტორთა დიდ მოწონებას იმსახურებს. ამჟამად დმანისის არქეოლოგიური გათხრების არეალი არქეოლოგიური ტურიზმის უმნიშვნელოვანესი კერაა საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო და შიდა ქართლში (ქვაცხელები, ხიზანთ გორა, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.) ტურისტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ უფრო განვითარებული, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებს, რომელიც ენეოლითის კულტურის ფესვებზე აღმოცენდა. ეს კულტურა დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილია რიონ-ყვირლის აუზშიც. ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ტურისტები გაეცნობიან ამ კულტურის ქვისა და ძვლის იარაღთან ერთად, ხელით ნაძერწ, კარგად ჩამოყალიბებულ კერამიკულ ფორმებს და მეტალურგიული წარმოების სამეურნეო იარაღებს, რითიც განთქმულნი იყვნენ აქ მაცხოვრებელი ტომები.

საინტერესო იქნება ტურისტებისათვის ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურაზე აღმოცენებული თრიალეთის კულტურის გაცნობა, რომელიც უპირატესად ამავე ქედის ფარგლებში წარმოდგენილ სამარხებში იქნა აღმოჩენილი. ამ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანთა ყოფა-ცხოვრება განსხვავებულია სხვა ეპოქებისაგან. კერძოდ, მიცვალებულთა დასაფლავების წესით, ჩნდება ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთების დამუშავების მაღალი ტექნიკა, რაც მაღალ ოსტატობას დაუფლებულ ხელოსანთა არსებობაზე მიგვანიშნებს. აყვავების ხანაში თრიალეთის კულტურამ მთლიანად მოიცვა აღმ. საქართველოს მიმდებარე მხარეები, ხოლო დას. საქართველოში იგი საერთოდ არ გავრცელებულა (ჯაფარიძე, 2003).

ტურისტებს თრიალეთის კულტურის ამ სახველ მასალებში საშუალება ეძლევათ, გაეცნონ ოქრომჭედლობაში თავისებური დამუშავებით შექმნილ საიუველირო ნივთებს: ოქროს სასმისებს, საკინძეებს, მძივებს, კულონებს. ვერცხლიდან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს (რომელზეც რთული კომპოზიციებია ამოტვიფრული), ბრინჯაოს იარაღ-სამკაულებს, თავისებური ფორმის ცულებს, სატევრებს, მასრიან შუბისპირებს და სხვა ნივთებს.

ტურისტებს დააინტერესებთ ასევე შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებში ნაპოვნი ნივთების გაცნობა. ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ბარი და მთისწინეთი ინტენსიურად ყოფილა დასახლებული და აქ მცხოვრებთა ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. აღმავლობის გზაზე ყოფილა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება, რასაც მოწმობს მდინარე რიონის ზემო წელში აღმოჩენილი მაღაროების და სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული იარაღების სიმრავლე. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ, ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაეცნონ ამ ეპოქის ბრინჯაოსაგან დამზადებულ სხვადასხვა ფორმის ცულებს, მახვილებს, სატევრის პირებს, მასრაშეკრულ შუბისპირებს, სამეურნეო იარაღებს: სატებს, ხელეჩოს, ნამგალს, ჩარხზე დამუშავებულ კერამიკულ ნივთებს. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალის გაცნობა ტურისტებს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ როგორი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობდა იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებაში, როგორი იყო მათი ყოფითი კულტურა.

ამჟამად წარმატებით ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფეოდალური ხანის ძეგლების (ნამოსახლარების) არქეოლოგიური კვლევა, რომლებიც ავსებენ წერილობითი წყაროების მონაცემებს და ახლებურად აშუქებენ შუა საუკუნეთა საქართველოს კულტურის მრავალ საკითხს.

ამის ნათელი მაგალითია ალგეთის ხეობაში 2012 წელს მიმდინარე გათხრების დროს სამარხში აღმოჩენილი შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანის ჩონჩხის ნარჩენები. ამავე წელს ბორჯომის მახლობლად სოფელ საკირეში აღმოჩენილია სამი ათასწლეულის სამარხი ქალის ჩონჩხის ნარჩენებით და უძველესი კერამიკული საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სხვადასხვა სახეობებით, რომლის ერთ-ერთ ნაწილში მოთავსებული იყო თაფლი. ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ეს თაფლი ეგვიპტეში ტუტანჰამონის სარკოფაგში აღმოჩენილ თაფლზე 2000 წლით ადრეა დამზადებული და რომ საქართველო მსოფლიოში შეიძლება მიჩნეული იქნას თაფლის დამზადების პირველ კერად.

2012 წელს ავსტრიელ და ქართველ მეცნიერ-არქეოლოგთა ერთობლივი გათხრების შედეგად კასპის რაიონში სოფ. ხოვლეს ჩრდილო-დასავლეთით, ხოვლეს გორაზე აღმოჩენილი იქნა გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნით თარიღდება. აქ ტურისტებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ უძველეს საცხოვრებელ სახლებს, რომელთა საძირკველი ნატეხი ქვით და ტალახის ხსნარზეა ამოყვანილი, იატაკი თიხატკეპნილია, ხოლო კედლები ორივე მხრიდან ბათქაშითაა შელესილი. შესასვლელთან მოწყობილია პურის საცხობი ღუმელი, კუთხეში საკურთხეველი, რომელიც თიხის ვერძის თავის ქანდაკებითაა შემკული. ხოვლეს ნასახლარებზე მოპოვებული მასალის უდიდესი ნაწილი შავად და წითლად გამომწვარი კერამიკული ჭურჭელია, რომელიც ნასოფლარის მახლობლად არსებულ მეჭურჭლეთა სახელოსნოში მზადდებოდა.

აჭარაში ქობულეთთან ახლოს ფიჭვნარში 2012 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ძვ.წ. II საუკუნეში აგებული იალქინიანი ხომალდის ნაწილები მასში არსებული სხვადასხვა ნივთებით. მეცნიერთა აზრით, იგი სავაჭრო გემს წარმოადგენდა. ამით

წერტილი დაესვა მოსაზრებას ქართული გემთმშენებლობის არარსებობის შესახებ და განამტკიცა ჰეროდოტეს, სტრაბონის და არიადნეს შეხედულება იმაზე, რომ კოლხეთი მდიდარია გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალით: ხეცით, სელით და რომ აქ მაცხოვრებელი ტომების მიერ აგებული ხომალდები დიდი სანავიგაციო თვისებებით ხასიათდება (კუტალიევილი, 1987).

აღსანიშნავია, ასევე, 2012 წელს თსუ-ს და სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-არქეოლოგთა მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევა-ძიება ჭიათურის რაიონში (სოფელ ვაკევისაში), ჯავახეთში (სოფ. თმოგვში), მცხეთაში (ბაგინეთი), თბილისში (ისან-სამგორის რაიონში), გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანში, ყვარელში მდ. დურუჯის მარჯვენა სანაპიროზე დოლოჰოვის ტერიტორიაზე, აჭარაში (გონიოში) და სხვაგან, სადაც გამოვლენილია მრავალი სხვადასხვა ეპოქის ძველი მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო ნივთებით.

3. არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, არქეოლოგიური ძეგლების სიუხვემ ყველა პირობა შექმნა საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის კიდევ ერთი სახეობის „არქეოლოგიური ტურიზმის“ განვითარებისათვის. იგი ტურისტებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რომელსაც ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლებული უძველესი ტომები. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ საქართველო წარმოადგენს უძველესი ადამიანის წარმოშობის კერას თავისი განსახლებითა და სამეურნეო ფორმებით. ვიზიტორებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ ადამიანთა მიერ დამზადებულ ქვის, ძვლის, ბრინჯაოს და რკინის ხანის სამეურნეო, სანა-

დრო და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებს, ქართული კერამიკის უძველეს ნიმუშებს, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა (თუ ამის სურვილი გააჩნიათ) არქეოლოგიურ გათხრებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საქართველოს ტურისტული ფორმების სამუშაო გეგმას უნდა წარმოადგენდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის – მენეჯერების, გიდ-თარჯიმანთა კადრების მომზადება არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით;

2. ტურისტულ-არქეოლოგიური მარშრუტების შერჩევა. საჭირო გახდება ამ მარშრუტების ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევის მასალების გაშუქება და ინფორმაციის მიწოდება წინასწარ მომზადებული ცნობარების მიხედვით.

3. სამარხების არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის შეთავაზება. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტმა და სააგენტოებმა ინტერნეტში შექმნან ელექტრონული ფოსტის ან ვებგვერდების ინფორმაცია საქართველოს არქეოლოგიუ-

რი ძეგლების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მრავალი ქვეყნის ამ სახის ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის.

4. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურიზმის სფეროში საქმიანობას სახელმწიფოები კონვენციების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ხელმძღვანელობენ. გამონაკლისს, ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს, ამიტომ ტურიზმი, როგორც ქვეყნის ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, საჭირო გახდება სამაროვნების და სამარხების სიახლოვეს ყოველგვარი მშენებლობის აკრძალვა და მიმდებარე ტერიტორიების ნაკრძალად გამოცხადება, სპეციალური მოედნების მოწყობა, ვიზიტორთა რისკ-ფაქტორებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რათა აცილებულ იქნას ტრამვების მიღების საშიშროება.

თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ წლებში ტურიზმის სფეროში მიღწეულ შედეგებს, მაშინ ყველა პირობა არსებობს საქართველოში „არქეოლოგიური ტურიზმის“ განვითარებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის ვიზიტორთა რიცხვს და სავალუტო შემოსავლებს სახელმწიფო ხაზინაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბირჟაკოვი მ., ტურიზმის თეორია (თარგმანი მ. მეტრეველის), გვ. 129, თბ., 2004.
2. კუტალიეშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში, გვ. 15., თბ., 1987
3. ძაძუა ჯ., საერთაშორისო ტურიზმის სახეობები და ფორები, ჟურნ. „საქართველოს გეოგრაფია“, #8-9, გვ. 50-55, თბ., 2011.
4. ჯაფარიძე ო., საქართველოს ისტორიის სათავეებთან (პირველყოფილი ეპოქა), გვ. 350, თბ., 2003.
5. საქართველოს ენციკლოპედია, ტ. #1, გვ. 595, თბ., 1975.

ვაზის კულტურის გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებები და ღვინის ტურიზმი საქართველოში

მაია ხეჩიკაშვილი

*ა(ა) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი
maiakhechikashvili@hotmail.com*

ინეზა ვაწაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი
ტურიზმის დოქტორი
Ina.vatsadze@tsu.ge*

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ვაზისთვის გამოსადეგი ფართობების სიუხვე, მიღებული პროდუქციის ნაირსახეობა და მაღალი ხარისხი, აგრეთვე, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება ფართო პერსპექტივას იძლევა მევენახეობის და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებისთვის, რაც არსებითი საფუძველია ღვინის ტურიზმის ინდუსტრიისთვის.

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მიხედვით, მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებია მევენახეობა-მეღვინეობის ხანგრძლივი, რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია და „ღვინის ტურიზმის“ სტატუსი, რაც 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა 3-წლიანი კვლევის შემდეგ დაადასტურეს – 525 უნიკალური აბორიგენული ჯიშის და ქვეყნის ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი, რომელიც იუნესკოს მიერ 2013 წელს აღიარებული იქნა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად.

ღვინის ტურიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული გასტრონომიულ ტურიზმთან, აგრო და ეკოტურიზმთან, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენენ. ღვინის ტურიზმს შეუძლია, გადამწყვეტი როლი შეასრულოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სოფლის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში, საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში. ღვინის ტურიზმი კორონა ვირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების გამო დღეს არასახარბიელო მდგომარეობაშია. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პანდემიის პერიოდში ღვინის ტურიზმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციული ბანკის გამდიდრება ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით. არსებულ ეტაპზე გამოსავალი ღვინის შიდა ტურიზმის განვითარებაშია. რასაკვირველია, შიდა ტურიზმი ვერ გახდება საერთაშორისო ტურიზმის საპირწონე, მაგრამ ადგილობრივ მცირე წარმოებებს (მარნებს) გარკვეულ შეღავათს მაინც მოუტანს.

საკვანძო სიტყვები: ვაზის კულტურა, მევენახეობა, ლანდშაფტი, ღვინის ტურიზმი, პანდემია, რაჭის რეგიონი.

VINE CULTURE SPREAD GEOGRAPHICAL FEATURES AND OF WINE TOURISM IN GEORGIA

Maia Khechikashvili

*Associate Professor of the St. Andrew the First-Called Georgian University
Academic Doctor of Geography
maiakhechikashvili@hotmail.com*

Ineza Vatsadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Lecturer at the Faculty of Economics and Business,
Academic Doctor of Tourism
Ina.vatsadze@tsu.ge*

Annotation

The natural-ecological conditions of our country, the abundance of areas suitable for vines, the variety of products obtained and high quality, as well as the diversity of vine varieties give a wide perspective for the development of viticulture and quality winemaking, which is the basis for the wine tourism industry.

According to the generally accepted view, the most important indicators of the competitiveness of Georgian wine tourism in the world market are the long, eight-thousand-year continuous history of viticulture and winemaking and the status of "wine tourism", which was confirmed by leading experts from 7 countries. The female variety and the traditional method of making pitcher wine, which was recognized by UNESCO in 2013 as a monument of intangible cultural heritage of mankind.

Wine tourism is closely related to gastronomic tourism, agro and eco tourism, which are priority and important directions for the country's economy. Representation Wine tourism can play a crucial role in improving the living standards of the population and maintaining rural identity, regional development of the country, protection of Georgia's unique natural heritage. Wine Tourism Corona Virus PaIt is in an unfavorable condition today due to the idioms created by Ndemi. Not to be outdone is the state of wine tourism during the pandemic types of information enrichment of Lee Bank by individual regions of the country. At the present stage the solution lies in the development of domestic wine tourism. Of course, domestic tourism can not be a counterweight to international tourism, but local small industries (Marnebs) will still bring some relief.

Keywords: Vine culture, Viticulture, Landscape, Wine tourism, Pandemic, Racha region.

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას და საუკეთესო გარემოს ქმნის ორიგინალური, მაღალხარისხიანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ვაზისთვის გამოსადეგი ფართობების სიუხვე, მიღებული პროდუქციის ნაირსახეობა და მაღალი ხარისხი, აგრეთვე, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება ფართო პერსპექტივას იძლევა მევენახეობის და ხარისხიანი მეღვინეობის განვითარებისთვის.

საქართველოში ძალიან მაღალია აგრობიომრავალფეროვნების ხარისხი. უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანაში, კულტურული მცენარეების გამოსაყვანად, ოდითგან იყენებენ ველურ მცენარეთა მდიდარ გენოფონდს. საქართველოს ტყეებში დღემდე შემორჩენილია ვაზის არაერთი გაველურებული ჯიში. საქართველო ასევე განთქმულია კულტურული ვაზის აბორიგენული ჯიშების სიმრავლით.

ქართველი ხალხისთვის ვაზი და ღვინო სოციალურ-კულტურული ცხოვრების, რელიგიის, კეთილდღეობისა და სიწმინდის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც სჭირდება დაცვა და

მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა. საქართველო სწორედ ისეთ ქვეყანას წარმოადგენს, რომელიც სთავაზობს ვიზიტორებს: 8000-წლიან ღვინის ისტორიას, 500-ზე მეტ ენდემურ ვაზის ჯიშს, ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს, უგემრიელეს ქართულ სამზარეულოს, კარგ კლიმატს და ბუნებრივ გარემოს, უძველეს ადათებს, კულტურასა და ტრადიციებს. ღვინის ტურიზმი წარმოადგენს ძირითად, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ახალ რესურსს მეღვინეობის დარგის აღორძინებისა და განვითარებისთვის.

ღვინის ტურიზმი სხვა სექტორებს შორის ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა ბოლო პერიოდამდე მთელ მსოფლიოში. იგი ტურისტული საქმიანობის სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოშიც, რომლის პროდუქტს ჰყავდა მოტივირებული მომხმარებელი და მწარმოებელი.

ღვინის ტურიზმი, ისევე, როგორც ყოველგვარი სამეურნეო აქტივობა, ვითარდება შესაბამის გარემოში. ამ გარემოს შესწავლა აუცილებელია ქვეყანაში ღვინის ტურიზმის ფაქტიური მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების დასადგენად და, ამდენად, იგი აქტუალურ ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს. ღვინის ტურისტული ბიზნესის გარემო და, შესაბამისად, ბიზნესი, სისტემატურად განიცდის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. ეს ცვლილებები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ღვინის ტურიზმის მენეჯმენტისათვის, განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა დღეს – პანდემიის პირობებში, რაც განაპირობებს სტატიის ძირითადი მიზნის აქტუალობას. თემის აქტუალობა დასტურდება იმითაც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისულ გეგმაში ღვინის ტურიზმი მიჩნეულია „ახალი მოთხოვნადი“ ტურისტული პროდუქტების წარმოების განვითარების ერთ-ერთ სახედ (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020).

სტატიის ძირითადი მიზანია ვაზის კულტურის გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებების გაანალიზება, რაც გახლავთ ქვეყანაში მევენახეობის განვითარების საწინდარი და ღვინის ტურიზმის განვითარების საფუძველი; აგრეთვე რაჭის რეგიონის მიხედვით, ინფორმაციის შეგროვება იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ღვინის ტურიზმის ბიზნესზე პანდემიით შექმნილმა ვითარებამ, როგორ შეიძლება განვითარდეს ღვინის ტურიზმი პანდემიის პერიოდში და რა ღონისძიებებით შეიძლება ღვინის ტურისტული ბიზნესის შენარჩუნება პოსტპანდემიური პერიოდის დადგომამდე.

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გაანალიზებულ იქნა სამეცნიერო და სტატისტიკური ლიტერატურა, შესაბამისი სამეურნეო თუ ადმინისტრაციული უწყების ხელთ არსებული მონაცემები.

იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ღვინის ტურიზმის ბიზნესზე პანდემიით შექმნილმა ვითარებამ და როგორ შეიძლება განვითარდეს ღვინის ტურიზმი პანდემიის პერიოდში, ჩავატარეთ კვლევა რაჭის რეგიონში. გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის გავრცელებული მეთოდი – მასობრივი გამოკითხვა, რაც ხორციელდებოდა ღვინის ტურისტული პროდუქტის მწარმოებელთა სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით. ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული ღვინის ტურიზმის კვლევის სფეროში (Taylor R. 2006).

ძირითადი შედეგები

1. ვაზის კულტურის გავრცელების და მევენახეობის განვითარების გეოგრაფიული თავისებურებანი

ამერიკელმა პროფესორმა მაკ გოვერნმა ქართული ეროვნული საგანძურის გამოფენის კატალოგში ჩაწერა: „საქართველო ღვინის სამშობლოა, გვიანი ქვის ხანის, ნეოლითის მონაცემების მიხედვით, კაცობრიობის კულტურ-

რულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღვინის კულტურა სწორედ საქართველოდან მკვიდრდება. შულავერში აღმოჩენილი უძველესი მოშინაურებელი ყურძნის წიპწები, რომლებიც ჩვ.წ-მდე 7000-6000 წლებით თარიღდება, ადასტურებს, რომ იმ დროისთვის მტკვრის ხეობაში, სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში, უკვე არსებობდა კარგად განვითარებული მეღვინეობის კულტურა“. (Govern Mc., 2003).

ვაზი მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს. მას გააჩნია უძველესი ისტორიული კავშირი ადამიანის ცივილიზაციის განვითარებასთან. მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა ბრინჯაოს ხანიდან, როდესაც ღვინის ინტენსიურმა წარმოებამ საფუძველი ჩაუყარა ვაჭრობას (ჯავახიშვილი ივ., 1934).

კულტურული მევენახეობის საწყისი ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ამიერკავკასიის, შუა და წინა აზიის მოსაზღვრე რაიონებში მევენახეობა ცნობილი იყო ძვ.წ. რამდენიმე ათეული წლის წინათ. საქართველო მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის გაშენება-მოვლის პროცესი ცნობილი იყო ძვ.წ. 3200-3300 წლის წინ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მევენახეობა ძველ საქართველოში უაღრესად განვითარებული იყო, რადგან ისეთი მაღალი ღირებულების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორცაა საფერავი, რქაწითელი და სხვ., ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი და შეგნებული მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო“ (ჯავახიშვილი ივ., 1935).

საქართველოს გეოგრაფიულ სივრცეში საუკეთესო გარემოა ორიგინალური, მაღალხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით, ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად (18 მიკროზონა) იყოფა: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი

ბელი ვაზის ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ ტერიტორიების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყოფილი მევენახეობა-მეღვინეობის ზონები საშუალებას იძლევა, წარმოებულ იქნეს მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

ნ. კეცხოველის მიხედვით, მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა:

1) მევენახეობისა და მშრალი სუბტროპიკული მეხილეობის სარტყელი – მოიცავს კახეთს, შირაქ-ელდარის არიდულ სივრცეს და ქვემო ქართლს;

2) სუფრისა და შამპანური ღვინოების სარტყელი – მოიცავს ცენტრალური და ზემო ქართლის მხარეს დაახლოებით 1200 მ-ის სიმაღლემდე (ზემო ქართლში 1200 მ);

3) დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ კულტურათა სარტყელი – გამოიყოფა იმერეთის, აჭარა-გურიის, აფხაზეთ-სამეგრელოს მევენახეობის ქვესარტყელები;

4) საქართველოს შუამთის მევენახეობის სარტყელი – წარმოდგენილია რაჭის და ლეჩხუმის მთიანი მხარის რეგიონების ქვესარტყელებით.

საქართველოს ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. საწარმოო ასორტიმენტის ჩონჩხს შეადგენს ჰავისა და ნიადაგურ პირობებთან კარგად შეგუებული ადგილობრივი ვაზის ჯიშები. საქართველოს რელიეფის განსაკუთრებულ სირთულეს, ნიადაგისა და ჰავის პირობების ხშირ ცვალებადობას შედარებით მცირე სივრცეზე, არ შეეძლო არსებითი გავლენა არ მოეხდინა ვაზის ჯიშობრივ შემადგენლობაზე (კეცხოველი ნ. ..., 1960).

ვაზის, ისევე, როგორც ნებისმიერი მცენარის დედამიწაზე გავრცელებას, განსაზღვრავენ ეკოლოგიური ფაქტორები – კლიმატი და ნიადაგსაფარი. მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიმატი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს არამარტო ვაზის გეოგრაფიულ გავრცელებას, არა-

მედ მისი მოვლა-მოყვანის ხასიათს და მიღებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს. ამავე დროს, აღსანიშნავია სინათლის, როგორც ეკოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა ვაზის ფიტოკლიმატის ფორმირებასა და ვაზის პროდუქტიულობაზე.

საქართველოში სავენახე ნიადაგების დიდი მრავალფეროვნებაა, საერთოდ ვაზი თითქმის ყველანაირ ნიადაგზე ხარობს, მაგრამ საუკეთესო პროდუქტს, ანუ ღვინოს, ის მხოლოდ განსაკუთრებულ ნიადაგებზე და, რაც მთავარია, განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში იძლევა. ამ პირობებს წარმოადგენს სავენახე ნიადაგების საგანგებოდ შერჩევა და ვენახის ექსპოზიცია.

ვაზის ზრდა-განვითარებაზე, პროდუქტიულობასა და პროდუქციის ხარისხზე რელიეფის არაპირდაპირი გავლენა მეტად მნიშვნელოვანია. რელიეფი დიდ გავლენას ახდენს ვენახში სინათლის, სითბოსა და ნალექების განაწილებაზე. ვაკე რელიეფთან შედარებით, სხვადასხვა დახრილობის მქონე მთის ფერდობები ვაზის უკეთეს გათბობა-განათებისა და აერაციას განაპირობებს, რის გამოც დამაკმაყოფილებლად ვითარდება და ყურძენიც უკეთ მწიფდება, ამიტომ საერთო, მაკრორელიეფურ პირობებთან ერთად (მთა-ბარი) დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპოზიციას და ამასთან დაკავშირებულ მიკროკლიმატურ პირობებს (თურმანიძე თ., 2003).

ექსპოზიცია, მევენახეობის რაიონების გორაკბორცვიანი რელიეფის განსაკუთრებულ განათება-გათბობის პირობების მიხედვით, მიკროზონების კომპლექსებს ქმნის, რაც ვაზის ზრდა-განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. უმაღლესი ხარისხის ღვინის მომცემი ვენახები მთელ მსოფლიოში ძირითადად ფერდობებზეა განლაგებული. ამ მიზეზის გამო ხშირად ვაზს ფერდობის კულტურას უწოდებენ. მთის ფერდობები ვენახს იცავს ცივი ქარისგან, ამასთან ერთად, ფერდობზე გაშენებული ვენახები აერაციის უკეთეს პირობებში იმყოფებიან ჰაერის დღე-ღამური ცირკულაციის

მიზეზით (მთა-ხეობის ქარები). მაღალი ხარისხის ცნობილი ღვინოები ისტორიულად დგებოდა და დღესაც მიიღება კახეთში მდ. ალაზნისაკენ დახრილ ფერდობებზე, იმერეთში – მდინარეების რიონის, ყვირილას, ძირულას ხეობებში განლაგებულ ფერდობებზე. საუკეთესო ხარისხის ღვინოები იმერეთში მიიღება ზღ.დ.-დან 150-250 მ სიმაღლეზე, რაჭა-ლეჩხუმში – 400-500 მ-ზე, ქართლში (ატენის ხეობა, მუხრანის ველი) 600-700მ-ზე, ალაზნის ველზე – 500-600 მ-ზე და ა.შ.

საქართველო უძველესი და ტრადიციული აგრარული სახელმწიფოა. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის აგროპოტენციალის მიხედვით, ზონირება მთლიანად ემთხვევა საქართველოს თანამედროვე აგროკლიმატური რესურსების გეოგრაფიას.

ამჟამად საქართველოში გამოიყოფა 5 ძირითადი აგროკლიმატური ზონა, რომლებიც ერთმანეთისგან აქტიურ ტემპერატურათა ჯამით (10⁰-ზე მაღალი ტემპერატურების წლიური კრებსადობა), ნალექების რაოდენობით, სიმშრალის ინდექსით, ყინვიან დღეთა რიცხვით, ექსტრემალურ ამინდთა ტიპებით და სხვა აგროკლიმატური მაჩვენებლებით განსხვავდებიან. ვაზის კულტურის გავრცელება და მევენახეობის განვითარება ემთხვევა:

1) აგროკლიმატურ ზონას, რომელიც მოიცავს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, კოლხეთის დაბლობს, ალაზნის ველს და ქვემო ქართლის ვაკის ნაწილს. იგი ხასიათდება ჰაერის საკმაოდ დიდი ტენიანობით (80-85% და მეტი), აქტიურ ტემპერატურათა ჯამის (4200-4600⁰), სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების (500-1500 მმ), ჰიდროთერმული კოეფიციენტის (1.5-4.0), უყინვო პერიოდის (წლის 60-80%) მაღალი მაჩვენებლებით;

2) აგროკლიმატურ ზონას, რომელიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს მთისწინეთებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი ბარის ძირითად ნაწილს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3000-4000⁰. სავეგეტაციო

პერიოდში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 800-1200 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 400-600 მმ. ჰიდროთერმული კოეფიციენტი მერყეობს 3.5-დან (დასავლეთ საქართველო) 1.0-მდე (აღმოსავლეთ საქართველო). უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა წლის მანძილზე საშუალოდ 70%-ია (ელიზბარაშვილი ნ., 2012).

საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის შეფასება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, სასურველია, ლანდშაფტური მიდგომით განხორციელდეს. ლანდშაფტური მეთოდი იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს მაღალი და დაბალი პოტენციალის მქონე ლანდშაფტები.

ლანდშაფტი ის ბუნებრივი წარმონაქმნია, რომელსაც ახასიათებს ერთგვაროვანი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, ნიადაგურ-მცენარეული საფარი და განვითარების თავისებურებანი. ლანდშაფტი ზემოთ აღნიშნული კომპონენტების მჭიდრო ურთიერთკავშირის მეშვეობით ფუნქციონირებს.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 71 ტიპის ლანდშაფტი, მათგან ოთხზე ვრცელდება ყურძნის სხვადასხვა სახეობა, რაც ლანდშაფტის თითქმის 2/3-ია. დაბლობში ყურძენი თითქმის ყველა სახის ლანდშაფტურ ერთეულზე გვხვდება. რაც შეეხება მთის ლანდშაფტებს, ყურძნის გავრცელება ემთხვევა არეალს – დაბალი მთის ზონიდან საშუალო სიმაღლის მთის ტყის ლანდშაფტების ქვედა ზონის ჩათვლით. ყურძნის მოყვანა-განვითარებისთვის ბუნებრივი პირობების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა 5 ლანდშაფტის კატეგორია: ძალიან მაღალი, მაღალი, ზომიერი, დაბალი და ძალიან დაბალი პოტენციალის მქონე ლანდშაფტები. ძალიან მაღალი პოტენციალის მქონე ლანდშაფტი აერთიანებს 9 სახის ლანდშაფტურ ერთეულს და მოიცავს 6,657კმ² ფართობს (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 94%). ეს ლანდშაფტური ერთეულები ძირითადად ემთხვევა, რო-

გორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონებს. იგი მოიცავს ძირითადად ვაკე-მთისწინეთების, მთისწინეთების და ქვემო რაჭის (რაჭის ქვაბული) ლანდშაფტებს. აქ მთავარია ის ფაქტი, რომ საზღვრები ემთხვევა არა ადმინისტრაციული საზღვრების, არამედ ლანდშაფტის საზღვრებს. მაღალი პოტენციალის მქონე ლანდშაფტები, ასევე აერთიანებს 9 სახის ლანდშაფტს – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ვაკისა და მთისწინეთის, დასავლეთ საქართველოს ქვედა მთის კარსტულ და სამხრეთ საქართველოს მთათაშორისი ქვაბულების ლანდშაფტს, წარმოდგენილია 6,84კმ²-ის ფართობზე (საქართველოს ტერიტორიის 9,8%). ზომიერი პოტენციალის მქონე ლანდშაფტები აერთიანებს 12 სახის ლანდშაფტურ ერთეულს – დაბლობის, მთისწინეთის და ასევე ქვედა მთის ლანდშაფტების უმეტესობას, ფართობით 10,28კმ² (საქართველოს ტერიტორიის 14,8%). დაბალი და ძალიან დაბალი პოტენციალის მქონე საქართველოს ლანდშაფტების უმრავლესობა, რომელთაგან პირველი 4 (ფართობი 2,5 კმ² – საქართველოს ტერიტორიის 3,6%), ხოლო მეორე 37 (ფართობი 43,51კმ² – საქართველოს ტერიტორიის 62,4%) სახის ლანდშაფტურ ერთეულს მოიცავს (Nikolaishvili D., Sartania D., 2015).

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ვაზისთვის გამოსადეგი ფართობების სიუხვე, მიღებული პროდუქციის ნაირსახეობა და მაღალი ხარისხი, აგრეთვე, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება ფართო პერსპექტივას იძლევა მევენახეობის და ხარისხოვანი მელვინეობის განვითარებისთვის.

მსოფლიო ვენახების ფართობის 0,8% საქართველოზე მოდის. 2004 წლის აღწერის მონაცემებით, ვენახის საერთო ფართობმა საქართველოში 48,0 ათასი ჰა შეადგინა. 1960 წელს ეს მაჩვენებელი 77,9 ათასი ჰა იყო, 1970 წელს – 66,8 ათასი ჰა, ხოლო 1984 წელს – 87,9 ათასი ჰა. ოფიციალური წყაროებით, აღნიშნული მონა-

ცემების განახლება არ მომხდარა, თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული საორიენტაციო მონაცემების თანახმად, იმერეთის რეგიონში ვენახების ფართობებია დაახლოებით 20 000 ჰა, კახეთში – 33 582 ჰა, ხოლო რაჭის რეგიონში კი – 570 ჰა, დანარჩენ რეგიონებში – 1848 ჰა. საქართველოში კი ვენახების ფართობის საორიენტაციო მაჩვენებელი 2014 წელს 56 ათას ჰა-ს მიაღწია (ხარაიშვილი ე., 2017).

საქართველოში ვენახების ფართობის უმეტესი ნაწილი ქვეყნის აღმოსავლეთზე მოდის, კერძოდ, კახეთში ვენახების მთლიანი რაოდენობის 68%-ია, დასავლეთში წამყვანია იმერეთი, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 18%-ია, 9% მოდის ქართლზე, დანარჩენი 5% კი სხვა რეგიონებზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://gostat.ge/>). აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონში ვაზი გავრცელებულია იგივე სიმაღლით დიაპაზონში, როგორც თითქმის საქართველოს ყველა მხარეში და ის მოიცავს 14 ლანდშაფტურ ერთეულს. ამ მხრივ გამორჩეულია აგრეთვე ქართლის რეგიონი, სადაც ვაზი გავრცელებულია 13 ლანდშაფტურ ერთეულზე. ყურძნის მოსაყვანად ნაკლები სიმაღლის დიაპაზონია დამახასიათებელი რაჭა-ლეჩხუმისთვის (3 ლანდშაფტური ერთეული), მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონს ყურძნის სახეობების მიხედვით პირველი ადგილი უკავია საქართველოში (Nikolaishvili D., Sartania D., ...2015).

2. ღვინის ტურიზმის მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის

ქართველი ხალხისთვის ვაზი და ღვინო სოციალურ-კულტურული ცხოვრების, რელიგიის, კეთილდღეობისა და სიწმინდის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც სჭირდება დაცვა და მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა. საქართველო სწორედ ისეთ ქვეყანას წარმოადგენს, რომელიც სთავაზობს ვიზიტორებს: 8000-წლიან ღვინის ისტორიას, 500-ზე მეტ ენდემურ ვაზის ჯიშს,

ქვეყნის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს, უგემრიელეს ქართულ სამზარეულოს, კარგ კლიმატს და ბუნებრივ გარემოს, უძველეს ადათებს, კულტურასა და ტრადიციებს. ღვინის ტურიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული გასტრონომიულ ტურიზმთან, აგრო და ეკოტურიზმთან, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენენ.

ქვეყნის მასშტაბით, სოფლად ტურიზმის განვითარება, როგორც დამატებითი შემოსავლების წყარო, აღმოფხვრის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ცხადია, უმჯობესია საქმიანობის ისეთი სფეროს მოძებნა, რომელიც მოსახლეობისთვის ტრადიციულია და ამასთან, ხასიათდება შედარებით ნაკლები დანახარჯებით და მოგების მაღალი მარჟით. ასეთი დარგი საქართველოსთვის მევენახეობა-მეღვინეობა და, შესაბამისად, ღვინის ტურიზმი, მით უმეტეს, რომ ამ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა ზრდადია. ღვინის ტურიზმს შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სოფლის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაში, საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში (ხარაიშვილი ე., 2017).

ღვინის ტურიზმი, დღეისათვის ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, არის ვიზიტორთა მიერ ვენახებისა და ღვინისადმი მიძღვნილ სანახაობებზე დასწრება, რომლის სამოტივაციო ფაქტორია ღვინის დეგუსტაცია და/ან რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის თავისებურებების გაცნობა (Hall C.M. Macionis N. 1998). ღვინის ტურიზმს ხშირად განიხილავენ როგორც ეკონომიკის ძრავას, რომელსაც აქვს იმის პოტენციალი, რომ სარგებლობა მოუტანოს რეგიონალურ და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს. იგი მეღვინეებს უქმნის ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას და, შესაბამისად, შემოსავლების გაზრდის, ხოლო სახელ-

მწიფო ბიუჯეტს – გადასახადებით მიღებული შემოსავლებით შევსების შესაძლებლობას (Williams P.W. Graham K. 2006).

ღვინის ტურიზმი სხვა სექტორებს შორის ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა ბოლო პერიოდამდე მთელ მსოფლიოში. იგი ტურისტული საქმიანობის სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოშიც, რომლის პროდუქტს ჰყავდა მოტივირებული მომხმარებელი და მწარმოებელი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეკონომიკური აქტივობის ახალ დარგს წარმოადგენდა და წარმატებით იდგამდა ფეხს, განვითარების ინდუსტრიული დონისათვის არ მიუღწევია. ღვინის ტურიზმი ვითარდებოდა საქმიანობის ახალი დარგისათვის დამახასიათებელი სიმწიფეების გარემოში, მაგრამ ითვლებოდა ქართული ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად. ქართული ტურიზმი კი ბოლო წლებში ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ის 11,5%-ს აწარმოებდა. 2019 წელს საქართველოს ტურიზმის სფეროში დასაქმებული იყო 150 ათასი ადამიანი. 2020 წლის იანვარ-თებერვალში საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 10%-ით, ხოლო აქედან მიღებული შემოსავალი 6%-ით გაიზარდა (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020), მაგრამ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ, ფაქტობრივად, ერთ დღეში შეცვალა ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება. პანდემიის დაწყების დღიდან აშკარად გამოჩნდა, რომ დარტყმის პირველ ხაზზე იყო ტურისტული ბიზნესი (გახარია გ. 2020). მართლაც, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მონაცემებით, 2020 წლის თებერვალში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით უკვე 0,7%-ით შემცირდა. იმავე მარტის თვიდან 62,3 %-ით, ხოლო აპრილში 95,5%-ით შემცირდა საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები. COVID-19-ით გამოწვეული საფრთხეები, სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა, მოგზაურობის შეზღუდვა

და „შინ დარჩენის“ აუცილებლობა ყველაზე ნეგატიურ გავლენას ტურიზმზე მოახდენს (EPRC 2020).

იმის გამო, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ადამიანთა მობილობის შემცირება, უნდა დავასკვნათ, რომ პანდემია განსაკუთრებით მძიმე გავლენას მოახდენს ღვინის ტურიზმზე. საქმე ის არის, რომ ტურისტული აქტივობის პროცესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტუმარ-მასპინძლის პირად ურთიერთობას. დადგენილია, რომ ღვინის საწარმოს პერსონალთან პირადი ურთიერთობა წარმოადგენს ღვინის ტურისტული პროდუქტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ღვინის ტურით მიღებული საერთო შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში (Roberts L. Sparkc B. 2006). ღვინის ტურისტული ბიზნესის გარემო და, შესაბამისად, ბიზნესი, სისტემატურად განიცდის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. ეს ცვლილებები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ღვინის ტურიზმის მენეჯმენტისათვის, განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა დღეს – პანდემიის პირობებში. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისულ გეგმაში ღვინის ტურიზმი მიჩნეულია „ახალი მოთხოვნადი“ ტურისტული პროდუქტების წარმოების განვითარების ერთ-ერთ სახედ (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020).

ტურიზმის განვითარების სტრატეგია, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ღვინის ტურიზმს მიიჩნევს ტურიზმის რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად (Taylor R. 2006).

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ზურაბ პოლოლიკაშვილის შეფასებით, იმედის მომცემია ევროკავშირის მიერ 2020 წლის მაისში შემუშავებული ტურიზმის განახლების ღონისძიებათა გეგმა. მოგზაურობის შეზღუდვების გაუქმება ჯერ ქვეყნის შიგნით, შემდეგ კი საერთაშორისო

ფარგლებში, რასაც ეს გეგმა ითვალისწინებს, შესაძლებელს გახდის მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებას არა მხოლოდ ევროპაში, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში. ყველა რგოლში, მგზავრობის, ღამისთევის, კვების და დასვენების სფეროებში უფრო უსაფრთხო და სანდო გახდება ტურისტული მომსახურება. ნდობა კი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების „ახალი ნორმების“ ახალი ვალუტაა. თუ ადამიანები ენდობიან თავიანთ მთავრობებს და ტურისტულ სექტორს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ისინი ხვალვე დაიწყებენ მოგზაურობას (UNWTO 2020). ტურიზმის გლობალური კრიზისის კომიტეტის განცხადების მიხედვით (2020 წლის დეკემბერი), მოგზაურები არ უნდა განვიხილოთ, როგორც მაღალი რისკის მატარებელი ჯგუფები (*Global Tourism Crisis Committee 2020*).

3. ღვინის ტურიზმის მდგომარეობის კვლევა რაჭის რეგიონში

ღვინის ტურიზმი, კორონა ვირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების გამო დღეს არასახარბიელო მდგომარეობაშია. ამ შეფასების და მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ სპეციალისტთა მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ხშირად გაუმჯობესების ღონისძიებები მხოლოდ სასურველობის ხასიათს ატარებენ. აქედან გამომდინარე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პანდემიის პერიოდში ღვინის ტურიზმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციული ბანკის გამდიდრება ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით. როგორ იმოქმედა ღვინის ტურიზმის ბიზნესზე პანდემიით შექმნილმა ვითარებამ, როგორ შეიძლება განვითარდეს ღვინის ტურიზმი პანდემიის პერიოდში და რა ღონისძიებებით შეიძლება ღვინის ტურისტული ბიზნესის შენარჩუნება პოსტპანდემიური პერიოდის დადგომამდე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩავატარეთ კვლევა რაჭის რეგიონში.

2019 წლის იანვარ-თებერვალში ჩვენ მიერ ჩატარებული რაჭის ტურისტული პროდუქტე-

ბისადმი ვიზიტორთა პრეფერენციული დამოკიდებულების გარკვევისათვის ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა ტურისტთა საკმაოდ დიდი ნაწილის (23,6%) დაინტერესება ღვინის დეგუსტაციით, რაც ღვინის ტურიზმის მდგომარეობის სპეციალური გამოკვლევის სტიმული გახდა (ვაწამე ი., 2020).

ამბროლაურის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით გაირკვა, რომ ამ პერიოდისათვის რაჭაში ფუნქციონირებდა 17 ღვინის საწარმო, რომლებიც ღვინის ტურისტულ ბიზნესს ეწეოდნენ. გამოკითხული იყო 17-ვე მარნის მფლობელი.

გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებს, რომ მათ ბიზნესზე ძალიან ცუდად იმოქმედა პანდემიამ – მინიმუმამდე შეუმცირდათ შემოსავალი. რესპონდენტთა უმეტესობა (88,2%) თვლის, რომ შექმნილი სიტუაციის ძირითადი მიზეზია სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა, ხოლო 11,8%-ის მიხედვით, მთვარი ხელშემშლელი ფაქტორია მთავრობის მიერ შემოღებული ეპიდრეგულაციები. პანდემიამდე ღვინის მარნებს ძირითადად სტუმრობენ უცხოელი ტურისტები. ღვინის ტურები უფრო მეტად მიმზიდველი იყო საშუალო ასაკისა და უფროსი ასაკის ვიზიტორებისათვის. ტურისტებს ხიბლავდათ ყურძნის დაკრევის, დაწურვის და ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპში მონაწილეობის მიღება. ტურის საშუალო ღირებულება კაცზე მერყეობდა 50-150 ლარამდე, ხოლო 2020 წელს უკვე ტურისტების ძირითადი ნაწილი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და ერთი ტურისტი ხარჯავდა საშუალოდ 50 ლარამდე. გაირკვა, რომ ღვინის დეგუსტაციის გარდა, ყველა საწარმოს შეუძლია ტურისტული მომსახურების ისეთი ფორმების შეთავაზება, როგორცაა მარნის დათვალიერება და რთველში მონაწილეობა. გარდა ამისა, სხვადასხვა მარნები ეწევიან სხვა სახის მომსახურებასაც: ტურისტთა დაბინავებას – 6 მარანი (35,3%), კვებით მომსახურებას – 8 მარანი (47%).

არაერთგვაროვანია ასევე რესპონდენტთა შეხედულებები ანტიკრიზისული გეგმის ეფექტიანობის შესახებ: ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტიკრიზისული გეგმა ეფექტიანი იქნება მხოლოდ დიდი ფირმებისათვის, ხოლო ნაწილი თვლის, რომ ამ გეგმით ვერ მოხერხდება ღვინის ტურიზმის შენარჩუნება 2020 წლის დონემდე.

კითხვებზე, თუ როგორია ბიზნესმენთა მოლოდინი და აქვთ თუ არა არსებულ სიტუაციასთან ბიზნესის ადაპტირების რაიმე გეგმა, პასუხები ასეთი იყო: 11 ბიზნესმენი აცხადებს, რომ ცდილობენ, შეინარჩუნონ ბიზნესი ღვინის გაყიდვების დივერსიფიცირებით, ხოლო 6 ბიზნესმენს არავითარი გეგმა არ გააჩნია.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ შემცირდა ტურის დროს სტუმართა მიერ ღვინის შეძენის მოცულობა, ასევე ყველა მათგანს მიაჩნია, რომ მეღვინეობისა და ტურიზმის მჭიდრო კავშირის გარეშე ღვინის წარმოება არსებითად შემცირდება.

რესპონდენტთა უმეტესობის (87,5%) აზრით, პანდემიის პერიოდში ღვინის ტურიზმისათვის მხარდაჭერა უნდა გააქტიურდეს ღვინის გაყიდვების ორგანიზების ხელშეწყობით. ამასთან უმეტესობა (68,7%) თვლის, რომ ღვინის გაყიდვების ორგანიზაციისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა ნიშნავს ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას. 23,5% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება მაღაზიებში ადგილების გამოყოფა.

რესპონდენტთა უმეტესობა (81,3%) ფიქრობს, რომ პანდემიის დროს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, უმჯობესი იქნებოდა ხელთ არსებული ფინანსების მოხმარება ტურისტთა მიღებისა და მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. 17,3% ფიქრობს, რომ ფულად სახსრებს გამოიყენებდა ღვინის წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების შესაქმნელად.

საინტერესოა ბიზნესმენთა დამოკიდებულება შიდა ტურიზმისადმი. ყველა მათგანი

ფიქრობს, რომ ღვინის ტურიზმის გადარჩენა შეიძლება შიდა ტურიზმის გააქტიურებით.

დასკვნა

საქართველოს გეოგრაფიული გარემოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მევენახეობის განვითარებისთვის. ვაზის უნიკალური ჯიშების ჩამოყალიბების პროცესი უკავშირდება სწორედ იმ გეოგრაფიულ პირობებს, როგორცაა: რელიეფის სირთულე, ჰავის, ნიადაგური პირობების სხვადასხვაობა და გარემოში მიმდინარე პროცესები. ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოდგენილ შვიდი ათეული ტიპის ლანდშაფტიდან ოთხზე ვრცელდება ყურძნის სხვადასხვა სახეობა, რაც ლანდშაფტის თითქმის 2/3. ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები, ვაზისთვის გამოსადეგი ფართობების სიუხვე, მიღებული პროდუქციის ნაირსახეობა და მაღალი ხარისხი, აგრეთვე, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება ფართო პერსპექტივას იძლევა მევენახეობის და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებისთვის, რაც საფუძველია ღვინის ტურიზმის ინდუსტრიისთვის. გამოვლინდა, რომ COVID-19-ით წარმოქმნილმა ვითარებამ, ისე, როგორც მთელ ეკონომიკაზე, ღვინის ტურიზმის განვითარებაზეც მძიმე გავლენა მოახდინა.

გამოკითხვით დადგინდა, რომ ღვინის ტურიზმი, კორონა ვირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების გამო დღეს არასახარბიელო მდგომარეობაშია. გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ მათ ბიზნესზე ძალიან ცუდად იმოქმედა პანდემიამ – მინიმუმამდე შეუმცირდათ შემოსავალი და ამის მიზეზად სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვას მიიჩნევს, თუმცა ყველა მათგანი ფიქრობს, რომ ღვინის ტურიზმის გადარჩენა შესაძლებელია შიდა ტურიზმის გააქტიურებით.

ზემოთ აღვნიშნეთ კრიზისიდან თავის დაღწევის შესახებ სპეციალისტთა ოპტიმისტური ხედვები. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა ჩვენი გამოკითხვითაც. გამოკითხული რესპონდენ-

ტები ამ პერიოდს აქტიურად იყენებენ მარნის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა არხების საშუალებით ცდილობენ ღვინის გაყიდვების დივერსიფიცირებას.

- ჩვენი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძებოთ ღვინის შიდა ტურიზმის განვითარებაში.
- პანდემიის პერიოდში შიდა ტურიზმის გააქტიურებით შეიძლება მოხერხდეს როგორც მთლიანად ტურისტული სექტორის, ასევე, კონკრეტულად ღვინის ტურისტული ბიზნესის გადარჩენა.
- მეღვინეებმა მთელი ძალისხმევა ადგილობრივი მომხმარებლის ინტერესის და ცნობიერების გასაზრდელად უნდა მიმართონ. ეს უზრუნველყოფს უფრო ზუსტ სამომავლო გათვლებს. რასაკვირველია, შიდა ტურიზმი ვერ გახდება საერთაშორისო ტურიზმის საპირწონე, მაგრამ ადგილობრივ მცირე მარნებს გარკვეულ შეღავათს მაინც მოუტანს.

- მცირე მარნების მფლობელთათვის უნდა დაიწყოთ საგანმანათლებლო პროექტები, უნდა მოხდეს საოჯახო მარნების თანამშრომლების გადამზადება, რათა მიეცეთ ზუსტი რეკომენდაციები კოვიდრეგულაციებთან დაკავშირებით;
- საოჯახო მარნებს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეცეთ დაბალპროცენტაჟიანი სესხების აღების შესაძლებლობა; მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა ტურიზმის, მათ შორის, ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;
- მცირე მარნების ცნობადობის გაზრდის მიზნით, ეფექტური იქნება შეიქმნას ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც განთავსდება როგორც ინფორმაცია, ასევე ვიდეომომხილველი მარნების შესახებ. ეს იქნება კარგი რეკლამა და საშუალებას მისცემს მარნებს, მიიზიდონ მომხმარებლები და სხვადასხვა ქვეყნის იმპორტიორი კომპანიები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს აგროპოტენციალი და ბუნებრივი რისკები, შრომათა კრებული: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 175-179, თბ., 2012.
2. ვაწაძე ი., სადისერტაციო ნაშრომი „სოფლის ტურიზმის რესურსული პოტენციალის გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები რაჭაში“, თბ., 2020.
3. თურმანიძე თ., ვაზის ეკოლოგია, „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობა, გვ. 494, თბ., 2003.
4. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ., საქართველოს ამპელოლოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 438, თბ., 1960.
5. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II, თბ., 1934.
6. ჯავახიშვილი ივ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის, ნაწ. II, გვ. 312, თბ., 1935.
7. ხარაიშვილი ე., ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017, გვ. 203.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://gostat.ge/>
9. Mc. Govern, P. E. Ancient Wine. Princeton University Press, Princeton. 2003
10. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი EPRC (2020), ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოში <https://eprc.ge/uploads/brosh/COVID>
11. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა (2020) http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf
12. საქართველოს ადმინისტრაციის პრესსამსახური (2020), გახარია გ., ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის წარდგენა. <https://civil.ge/ka/archives/>

13. D. Nikolaishvili, D. Sartania, L. Matchavariani – Complex evaluation Of Different Factors On Growth Of Grape In Georgia. Internatinal Conferense“Applied Ekology: Problems, Innovations“. Proceedings Icae - 2015. pp. 292-296. <http://icae-2015.tsu.ge/>
14. Hall C.M. Macionis N., Wine tourism in Australia and New Zealand, 1998, pp. 267–298.
15. Roberts L. Sparkc B. Enhancing the Wine Tourism Experience: the Customers’ Viewpoint Global Wine Tourism: Research, Management and Marketing Edited by Jack Carlsen and Stephen Charters. 2006. pp.47-55
16. Williams P.W. Graham K. Mathias L. Land Use Policy and Wine Tourism Development in North America’s Pacific Northwest Global Wine Tourism: Research, Management and Marketing Edited by Jack Carlsen and Stephen Charters. 2006. pp. 27-46.
17. Taylor R. Wine Festivals and Tourism: Developing a Longitudinal Approach to Festival Evaluation. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing Edited by Jack Carlsen and Stephen Charters. 2006. pp. 179-195.
18. Statement by the Global Tourism Crisis Committee (2020). <https://www.unwto.org/news/global-tourism-crisis-committee-messaging>.
19. <https://www.unwto.org/news/covid-19-may-statement-unwto-secretary-general>

საავტომობილო გზების მშენებლობის გარემოზე გამოქმედების შეფასება

გელა სანდოძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
Gela.sandodze@gmail.com*

ანოტაცია

საქართველოში არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი ხორციელდება. საავტომობილო გზის ინფრასტრუქტურის მოწყობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რეგიონის და ქვეყნის განვითარებისთვის.

სტატიაში განხილულია იმ შემოქმედების შეფასება, რომელსაც ახდენს ასეთი საქმიანობა გარემოზე. ასევე განხილულია საავტომობილო გზების მშენებლობის გარემოზე შემოქმედების ტიპები, გამოკვეთილია ის გეოგრაფიული (ლანდშაფტური) ობიექტები, რომლებიც ექვევება შემოქმედების ქვეშ, განსაზღვრულია ის ძირითადი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო გზები, გარემოზე შემოქმედება, ლანდშაფტი, მონიტორინგი.

ENVIRONMENTAL IMPACT ASSESSMENT OF ROAD CONSTRUCTION

Gela Sandodze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student
Gela.sandodze@gmail.com*

Annotation

Numerous international and local road construction projects are being implemented in Georgia. The arrangement of the road infrastructure is of vital importance for the development of the region and the country.

The article discusses the assessment of the impact that such activities have on the environment. As well as the types of environmental impact of road construction, the geographical (landscape) objects that are affected are identified. The environmental legislation related to the implementation of a similar type of project is outlined.

Keywords: Roads, Environmental Impact, Landscape, Monitoring.

შესავალი

საქართველოში არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი ხორციელდება. მაგალითად, 2018-დან 2024 წლამდე მიმდინარეობს 10 პროექტი, რომელიც უკავშირდება როგორც მაგისტრალების, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობას (მათ შორის, საავტომობილო გზის სიგრძე 135 კმ). დროის ამ

პერიოდში ასევე დასრულდა 8 პროექტი, რომელშიც საავტომობილო გზამ შეადგინა დაახლოებით 85 კმ (<http://www.georoad.ge/uploads/files/dasrulebuli%202018-2024.pdf>).

საავტომობილო გზის ინფრასტრუქტურის მოწყობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რეგიონის და ქვეყნის განვითარებისთვის. „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

ტული ნარჩენების სახით) (ელიზბარაშვილი ნ., 2016).

საქართველოში აღნიშნული თემატიკით შეფასების მეთოდოლოგია პრაქტიკულად არ ხორციელდება. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ძველი საბჭოთა ნორმების გამოყენებას და იშვიათად ამა თუ იმ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას.

მსგავსი ტიპის კვლევები (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების პროექტები) საქართველოში ტარდება სხვადასხვა საავტომობილო გზების მშენებლობის პროცესში, სადაც მონაწილეობას იღებენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სხვადასხვა გარემოსდაცვითი კერძო საკონსულტაციო ფირმები, ასევე იურიდიული და ფიზიკური პირები და სხვ.

კვლევის მეთოდები

გამოყენებული იქნა კვლევის შედარებითი, კარტოგრაფიული და სტატისტიკური მეთოდი. ასევე გეოგრაფიული ანალიზის და სინთეზის მეთოდები. განხილულ იქნა საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, რომლებიც მომზადებულია სხვადასხვა ორგანიზაციისა და სპეციალისტის მიერ.

ძირითადი შედეგები

1. საავტომობილო გზების მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში

იგი უნდა მოიცავდეს ისეთ ძირითად ინფორმაციებს, როგორცაა: ზოგადი ინფორმაცია პროექტზე, პროექტთან დაკავშირებული კანონმდებლობა, საქმიანობის განსახორციელებელი ტერიტორიის სოციალური და ბუნებრივი პირობების დახასიათება, ინფორმაცია ნია-

დაგზე, კლიმატზე, გეოლოგიურ აგებულებაზე, საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებზე ინფორმაცია (რაოდენობა, სახეობა და სხვ.) და ა. შ.

ანგარიშში ასევე უნდა იყოს ასახული ზემოქმედების შეფასება ისეთ ძირითად გეოგრაფიულ კომპონენტებზე, როგორცაა: ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, წყალი (ზედაპირული, მიწისქვეშა). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედების შეფასება ფლორასა და ფაუნაზე და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურის (ელიზბარაშვილი ნ. , 2016, მჭედლიშვილი კ., და სხვ., 2009) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (იხ. ცხრ. N1) დამუშავების და ანალიზის შედეგად საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციისას გეოგრაფიულ გარემოზე პოტენციური ზემოქმედება შესაძლებელია იყოს: ლანდშაფტის ბუნებრივი მახასიათებლების (კომპონენტების – რელიეფი, მიკროკლიმატი, წყლები, ნიადაგი, მცენარეულობა, ეკოსისტემები, ჰაბიტატები, ეკოტონები, რეკრეაციული ფასეულობები) განადგურება; ცხოველთა მიგრაციის გზების გადაკეტვა; გეოდინამიური პროცესების (მეწყერი, ეროზია, დატბორვა, ქვათაცვენა და სხვ.) პროვოცირება და სტიმულირება; ნაშალი მასალის რაოდენობის ზრდა მიმდებარე ტერიტორიებსა და მდინარეებში (წყლის ბუნებრივ და ხელოვნურ ნაკადებში); ჰაერის, ნიადაგებისა და წყლის დაბინძურება და სხვ.

ჩვენ მიერ განხილულ იქნა არაერთი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი და მასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

ცხრ. 1

განხილული პროექტები

N	შემსრულებელი	დასახელება	წელი
1	ფონდი მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის	ადგილობრივი მნიშვნელობის „ნატანები შრომა ურეკის“ საავტომობილო გზის მე-10 კმ-ზე მდ. სეფაზე ახალი სახიდე გადასასვლელის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში	2014

2	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში	2015
3	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადახლო-წოფი-ახქერფი (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 22+110-ზე მდ. ახქერფისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის სკოპინგის ანგარიში	2019
4	შპს „კავტრანსპროექტი“	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) წნორი დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის კმ 2 (კმ 1+400)-ზე არსებულ არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში	2021

კვლევის ობიექტი გახდა ის ძირითადი სენსიტიური ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია იყოს ზემოქმედება. ესენია: ლანდშაფტი, ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, ცხოველთა სამყარო, ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება, ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და სხვ.

2. გარემოზე ზემოქმედება და შეფასება

2.1. ლანდშაფტზე ზემოქმედება უკავშირდება საავტომობილო გზების მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნარჩენებით (ფუჭი ქანები) და სახიფათო ნარჩენებით (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სხვადასხვა სახის მასალები) გარემოს დაბინძურებას. მყარი ნარჩენების გარემოში გაბნევა უმეტეს შემთხვევაში ლანდშაფტის სტრუქტურის ხარისხობრივი (გეოქიმიური) მაჩვენებლების გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებს. ასევე შესაძლებელია, შეცვალოს მოცემული ტერიტორიის კონკრეტული ლანდშაფტურ-გეოქიმიური მდგომარეობა, რაც საბოლოო ჯამში მოქმედებს როგორც ლანდშაფტურ-გეოფიზიკურ, ასევე სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მახასიათებლებზე (ელიზბარაშვილი ნ., 2016).

2.2. ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიები უკავშირდება ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობას, რომელიც სასურველია შეს-

წავლილ იქნეს სხვადასხვა მონაკვეთისთვის როგორც არსებულ ვითარებისთვის, ისე პერსპექტივაში. აქვე გასათვალისწინებელია ექსტრემალური ატმოსფერული მოვლენების ალბათობა, რაც დამახასიათებელია მოცემული რეგიონისთვის. კვლევისას გამოსავლინებელია მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის არეალები, მათი კავშირი სხვა კლიმატურ (მეტეოროლოგიურ) მახასიათებლებთან. აუცილებელია საავტომობილო მოძრაობის და კლიმატის პროგნოზული მდგომარეობის გათვალისწინებაც, რაც განხილულია სხვადასხვა წლების ეროვნულ შეტყობინებებში.

2.3. ცნობილია, რომ გზის მშენებლობასთან დაკავშირებული **ხმაური** საშუალოდ ვრცელდება 300 მეტრის რადიუსში, ხოლო მოძრაობასთან დაკავშირებული ხმაური ვრცელდება ტრასიდან 200 მეტრამდე. გასაგებია, რომ დასახლებული პუნქტების არეალებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის დასაგეგმია ხმაურის შემცირების ტექნიკური და ადმინისტრაციული (მოძრაობის რეგულირების) რეგულაციები.

2.4. საავტომობილო გზების მიმდებარედ წყლების შესაძლო დაბინძურება უკავშირდება: საწვავის ან ზეთის დაღვრა/გაჟონვას, ზედაპირულ წყლებში ნარჩენების ატივინარებას, წყლის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებას, სატრანსპორტო საშუალებების რეცხვას და

წყლის ნაკადების გადალახვას. დაბინძურებული წყლები სწრაფად გადაადგილდება, რაც ზრდის ზემოქმედების არეალს. ამის გამო, ზემოქმედების შეფასებამ გაცილებით დიდი ფართობი უნდა მოიცვას, ვიდრე მდინარის მიმდებარე ხეობის ნაწილი.

2.5. ნიადაგზე ზემოქმედების შეფასებისას განიხილება: ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის მასშტაბები და მისი შედეგები, ნიადაგის გარეცხვის ან ქარისმიერი ეროზიის შესაძლებლობა, გამოფიტვის პროდუქტის გავლენა მიმდებარე ტერიტორიებსა და წყლებზე.

2.6. გზების მშენებლობისას განსაკუთრებულ ზეგავლენას ცოცხალი სამყარო განიცდის. მათზე ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა, მათი მდგრადობის ანალიზი და შენარჩუნებისთვის საქმიანობის განსაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. იგივე ითქმის ფაუნაზე და მასზე შესაძლო ზემოქმედებაზე – გზის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს სახეობების ჰაბიტატების განადგურება, ფრაგმენტაცია, მიგრაციის გზების დეგრადაცია, საბუდარის (თავშესაფრის) მოშლა ან სახეობის შემოფოთება.

2.7. მშენებლობის პროცესში შესაძლებელია ისეთი არქეოლოგიური ძეგლის განადგურება, რომელიც არაა ცნობილი და არ განხილულა მისი შესაძლო არსებობა. რისკის შემცირების მიზნით ხორციელდება არქეოლოგიური ზედამხედველობა. ამგვარი პროცედურები ხორციელდება კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მიხედვით, ხოლო ქმედებები თანხმდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სახელმწიფო უწყებებთან (ელიზბარაშვილი ნ., 2016).

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ იმ ძირითადი გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დაცვას. ესენია:

- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ;
- კანონი წყლის შესახებ;

- კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ;

- ნიადაგის დაცვის შესახებ;

- ნარჩენების მართვის კოდექსი;

- ტყის კოდექსი და სხვა.

საავტომობილო გზების მშენებლობისას ასევე გასათვალისწინებელია ამ კანონებიდან გამომდინარე კანონმდებარე აქტებით განსაზღვრული რეგულაციები.

მაგალითად, ნიადაგის მოხსნა დასაწყობების და რეკულტივაციის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება, ჩამდინარე წყლების ზღვრულად ჩაშვების პროექტი და ა.შ.

საავტომობილო გზების მშენებლობისას ასევე მნიშვნელოვანია იმ პირობების და ვალდებულებების დაცვა, რაც გზის ანგარიშში აქვს გაწერილი. ასეთი შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგი, წყლის, ნიადაგის სინჯების აღება დაბინძურების შემთხვევაში (მაგალითად, ნავთობპროდუქტებით), ცხელ ამინდებში გრუნტიანი გზების მორწყვა მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები (მაგ., ნარჩენების სეპარირება, სახიფათო ნარჩენების მართვა და ა.შ.).

კვლევის პერსპექტივები

საავტომობილო გზების მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების განხილვისას წარმოჩინდა გეოგრაფიული მეცნიერების ძალიან დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში. განხილულ ანგარიშებში მრავლადაა წარმოდგენილი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეოგრაფიულ ინფორმაციას. თუმცა, რიგი პარამეტრები (ლანდშაფტის სტრუქტურის და მდგომარეობის განსაზღვრა, კომპონენტების კავშირების შესაძლო ტრანსფორმაცია, ლანდშაფტის მდგრადობა, ლანდშაფტის პოტენციალი და ფუნქციები; კლიმატური მახასიათებლები – ქარი, ყინვები, ნალექები, მზის რადიაცია და სხვ.), პრაქტიკულად, არ განიხილება. ამგვარი შეფასება მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული თავისე-

ბურებების შესწავლას და წარმოჩენას, რაც პერსპექტიული სამეცნიერო ამოცანაა.

დასკვნები

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშების (სავტომობილო გზების მშენებლობის) და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის დროს გამოიკვეთა ზემოქმედების რამდენიმე ძირითადი ტიპი. ესენია:

1. ზემოქმედების ობიექტები – ლანდშაფტი, ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, წყალი, ბიომრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მოსახლეობა, ასევე, მნიშვნელოვანია საქმიანობით გამოწვეული ნარჩენების ზემოქმედება ზემო აღნიშნულ ობიექტებზე.
2. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: ტერიტორიის აღწერა, ბუნებრივი და სოციალური ფონი, გეოგრაფიული ინფორმა-

ცია (კლიმატი, წყლები, ნიადაგის ტიპები და ა.შ.).

3. საკანონმდებლო ნაწილი ძირითადი გარემოსდაცვითი კანონების ის ნუსხაა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დაცვას. ესენია: საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, კანონი წყლის შესახებ, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, ნიადაგის დაცვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსი, ტყის კოდექსი და სხვა.
4. პირობებსა და ვალდებულებებს განეკუთვნება: გარემოსდაცვითი მონიტორინგი, წყლის, ნიადაგის სინჯების აღება დაბინძურების შემთხვევაში (მაგალითად, ნავთობპროდუქტებით), ცხელ ამინდებში გრუნტიანი გზების მორწყვა მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები (მაგ., ნარჩენების სეპარირება, სახიფათო ნარჩენების მართვა და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნოდარ, გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები. თბ., 2016.
2. მჭედლიშვილი კ., ბურდულაძე ა., გელაშვილი ო., არჩვაძე გ., საავტომობილო გზები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2009.
3. ადგილობრივი მნიშვნელობის „ნატანები შრომა ურეკის“ საავტომობილო გზის მე-10 კმ-ზე მდ. სეფაზე ახალი სახიდე გადასასვლელის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, თბ., 2014.
4. ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2015.
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადახლო-წოფი-ახქერფი (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 22+110-ზე მდ. ახქერფისწყალზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის სკოპინგის ანგარიში, თბ., 2019.
6. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) წნორი დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის კმ 2 (კმ 1+400)-ზე არსებულ არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, თბ., 2021.
7. <http://www.georoad.ge>
8. <http://www.georoad.ge/uploads/files/dasrulebuli%202018-2024.pdf>

ტურისტული პოტენციალის ტრანსდისციპლინური შეფასება (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

სანდრო გოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
თბილისი, საქართველო
san.gogoladze@gmail.com

ანოტაცია

საქართველო ტურისტული კუთხით ერთ-ერთი უნიკალური და მიმზიდველი ქვეყანაა, რაზეც მოწმობს ტურისტთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდის სტატისტიკაც. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს გლობალურმა პანდემიამ, რომელიც ახლაც მძვინვარებს, უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის დარგზე მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, ტურიზმი მაინც რჩება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, რომელიც გამორჩეულია ბუნებრივი და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვით, შიდა წყლებით, ხელუხელებელი ტყის კორომებით და სხვა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში ტურიზმს განვითარების პოტენციალი გააჩნია.

სტატია მომზადებულია საველე კვლევის საფუძველზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის 1-დან 10 აგვისტოს ჩათვლით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფია, ტურიზმი, ტრანსდისციპლინური კვლევა, ტურისტული პოტენციალი, ხედვის წერტილი.

TRANSDISCIPLINARY ASSESSMENT OF TOURISM POTENTIAL (ON THE EXAMPLE OF AMBROLAURI MUNICIPALITY)

Sandro Gogoladze

*PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
san.gogoladze@gmail.com*

Annotation

Georgia is one of the unique and an attractive country in terms of tourism, which is evidenced by the statistics of the annual growth of the number of tourists. The global pandemic in 2020, which is still raging in the world (including Georgia), had a negative impact on the tourism sector around the world, though tourism remains one of the most priority sector of economic of the country.

Research object is Ambrolauri Municipality, which is distinguished by natural and landscape diversity, abundance of historical and cultural monuments, inland water, pristine forest groves, etc. Therefore, tourism has development potential in the municipality.

Pervious article is prepared on a field study course, which was held from 1 to 10 August 2020 in municipality of Ambrolauri.

Keywords: Geography, Tourism, Transdisciplinary research, Tourism potential, Point of view.

შესავალი

საქართველო ტურისტული კუთხით ერთ-ერთი უნიკალური და მიმზიდველი ქვეყანაა. შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილი ბუნებრივი და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიების მოწესრიგებული სისტემა, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიუხვე და სხვა განაპირობებს ტურისტთა რაოდენობის ყოველწლიურ ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს გლობალურმა პანდემიამ, რომელიც ახლაც მძვინვარებს, უარყოფითი გავლენა მოახდინა ტურიზმის დარგზე მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, ტურიზმი მაინც რჩება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

წინამდებარე სტატია მომზადებულია საველე კვლევის საფუძველზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის 1-დან 10 აგვისტოს ჩათვლით ქ. ამბროლაურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფელი სადმელი). საველე-სასწავლო პრაქტიკა განხორციელდა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სამეცნიერო ფონდის (OEAD) დაფინანსებული პროექტის „ტრანსდისციპლინურობა ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის კავკასიის რეგიონში – CaucaSusT“ (Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region – CaucaSusT) ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხი სხვადასხვა ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 24 სტუდენტი და 5 პროფესორი (შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური საველე კურსის შემუშავება და განხორციელება, 2020).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ინტერვიუების გზით გამოიკითხა ადგილობრივი მოსახლეობა, განხორციელდა შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (სტეიკჰოლდერებთან). მიღებული ინფორმაციის სა-

ფუძველზე მოხდა მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების და ტურიზმის სექტორის მდგომარეობის ანალიზი და შეფასდა სამომავლო პერსპექტივები.

რაც შეეხება წინამდებარე სტატიას, მასში განხილულია ზემოთ აღნიშნული საველე კვლევის შედეგად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი არსებული ბუნებრივი გარემოს ის ელემენტები და ობიექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციას, განვითარებასა და რეგიონის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი როლის დაკავებას ეკონომიკის მომიჯნავე სექტორებთან ერთად.

კვლევის მიზნები

ტრანსდისციპლინური საველე კვლევის მონაწილე სტუდენტები, თემატიკის მიხედვით, დაიყვნენ ექვს ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაევა კონკრეტული მიმართულებით კვლევა. ეს მიმართულებებია:

- დეპოპულაცია და მიგრაციის ტენდენციები: მიზეზები და გამოწვევები;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისები;
- ტურიზმის კავშირი ეკონომიკის სხვა სექტორებთან;
- ბუნებრივი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, რესურსების პერცეფცია, დაცული ტერიტორიები;
- დასახლების მართვისა და განვითარების გამოწვევები (სტეიკჰოლდერებისა და სტუდენტების ხედვა);
- კურორტის მენეჯმენტი: დესტინაციის მართვის გეგმების აუცილებლობის კვლევა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი გარემოს იმ ელემენტების გამოვლენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის სხვადასხვა დარგის განვითარებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. კვლევის მიზანთან დაკავშირებული იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: ტურიზმში ნაკლებად ჩართული

ბუნებრივი გარემოს ელემენტების გამოვლენა, ეფექტური პეიზაჟებისთვის ახალი ხედვის წერტილების განსაზღვრა და ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონში მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციას, სწორად დაგეგმვასა და როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურიზმის განვითარებას, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის და მთლიანად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობას.

კვლევის მეთოდები

საწყის ეტაპზე კვლევა განხორციელდა სავლე პირობებში ქ. ამბროლაურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფელი სადმელი), ხოლო შემდეგ მოხდა ველზე მოპოვებული ინფორმაციის კამერალური დამუშავება. გამოყენებულ იქნა როგორც გეოგრაფიული, ისე კარტოგრაფიული, გეოინფორმაციული და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. კერძოდ:

1. მოსახლეობის გამოკითხვა (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით);
2. სიღრმისეული ინტერვიუ (მიზნობრივი შერჩევა);
3. სავლე კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სისტემური ანალიზი;
4. ინფორმაცია დამუშავდა SPSS-ისა და ArcGIS-ის პროგრამებში.

შედეგები

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმში ნაკლებად ჩართული ბუნებრივი გარემოს ელემენტებიდან აღსანიშნავია: გეოგრაფიული წარმონაქმნები (ჩანჩქერები, მღვიმეები, ბუნებრივი ტყის კორომები, მაღალი მთის ლანდშაფტები), გოგირდის წყლები და ხის უნიკალური ჯიშები. გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორია გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ფარგლებში ექცევა.

ახალი ხედვის წერტილები დაუკავშირდა ეფექტურ პეიზაჟებს. შედეგად გამოვლინდა ორი ხედვის წერტილი:

- **ველიეთი**, რომელიც ქ. ამბროლაურიდან 5 კმ-ით არის დაშორებული. ველიეთიდან შესანიშნავად ჩანს მდინარე რიონის ხეობა, მოჩანს ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და მინდა ციხე, ხოლო მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე სოფელი წესია შეფენილი.
- **სოფელი გორი** ქ. ამბროლაურიდან 1,5 კილომეტრით არის დაშორებული. სოფელ გორიდან იშლება ხედი ქ. ამბროლაურზე და მიმდებარე სოფლებზე, ვხედავთ მდ. რიონის ჭაღას, გამოზიდვის კონუსებზე შეფენილ სოფლებს – ძირაგულს და კვაცხუტს. მიმდებარე მთის ვერდობებზე ვხედავთ თითქმის ხელუხლებელ, ტყის მასივს, სადაც ქვედა ტყის ფართოფოთლოვანი ტყე სჭარბობს, ალაგ-ალაგ ნაძვის კორომებით.

აღნიშნული ადგილები იმიტომ შეირჩა ხედვის წერტილებად, რომ ისინი გამოირჩევა მრავალფეროვანი და მიზიდველი, ესთეტიკური პეიზაჟებით. აქ თავს იყრის რამდენიმე ტიპის ლანდშაფტი და იქმნება ლანდშაფტური კვანძი, მოსჩანს უნიკალური ტყის კორომები, მდინარის ჭაღა და გამოზიდვის კონუსებზე შეფენილი სოფლები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ხედვის წერტილები შესაძლოა საინტერესო ტურისტულ სანახაობად იქცეს.

2. ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი პრინციპები: მარშრუტის ხანგრძლივობა, გადაადგილების სირთულე, გეოგრაფიულ და ისტორიულ ობიექტთა მრავალფეროვნება, გეგმარებითი დაცული ტერიტორიების მდებარეობა, ხედვის წერტილები, წყლის ობიექტები, ახალი (მშენებარე) საგზაო ინფრასტრუქტურა და სხვა. კვლევის შედეგების ანალიზის, სინთეზის და სხვა გეოგრაფიული მეთოდების გამოყენების შემდეგ გამოვლინდა შემდეგი ობიექტები:



სურს. 1. ხედვის წერტილი. ხედი ველიეთის წმინდა გიორგის სალოცავიდან
წყარო: <https://www.facebook.com/Rachvelebi/photos/a.10151644546549201/10151644547924201/>



სურს. 2. ხედვის წერტილი. ხედი სოფელ გორიდან
წყარო: ფოტო გადაღებულია მაგისტრანტ ანა მარგველანის მიერ.

- **ზნაკვის ჩანჩქერი** – მდებარეობს სოფელ ზნაკვაში, ქ. ამბროლაურიდან 10 კილომეტრის დაშორებით. ზნაკვის ჩანჩქერების კასკადის ფარგლებში 4 ვარდნილის გამოყოფა შეიძლება, მათგან ყველაზე მაღალია პირველი, 40-მეტრიანი ჩანჩქერი. ბილიკის მარკირების განახლების და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის შემთხვევაში ვიზიტორების რაოდენობაც გაიზრდება.
- **სოფელი გოგოლათი** – სოფელი გოგოლათი მდინარე შარეულას ხეობაში, ქ. ამბროლაურიდან 28 კმ-ს დაშორებით მდებარეობს. სოფელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული უნიკალური არქიტექტურისა და ორნამენტების მქონე ოდების გამო. აღსანიშნავია, რომ ხის სახლების ასაშენებლად ძირითადად თხილის, ურთხველის, წაბლის ხეებს იყენებ-

დნენ. დღეს კი ამათგან ზოგიერთი ხის ჯი-ში გაქრობის საფრთხის წინაშე დგას, ისევე, როგორც ოდების მშენებლობის ძველი ტექნოლოგია და ხეზე კვეთის ოსტატობა. საჭიროა სოფლის ტერიტორიაზე ავთენტური სახით შემორჩენილი სახლების კონსერვაცია, რეაბილიტაცია და მისი ტურისტულ მარშრუტებზე დატანა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ თუკი სოფლის მიმდებარედ მოხდება სანერგის მოწყობა, ეს შესაძლებელს გახდის ხის უნიკალური ჯიშების კონსერვაციას, შემდგომ კი აღდგენას და გამრავლებას. ამავდროულად, სანერგის არსებობა ხელს შეუწყობს ხეზე კვეთის პოპულარობის გაზრდას და საბოლოოდ, შესაძლებელი გახდება ეთნოტურიზმის მიმართულების განვითარებაც, სეზონური ფესტივალების (წაბლის კრეფა, სანერგეში მასტერკლასების ჩატარება) მოწყობის საშუალება.

- **ლექსუმის ქედისა და ქ. ამბროლაურის დამაკავშირებელი ტურისტული ბილიკი** – ბილიკის გაყვანისა და მარკირების მთავარი მიზანია, ტურისტს მიეცეს საშუალება, საფეხმავლო და საავტომობილო გზებს შორის გააკეთოს არჩევანი.

ბილიკის ფარგლებში საინტერესოდ იცვლება ლანდშაფტები, სუბნივალურიდან ჩა-

მოვდივართ ქვედა ტყის ლანდშაფტში. ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტი და პირველადი ტყეები ბილიკს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ვიზიტორთათვის.

ბილიკის მარკირებისას კარგი იქნება მოინიშნოს ისეთი წერტილები, როგორებიცაა: **საჩიტას გადმოსახედი**, საიდანაც კარგად ჩანს მდინარე ლუხუნის ჭორომიანი დინება და შერეული ტყეებით დაფარულ მთის ფერდობები; **ქვეშავაე** – ყოფილი კურორტი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სამკურნალო თვისებების მქონე გოგირდის წყლებით. ინფრასტრუქტურის აღდგენის შემთხვევაში კურორტს ძველი პოპულარობა დაუბრუნდება.

ხიდიკრის კლდეკარი – ადგილი, სადაც მდ. რიონი მაღალ, ნათალ კლდეებში მიედინება. აქვეა ხიდიკარის ციხის ნანგრევები. გარდა ბუნებრივ-ესთეტიურისა, ამ ადგილს მითოლოგიური და ისტორიული ღირებულებაც გააჩნია. საცნობარო დაფის მოწყობის შემთხვევაში საინტერესო ლოკაციად შეიძლება იქცეს.

ბილიკის სიგრძე (დაახლოებით 30 კმ) საჭიროს ხდის დასასვენებელი წერტილების მოწყობას. ამ მხრივ, ვფიქრობთ, რომ საუკეთესო იქნება მაღალი ევროპული სტანდარტების საკემპინგე ტერიტორიების მოწყობა, რაც ლანდშაფტის უხეში გარდაქმნისა და გარემოს ძლიერ დაბინძურებისაგან დაიცავს.



სურა. 3. ტურისტული მარშრუტი

➤ ქალაქ ამბროლაურის სპორტული ბაზა – ქ. ამბროლაურში ფუნქციონირებს თანამედროვე ევროპული სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა (საფეხბურთო მოედნები და ბაზები, კალათბურთის მოედანი, სპორტის სასახლე და ჭიდაობის დარბაზი, ჩოგბურთის კორტები, ღია და დახურული საცურაო აუზი). აღნიშნული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, მოხდეს სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რაც ტურიზმის სრულიად ახალი მიმართულება იქნება რეგიონში. სწორი მარკეტინგული და მენეჯერული მუშაობით კი შესაძლებელი გახდება სხვადასხვა საფეხბურთო კლუბების საწვრთნელ შეკრებებზე მოწვევა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ტრანსდისციპლინური კვლევის ფარგლებში, მოსახლეობის გამოკითხვისას, გამოვლინდა მათი დამოკიდებულება ტურიზმის სექტორის მიმართ. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა 50-59 წლის ასაკობრივ ჯგუფს შეადგენდა. სამწუხაროდ, კვლევაში ახალგაზრდა მოსახლეობის წილი დაბალი იყო, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეგიონის მძიმე დემოგრაფიულ ფონს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ტურიზმის განვითარებას პოზიტიურად უყურებს და მის მთავარ დადებით მხარედ სწრაფ ეკონომიკურ სარგებელს ასახელებს. ასევე, რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი ტურიზმის განვითარების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად რეგიონში ბუნებრივ პირობებს, ადგილობრივ კულტურას და მინერალურ წყლებს მიიჩნევს.

კვლევის პერსპექტივები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის განხორციელებისას გამოყენებულ იქნა ტრანსდისციპლინური მიდგომა, რამაც საშუალება მოგვცა, კომპლექსურად შეგვეფასებინა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული სოცია-

ლურ-ეკონომიკური ვითარება და გამოგვევლინა ბუნებრივი გარემოს ის ელემენტები, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულნი ტურიზმის სფეროში, თუმცა რეალურად ამის პოტენციალი გააჩნიათ. შესაბამისად, წინამდებარე ტრანსდისციპლინური კვლევა საკმაოდ აქტუალური და პერსპექტიულია. სწორედ ასეთი კომპლექსური კვლევებითაა შესაძლებელი გამოვლინდეს ისეთი დეტალები და მიგნებები, რომელთა გათვალისწინებაც მდგრადი ტურიზმისთვის მნიშვნელოვანია. კვლევა დეტალურად და სიღრმისეულად შეეხო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე მის ბუნებრივი გარემოს ელემენტებსა და ღირსშესანიშნაობებს. შესაბამისად, შესაძლებელია, აღნიშნული კვლევა საფუძვლად დაედოს, როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, ასევე მთლიანად რეგიონის ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

დასკვნები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ და მიმზიდველ ადგილს ტურიზმის განვითარების კუთხით. თუმცა, წინამდებარე კვლევამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აფერხებს ტურიზმის განვითარების პროცესს. კერძოდ, მოსახლეობის დეპოპულაცია და დაბერება, მოსახლეობის სეზონური მიგრაციები, გაუმართავი სოციალური ინფრასტრუქტურა (მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, სასმელი წყლის მიწოდება, გაზიფიკაცია, ინტერნეტიზაცია, მობილური კავშირგაბმულობა და სხვა), კვალიფიციური კადრების სიმცირე და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის არარსებობა მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია, განვი-

თარდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობა. კვლევის ფარგლებში, წარმოჩინდა ბუნებრივი გარემოს ისეთი ელემენტები, რომლებიც დღემდე ყურადღების მიღმა და პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა შესაძლებელია ამ ადგილების ტურისტულ ცენტრებად ჩამოყალიბება. შესწავლილ იქნა რამდენიმე ისეთი ობიექტი, რომლებიც ნამდვილად შეიძლება გახდეს ტურისტთა მიზიდულობის ცენტრი და ვიზიტ-

ორებს შესთავაზოს სხვადასხვა სახის ტურისტული მომსახურება.

საბოლოოდ, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი, რათა განვითარდეს ტურიზმის არაერთი დარგი (საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, სპორტული, აგროტურიზმი, ეთნოტურიზმი და სხვა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური სავლე კურსის შემუშავება და განხორციელება, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ლექტორებისთვის, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020, გვ. 160.
2. <https://www.facebook.com/Rachvelebi/photos/a.10151644546549201/10151644547924201/>

სამეგრელო-ზემო სვანეთის ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიული თავისებურებები, ეკონომიკური პოტენციალი და გამოწვევები

ლადო გრიგოლია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ladogrigolia2@gmail.com*

სულიკო ძაგნიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ცოცხალ ორგანიზმებს არსებობისთვის სხვადასხვა სახის რესურსი სჭირდებათ, მათი უმრავლესობა ბუნებაში უშუალო სახით გვევლინება, ნაწილი კი სასურველ პროდუქტად შემდგომში გარდაიქმნება. რესურსები, რომლებიც ბუნებრივი გარემოს შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, ბუნებრივი რესურსები ეწოდებათ. სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ბუნებაში ჩვენთვის ნაცნობი სიცოცხლის ფორმებისა და ეკოსისტემების არსებობას. ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაციის რამდენიმე მეთოდი არსებობს. მათი კლასიფიცირების ყველაზე გავრცელებული სახეებია წარმოშობისა და აღდგენის უნარის მიხედვით დაყოფა. წარმოშობის მიხედვით ბუნებრივი რესურსები ორ ჯგუფად იყოფა: ბიოტური – ორგანული მასალისაგან მიღებული (ბიომრავალფეროვნებისგან მიღებული პროდუქტები) და აბიოტური – არაორგანული მასალისაგან მიღებული (ნიადაგი, წყალი, ჰაერი, ფერადი ლითონი და სხვა). ბუნებრივ რესურსებს ასევე ყოფენ განახლებად და არაგანახლებად ტიპებად. დღესდღეობით კაცობრიობის მიერ ბუნებრივი რესურსის ათვისების მასშტაბები კრიტიკულად გაიზარდა, რადგან ბუნებრივ გარემოში არსებულ სულ უფრო მეტ ელემენტს გამოუჩნდა დანიშნულება სხვადასხვა თანამედროვე პროდუქტის წარმოებაში.

სტატიაში განხილულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი. აღწერილია ბუნებრივი რესურსების გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებები და ის გამოწვევები, რომლებიც ამ რესურსების ეფექტურ ათვისებასა და გამოყენებას უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოტენციალი, გეოგრაფიული თავისებურებები, გამოწვევები, ბუნებრივი გარემო.

GEOGRAPHICAL FEATURES, ECONOMIC POTENTIAL AND CHALLENGES OF NATURAL RESOURCES IN SAMEGRELO-ZEMO SVANETI REGION

Lado grigolia

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD student
ladogrigolia2@gmail.com*

Suliko Dzagnidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Annotation

Living organisms need a variety of resources for their existence, most of them appear directly in nature, and some of them are subsequently transformed into the desired product. Resources that are part of the natural environment are called natural resources. It is they who ensure the existence of life forms and ecosystems familiar to us in nature. There

are several methods for classifying natural resources. The most common types of their classification are divisions according to origin and ability to recover. According to the origin, natural resources are divided into two groups: biotic – derived from organic materials (products derived from biodiversity) and abiotic – derived from inorganic materials (soil, water, air, non-ferrous metals, etc.). Natural resources are also divided into renewable and non-renewable types. Nowadays, the scale of human resource utilization has increased critically as more and more elements in the natural environment have found a purpose in the production of various, modern products.

The article discusses the resource potential of natural conditions in the Samegrelo-Zemo Svaneti region. Describes the geographical features of natural resource distribution and the problems associated with the efficient use and realization of resources.

Keywords: Economic potential, geographical features, challenges, natural environment.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ინტელექტუალურთან ერთად დამოკიდებულია ბუნებრივ გარემოში არსებულ რესურსზე. ბუნებრივ გარემოში ამა თუ იმ რესურსის არსებობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორზე: გეოლოგიურ საფუძველზე, რელიეფის მორფომეტრიაზე, ნიადაგის ფიზიკურ თუ ქიმიურ შემადგენლობაზე, კლიმატზე, გარემოზე ზემოქმედებაზე და ა.შ. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსი ერთგვარი ჯილდოა სახელმწიფოსთვის, რომელიც მემკვიდრეობით ერგო დედამიწისგან. თუმცა სათანადო შესწავლის, მიდგომისა და გადადგმული ნაბიჯების გარეშე მსგავსი სიმდიდრე შესაძლოა უსარგებლო გახდეს სახელმწიფოსთვის. ამიტომ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ბუნებრივი გარემოსა და რესურსების სიღრმისეულ შესწავლას, რათა ბუნებაში არსებული დოვლათი სათანადოდ იქნეს გამოყენებული.

სტატიაში განხილულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი. აღწერილია ბუნებრივი რესურსების გავრცელების გეოგრაფიული თავისებურებები და ის გამოწვევები, რომლებიც ამ რესურსების ეფექტურ ათვისებასა და გამოყენებას უკავშირდება.

კვლევის მეთოდები

სამეგრელო-ზემო სვანეთის ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მოპოვებულ იქნა სამეცნიერო ლი-

ტერატურიდან, ინტერნეტრესურსებიდან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე ადმინისტრაციული სამსახურებისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშებიდან. მიღებული ინფორმაციის კლასიფიკაციის, შედეგების შეფასებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენების საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და შემუშავდა ზოგადი რეკომენდაციები.

შედეგები

1. სამეგრელო – ზემო სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებანი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები, ხოლო სამხრეთით – გურიის რეგიონი. სამეგრელო-ზემო სვანეთის ფართობია 7,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 10,8%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 478,2 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 10,66%-ს შეადგენს. მხარეში შედის 497 დასახლებული პუნქტი – 8 ქალაქი, 2 დაბა და 487 სოფელი. მხარის მოსახლეობის 40,3% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 59,7% – სოფლებში. რეგიონში მაღალმთიან დასახლებებს (1000 მ-ზე ზევით) მიეკუთვნება მესტიის მუნიციპალიტეტის 136 და მარტვილის მუნიციპალიტეტის 1 სოფელი. მო-

სახლეობის 98,6% ეთნიკურად ქართველია. მოსახლეობის სიმჭიდროვე მხარის ტერიტორიაზე შეადგენს 64 ადამიანს კვ.კმ-ზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედებს 9 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი ფოთი და აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები. სამხარეო დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. ზუგდიდშია განთავსებული (რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013).

2. წყლის რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავი ზღვის სანაპირო ზოლი. რეგიონში აღრიცხულია 2,4 ათასი დიდი და მცირე მდინარე. უგრძესი მდინარეებია ენგური (სიგრძე 213 კმ), ხობისწყალი (150 კმ), ტეხური (101 კმ) და აბაშისწყალი (66 კმ). სხვა რეგიონების გადამკვეთი მდინარეების – რიონისა და ცხენისწყლის სიგრძე რეგიონის ტერიტორიაზე, შესაბამისად, 88 და 44 კმ-ია. მიწისქვეშა წყლების მოცულობა რეგიონის წყლის რესურსების საერთო მარაგის 25%-ს შეადგენს. რეგიონი მდიდარია ტბებით და მინერალური და თერმული წყლებით (რეგიონში არსებობს 13 ტბა სარკის საერთო ფართობით დაახლ. 65 კმ²). სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს ჯვარის წყალსაცავი, რომლის ზედაპირის ფართობი 13,5 კმ²-ს შეადგენს. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) წყლის აღებამ 4 935 მლნ მ³, ხოლო წყლის გამოყენებამ 4 933 მლნ მ³ შეადგინა, საიდანაც 99% გამოყენებულია ჰიდროენერგეტიკაში, ხოლო 1% – სასმელ-სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულებით. სამეგრელო-ზემო სვანეთში არსებობს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების, აგრეთვე სამკურნალო წყლების

მარაგი. ამჟამად რეგიონში მინერალური წყლის მოპოვებაზე გაცემულია მხოლოდ 3 ლიცენზია (პერსპექტიული რესურსის ჯამური მარაგი 1,25 ათასი მ³ დღე-ღამეში) (რეგიონის განვითარების სტრატეგია 2013).

სამეგრელო-ზემო სვანეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – „ენგურჰესი“ და „სქურჰესი“, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში – „ჩხორჰესი“, ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტში – „აბჰესი“ და „კურზჰესი“. მათ მიერ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება 4350 მლნ კვტ/სთ-ს მათი ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმძლავრეთა საერთო ჯამი 3,3 მლრდ. კვტ-ს, ანუ საქართველოს მთლიანი პოტენციური ჰიდროენერგორესურსების 13%-ს აღწევს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, სხვა რეგიონებთან შედარებით, მდიდარია მაღალი ენერგეტიკული პოტენციალის მქონე თერმული წყლის რესურსებით (ლიცენზირებულია თერმული წყლების მოპოვება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ცაიშში, სენაკში და ხობში, სადაც რესურსების მოცულობა, შესაბამისად, დღე-ღამეში 6900 მ³-ს, 2146 კმ³-ს და 5122 კმ³-ს 11 შეადგენს). თერმული წყლების საბადოების საერთო მარაგი რეგიონში დღე-ღამეში 35 ათას მ³-ია. ყველაზე მძლავრი, დეტალურად დამიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის საბადო, რომლის საექსპლუატაციო მარაგები დღე-ღამეში 14300 მ³-ით (800-1000 ტემპერატურით) არის შეფასებული (szs.gov.ge).

ცნობილია, რომ საქართველოს წყლები მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და განახლებადი რესურსებით გამოირჩევა, რაც საბადოების რაციონალური ექსპლუატაციის პირობებში ბუნებრივი სიმდიდრის გრძელვადიანი გამოყენების შესაძლებლობას ქმნის, მათ შორის ექსპორტის თვალსაზრისით. რეგიონში ჰიდრორესურსების სიუხვე მრავალი მცირე ჰეს-ის აგების საშუალებას იძლევა, რაც ენერგეტიკის მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვან შე-

დეგებს მოიტანს. დიდი პერსპექტივა აქვს სამკურნალო და მინერალური წყლების წარმოებას, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად აუთვისებელია. მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში საირიგაციო სისტემების განვითარებაც, რაც მთლიანად წყლის რესურსებზეა დამოკიდებული. ასევე დიდი პერსპექტივა აქვს ჰიდროლოგიური ობიექტების რეკრეაციულ ღირებულებას ტურიზმის მიმართულებით.

3. ქარისა და მზის ენერგორესურსი – რეგიონს ენერგოგენერირების დიდი პოტენციალი აქვს განახლებადი ენერჯის წყაროების – მზისა და ქარის და პოტენციური მარაგების გამოყენების გათვალისწინებითაც. რეგიონის უდიდეს ნაწილში ქარის ენერგეტიკული პოტენციალი 100-250 ვტ/მ²-ის ფარგლებში მერყეობს, ფოთისა და მის მიმდებარე ტერიტორიასა და სანაპირო ზოლზე კი 800-1200 ვტ/მ²-ს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიული 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. ფოთის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 90 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 110 მლნ კვტ/სთ ელექტროენერჯის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლოებით 11000 ოჯახს დააკმაყოფილებს (რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013).

მზის ენერჯის სრულდღიანი რესურსი მთელი რეგიონის ტერიტორიაზე 3,8 კვტ/სთ/მ²-ს შეადგენს. ვაკე-დაბლობის საზღვრებში, რადიაციული ბალანსის წლიური სიდიდე 55 კკალ-სმ²-ს აღემატება. ხოლო მთებში ეს მაჩვენებელი 45–50 კკალ-სმ²-მდე ეცემა. ჯამური რადიაციის მაღალი მაჩვენებლები – 130–140 კკალ-სმ² – მთიანი რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი. სამეგრელოს-ზემო სვანეთის ვაკე-დაბლობზე ეს მაჩვენებელი 115–120 კკალ-სმ²-ს არ აღემატება (ka.wikipedia.org).

4. ტყის რესურსები – სამეგრელო-ზემო სვანეთი ქვეყნის ერთ-ერთ ტყით მდიდარ მხარეს წარმოადგენს. რეგიონში ტყეს ტერიტორიის 41% უკავია. რეგიონში ტყის ფონდის ფარ-

თობი 276,3 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 259,7 ათასი (94%) ჰა არის დაფარული (უნდა აღინიშნოს, რომ 2011-2012 წლების მერქნის დამზადების მონაცემები არასრულყოფილია და სრულად არ შეესაბამება რეგიონში არსებულ რეალურ მდგომარეობას). რეგიონში შენარჩუნებულია ე.წ „ხელუხლებელი ტყეები“, რომლებიც, სხვა ტყის მასივებთან ერთად, ბიომრავალფეროვნების ერთგვარ საბადოს ქმნიან. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი და შესაბამისად, განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულებით გამოირჩევა. გარდა სამრეწველო პოტენციალისა, უნდა აღინიშნოს მათი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციები.

ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობებიდან რეგიონის მასშტაბით მაგარმერქნიანი ფოთლოვნებიდან სჭარბობს წიფელი (გავრცელებულია 77565 ჰა ფართობზე და მერქნის მარაგი შეადგენს 14774,3 ათას მ³-ს). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია რცხილას (16700 ჰა, 1418,4 ათასი მ³), წაბლს (14228 ჰა, 2357,4 ათასი მ³), მუხას (4699 ჰა, 358,3 ათასი მ³), ნეკერჩხალს (472 ჰა, 43 ათასი მ³), ჯაგრცხილას (1083 ჰა, 38,9 ათასი მ³) და აკაციას (1628 ჰა, 67,5 ათასი მ³). გამოსარჩევია უნიკალური კოლხური ბზის კორომები (1639 ჰა, 130,5 ათასი მ³). წიწვოვნებიდან ჭარბობს სოჭი (56545 ჰა, 21793,6 ათასი მ³), ნამვი (14842 ჰა, 3526,4 ათასი მ³) და ფიჭვი (10888 ჰა, 1688,5 ათასი მ³). რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან ყველაზე დიდი ფართობი უკავია მურყანს (თხმელა) (51734 ჰა, 2766 ათასი მ³) და ვერხვს (1284 ჰა, 103,4 ათასი მ³). არსებული სანედლეულო ბაზა იძლევა ამ მიმართულებით ინვესტიციების განვითარების შესაძლებლობას. რეგიონის მასშტაბით არსებული ტყეები იძლევა შესაძლებლობას, სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება როგორც საშემე, ისე სამასალე მერქანზე. მრავალწლიანი მონაცემების თანახ-

მად, 5 წლის განმავლობაში ათვისებული მერქნული რესურსი წლების მიხედვით ცვლილებას განიცდიდა. საშუალო მერქანი სრულად არის ათვისებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ხოლო სამასალე მერქნის მოპოვების მაჩვენებლის ზრდა რეგიონის ტერიტორიაზე ხე-ტყის სამრეწველო დანიშნულებით დამზადების მასშტაბების ზრდით არის განპირობებული. დღეისათვის, ხორციელდება ხე-ტყის მოპოვება 78019 ჰა ფართობზე, რისთვისაც გაცემულია ხე-ტყის დამზადების 30 სპეციალური ლიცენზია, ხოლო 2092 ჰა ფართობი გამოყენებულია სამონადირეო მეურნეობისათვის. რეგიონში რეგისტრირებულია 101 ლიცენზირებული

ლი სახერხი. ამის მიუხედავად ტყის უკანონო ჭრა მუდმივად მიმდინარეობს. 2019 წელს გამოვლენილ იქნა 8023 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი მასალა (geostat.ge).

5. წიაღისეული რესურსი – დღეისათვის, რეგიონში წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე 185 ლიცენზია არის გაცემული. რეგიონში არსებობს ტორფის 4 ძირითადი საბადო: ანაკლიისა და ჭურის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ნაბადის (ქ. ფოთი) და ოცანცალეშის (მარტვილის მუნიციპალიტეტი). გარდა ამისა, ზუგდიდის, მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში გვხვდება ტორფის მცირე-მასშტაბური გამოვლინებები.



სურ. 1. რეგიონში წიაღისეული რესურსის გავრცელება (წიაღის ეროვნული სააგენტო)

ტორფის საერთო მარაგი 48 მლნ ტონას შეადგენს. რეგიონში მოიპოვება ფერადი ლითონები. ოქროს შეფასებული პროგნოზული რესურსი შეადგენს 103,7 ტონას, ტყვიის – 300 ათას ტონას, თუთიის – 370 ათას ტონას, სპილენძის – 376 ათას ტონას, კობალტის – 6 ტონას, ვერცხლის – 8,4 ტონას. მარტვილის, მესტიისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მოიპოვება მოსაპირკეთებელი ქვები. მაგმური ქანების საბადოების მარაგი შეადგენს 6475 ათას მ³-ს, ხო-

ლო მარაგების ეკონომიკური პოტენციალი – 317 მლნ დოლარს. მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს მარმარილოს საბადოები, რომელთა მარაგი შეადგენს 2992 ათას მ³-ს, ხოლო მარაგების ეკონომიკური პოტენციალი – 441 მლნ დოლარს. მესტიის, მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში გვხვდება მოსაპირკეთებელი კირქვის საბადოები, რომელთა მარაგი შეადგენს 1089 ათას მ³-ს, ხოლო მარაგების ეკონომიკური პოტენციალი – 75 მლნ დო-

ლარს. სახერხი ქვისა და ღორღის ნედლეული – კირქვის საბადოებია მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. მარაგები შეადგენს 25033 ათას მ³-ს, ხოლო ეკონომიკური პოტენციალი – 248 მლნ აშშ დოლარს. სამშენებლო ქვიშა-ხრემის საბადოებია სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. მარაგები შეადგენს 119162 ათას მ³-ს, ხოლო მარაგების ეკონომიკური პოტენციალი – 952 მლნ აშშ დოლარს. საკირე კირქვის საბადოებია მესტიის, სენაკის, ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში. რეგიონში მოიპოვება სააგურე თიხა, რომლის ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 249.8 მლნ აშშ დოლარს, ასევე თაბაშირის, ან ჰიდრიტის საბადოები, რომელთა მარაგები 12584 ათას ტონას შეადგენს. ბარიტის საბადოები, რომელიც ასევე არსებობს რეგიონში, ამ დროისთვის შეფასებული არ არის. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობიდან ამოღებულია მნიშვნელოვანი რაოდენობით ტორფი, რომელიც საჭიროებს სათანადო დასაწყობებას, შეფასებას და რეალიზაციას (szs.gov.ge).

6. ნიადაგები და მიწის რესურსები – რეგიონის ნიადაგური საფარის გავრცელება ვერტიკალური ზონალობის იერის მატარებელია. ყველაზე დაბალ (სამურზაყანოსა და ჭალადიდის დაბლობები) ადგილებში ტორფიან-ჭაობიანი, ჭაობის ლამიანი და ეწერ-ლებიანი ნიადაგებია გაბატონებული. ჭაობის ტორფიანი ნიადაგები თითქმის აუთვისებელია. ჭაობის ლამიანი და ეწერ-ლებიანი ნიადაგები, ხანგრძლივი მელიორაციის შედეგად, ამჟამად გამოყენებულია სუბტროპიკული კულტურების მოსაყვანად. დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ, უფრო დრენირებულ, პერიფერიულ ნაწილში ყვითელმიწა-ეწერი ნიადაგებია გავრცელებული. მდინარეების (ენგური, ხობი) ჭალისა და დაბალი ტერასების ნაფენებზე საკმაოდ ნოყიერი ალუვიური და ალუვიურ-კორბონატული ნიადაგებია განვითარებული. ნოქალაქევისა და აბედათის მთის ქვედა კალთები (ზღ. დ. 500-700 მ სიმაღლემდე) ყვითელმიწა-ყომრალი ნიადაგებითაა წარმოდ-

გენილი. უფრო მაღლა (1800-2000 მ-ის სიმაღლემდე) ტყის ყომრალი და გაეწერებული ყომრალი ნიადაგები დომინირებს. აქვე, კირქვების ფართო გავრცელების გამო, კარსტულ (ყვირა, გაუჩა, ოხაჩქუე, მიგარია) მასივებზე ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია წარმოდგენილი. მთიანეთებში მთა-მდელოს კორდიანი (ზოგან გატორფებული), კორდიან-კარბონატული და პრიმიტიული ნიადაგებია წარმოდგენილი. ამ ნიადაგებზე განვითარებული სუბალპური და ალპური ბალახეულის საუკეთესო საფარი საზაფხულო საძოვრებსა და სათიბებს წარმოადგენს (ალფენიძე, 2012).

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი შეადგენს 268 ათას ჰა-ს. სოფლის კომლექსის აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთრებაში 1,25 ჰა-ზე ნაკლები სავარგული აქვს. რეგიონის მდებარეობა განაპირობებს როგორც სამელიორაციო, ისე სარწყავი სისტემების საჭიროებას. აბაშის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე მიწების ფართობი შეადგენს 14,6 ათას ჰექტარს, საიდანაც რეაბილიტაციას 14 ათასი ჰა საჭიროებს. 1,9 ჰა მიწაა სარეაბილიტაციო ხობის, ხოლო 4,5 ათასი ჰა მიწა – სენაკის მუნიციპალიტეტში. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ურწყავი მიწების ფართობი 3 ათას ჰა-ს შეადგენს. აუთვისებელი ფართობები სულ შეადგენს 14,8 ათას ჰა-ს – მთლიანი სავარგულების 5,5%-ს. აქედან, დეგრადირებულია 5000 ჰა-ზე მეტი გაველურებული ჩაისა და ტუნგოს ფართობები. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია თხილი, ღვინო, ჩაი, ხურმა, რომლებიც გადის ევროკავშირის, დსთ-ის, აზიისა და ამერიკის ბაზრებზე. ექსპორტი სტაბილურად იზრდება, რაც, ძირითადად, თხილის ექსპორტის ზრდით არის განპირობებული. საექსპორტო პროდუქტს ასევე განეკუთვნება ჩაი „გურიელი“, რომლის დაფასობაც ხდება ქ. ზუგდიდში. ასევე ხორციელდება დაფნის ფოთლისა და ეთერ-ზეთების ექსპორტი (რეგიონის განვითარების სტრატეგია 2013).

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ძლიერ დაქანებული ფერდობები, გამეჩხერებული, თვითაღდგენის ფუნქციონირებად ტყე და ზოგან მთლიანად ტყის საზღვრებს მოკლებული ფერდობები ზრდის იმის რისკს, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად გახშირებულმა ექსტრემალურმა მოვლენებმა, მაგალითად, წყალმოვარდნებმა, შესაძლებელია, ჩამორეცხოს და დახრამოს ფერდობები, ზოგან კი მეწყერის წარმოშობის წინაპირობა შექმნას. შედეგად საფრთხე ექმნება არა მხოლოდ ნიადაგდაცვითი ტყის ეკოსისტემას, არამედ მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს, სავარგულებს და გზებს, რაც რეალობაში უკვე შეინიშნება ზემო სვანეთის ტყეების ბევრ მონაკვეთზე.

7. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები – სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი, რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორცაა კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურული ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება – ლანდშაფტური მოზაიკა და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის.

ტურისტული თვალსაზრისით, უნიკალურ ობიექტს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული

პარკი, რომელიც სამეგრელოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და რომლის სახმელეთო ნაწილის ფართობი 28571 ჰა-ს, ხოლო ზღვის აკვატორია – 1574 ჰა-ს შეადგენს. 1996 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკს რამსარის კონვენციით საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი მიენიჭა (szs.gov.ge).

პარკს კარგი პერსპექტივა აქვს ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მასობრივი მიგრაციის პერიოდში, აქ მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვება შესაძლებელია, პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ფრინველთა სათვალთვალ კომპლექსები, ხოლო ტურისტთა განთავსება შესაძლებელია როგორც ეროვნულ პარკში არსებულ ვიზიტორთა სახლში, ისე ფოთის, გრიგოლეთისა და ანაკლიის სასტუმროებში. ეკოტურიზმის თანმდევი სახეების – სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა-განვითარების კარგ საფუძველს იძლევა ენგურის წყალსაცავი და მდინარის შუა და ზემო წელი, აგრეთვე მარტვილის მღვიმეები და ტობავარჩხილის ტბები. ზემო სვანეთის თვალწარმტაცი ლანდშაფტი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, სულ უფრო მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. ამენდა ჰაწვლის და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტები. ისინი კი, ვინც უპირატესობას საზღვაო კურორტებზე დასვენებას ანიჭებენ, შეუძლიათ ანაკლიასა და განმუხურში დაისვენონ. ახალი ბულვარი და დამხმარე ინფრასტრუქტურა შენდება ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლზე.

მიუხედავად მიმზიდველი ობიექტებისა, ცხრილში მოცემული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რეგიონი ტურისტების მასპინძლობის კუთხით ბევრად ჩამოუვარდება ქვეყნის სხვა რეგიონებს, რაც, პირველ რიგში, ტურისტული ინფრასტრუქტურის დაბალ განვითარებაზე მეტყველებს.

სასტუმროებიდან მიღებული შემოსავალი რეგიონების მიხედვით (ათასი ლარი)

	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო – სულ	244 488	313 792	411 240	544 234	607 836
მათ შორის:					
ქ. თბილისი	1337 565	165 757	207 389	292 429	316 455
აფხაზეთის არ
აჭარის არ	46 760	66 242	97 805	118 436	129 701
გურია	4 411	6 299	6 461	8 649	22 155
იმერეთი	10 063	14 253	16 618	18 683	21 309
კახეთი	11 828	15 548	20 065	24 338	57 937
მცხეთა-მთიანეთი	13 806	15 965	20 594	31 087	36 808
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	656	868	928	1 004	1 385
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 357	5 341	6 560	7 106	8 951
სამცხე-ჯავახეთი	12 039	20 108	30 712	37 278	37 781
ქვემო ქართლი	2 458	3 018	3 527	4 530	4 701
შიდა ქართლი	545	393	581	694	654

კვლევის პერსპექტივები

ნაშრომში განხილული საკითხები და მიღებული დასკვნები დაფუძნებულია არსებულ სიტუაციაზე დღევანდელი გადმოსახედიდან, თუმცა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური მართვისათვის აუცილებელია საფუძვლიანი კვლევების ჩატარება, ძველი მონაცემების განახლება და გაანალიზება, რასაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

დასკვნები

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული, ათვისებული და პოტენციურად ასათვისებელი ბუნებრივი რესურსები დიდ შესაძლებლობას აძლევს რეგიონს, განავითაროს მთელი რიგი ეკონომიკის დარგები, რაც რეგიონის სოციალურ და მატერიალურ წინსვლას განაპირობებს. თუმცა უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი იჩენს თავს, რომელიც, თავის მხრივ, სათანადო დამოკიდებულებას მოითხოვს სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან.

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული მინერალური და თერმული წყლების რეკრეაციული და საკურორტო პოტენციალი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, უმნიშვნელოდ არის გამოყენებული. რეგიონს აქვს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ენერგეტიკული ბაზის დამატებით გასაძლიერებლად. მთიანი ზონის რელიეფის ძლიერი დახრილობისა და ნალექების დიდი რაოდენობის გამო, სამეგრელო-ზემო სვანეთის მდინარეები ჰიდროენერგეტიკის განვითარების დიდ პოტენციალს შეიცავს. ასევე გასათვალისწინებელია არსებული მცირე ჰესების მოდერნიზაციის შესაძლებლობაც, რაც წარმოებული ენერჯის მოცულობის ზრდას უზრუნველყოფს. ამასთან, რეგიონის ჰიდრორესურსების პოტენციალის გამოყენებისას აუცილებელია არსებული გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი საშიშროების რისკის გათვალისწინება.

მზისა და ქარის რესურსები, გარდა იმისა, რომ რეგიონში საკმაოდ ხელსაყრელი პირობებით გვხვდება, განეკუთვნება ადდგენადი რესურსების კატეგორიას. მიუხედავად მსგავსი

პოტენციალისა, არ არის განთავსებული შესაბამისი სადგურები ან მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსგავსი ენერჯის ტრანსფორმაციას. საჭიროა მსგავსი ენერჯის გადასამუშავებელი ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესწავლა და რეგიონის მზაობა.

რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია, რაც ნებისმიერი გეგმის შესაბამისი უწყების მიერ განხორციელებას არაეფექტურს და არაკომპეტენტურს ხდის. რეგიონის ტერიტორიაზე არსებობენ ტყის ფონდის მართვის სპეციალური უფლებისა და ლიცენზიის მქონე სუბიექტები, რომელთაც ევალებათ აღდგენითი ღონისძიებების გატარება, რაც ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას ემსახურება. თუმცა მსგავსი ღონისძიებები დაბალი პასუხისმგებლობის გრძობით ან სულაც არ ტარდება, რაც რესურსის აღდგენას ძლიერ აფერხებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის წიაღისეულის, მისი რესურსული პოტენციალის ეფექტიანი მართვა-გამოყენებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება აქამდე შეუფასებელი მარაგების აღრიცხვა და მათი კომპლექსური შეფასება. ასევე ხშირია მოპოვებითი სამუშაოების განმავლობაში გარემოზე მავნე ზემოქმედების შემ-

თხვევები და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რასაც ხშირად მოყვება მოსახლეობის პროტესტი.

მიწის რესურსების საკითხში რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აუთვისებელი სავარგულები, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და მიტოვებული გაბუჩქებული გაუხეშებულ-დასარეველიანებული ფართობებით. აუთვისებელი და დეგრადირებული სავარგულების ათვისება რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდის მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს. რეგიონის სამრეწველო სექტორში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დეფიციტი წარმოადგენს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე ექსპორტის კუთხითაც.

რეგიონში ტურიზმის სექტორსაც ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია, თუმცა სუსტად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა და კლიენტთა მომსახურების სერვისები. საჭიროა რეგიონის პოპულარიზაცია, კლიენტთა მომსახურების სფეროში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალფენიძე მელიორ, სეფერთელაძე ზურაბ, დავითაია ეთერ, ხარაძე კობა, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“, თბ., 2012.
2. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013.
3. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია – (szs.gov.ge);
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – (geostat.ge);
5. wikipedia.org;

საქართველოს სამკურნალო მცენარეების გეობრაფიული თავისებურებანი და ეკონომიკური მნიშვნელობა

მირანდა გურგენიძე,

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
mirandagurgnidze5@gmail.com*

ანოტაცია

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ თანახმად, სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა მსოფლიო მედიცინის ფართოდ გამოყენებადი დარგია. სინთეზური ფარმაცოლოგიის განვითარების ფონზე ხალხურმა მედიცინამ გარკვეულწილად უკანა პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ ბოლო რამდენიმე ათწლეულში სამკურნალო მცენარეებისადმი ინტერესი უფრო და უფრო იზრდება (WHO, 2008).

სათანადოდ მოხმარების პირობების შემთხვევაში სამკურნალო მცენარეები ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეების რესურსის რაციონალურად გამოყენება, რაშიც ამ მცენარეების თვისებების შესწავლა, აღწერა, მათი მოყვანის თავისებურების გათვალისწინება და სწორად მოხმარება იგულისხმება.

ადამიანის ჯანმრთელობაზე მცენარეების გავლენის შესახებ უძველესი წყაროებიდან არის ცნობილი. მედიცინისა და ფარმაციის განვითარებამდე ადამიანები მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წამლებით სარგებლობდნენ. სამკურნალო მცენარეებს და მათგან მიღებული ფიტოპრეპარატებს გააჩნიათ ის არსებითი უპირატესობა, რომ ადამიანი იღებს მონათესავე ნივთიერებათა კომპლექსს, ადვილად შეითვისება ორგანიზმის მიერ, იშვიათად იწვევს გვერდით ალერგიულ მოვლენებს და არ გააჩნია აკუმულაციის თვისება (მ. შენგელია, 1979). დღეისათვის არსებული სამკურნალო პრეპარატების დაახლოებით 30% მცენარეული ნედლეულისგან მზადდება. ნედლეულის წყაროდ გამოიყენება როგორც ველურად მოზარდი, ასევე კულტივირებული მცენარეები, ამან გამოიწვია ზოგიერთ რაიონში სასარგებლო მცენარეების რესურსის ამოწურვა. სამკურნალო მცენარეები წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის თითქმის ნახევარს. ქართულ ხალხურ მედიცინას უდიდესი დროიდან ეყრება საფუძველი და ქართველ ერს ხალხური მედიცინის უდიდესი თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები გააჩნია (ჯავახიშვილი, 1934). ჩვენს ქვეყანაში ხალხური მედიცინის მიმართულება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე იყო განვითარებული. დღეს საქართველო მრავალფეროვან სამედიცინო მცენარეებს იყენებს.

ამგვარად, საქართველოს მრავალფეროვანი სამკურნალო მცენარეების შესახებ ცოდნის გაღრმავება ხელს შეუწყობს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების ბაზის გაფართოებას და შესაბამისი დარგების განვითარება-პოპულარიზაციას, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობისთვის ეკონომიკური სარგებელის მომტანია.

სტატიაში განხილულია საქართველოში მცენარეებით მკურნალობის ისტორია, წარსული დროის გამოცდილება და თანამედროვე გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარეები, საქართველო, ჯანმრთელობა, ხალხური მედიცინა.

ECONOMIC SIGNIFICANCE AND GEOGRAPHICAL FEATURES OF MEDICINAL PLANTS IN GEORGIA

Miranda Gurgenidze

PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State university

Tbilisi, Georgia

mirandagurgnidze5@gmail.com

Annotation

According to the World Health Organization, medicinal plants are the most widely used medical system globally. This knowledge has almost been lost in many developed countries, but interest in medicinal plants has increased in the last few decades (WHO, 2008).

When appropriately used, medicinal plants are an essential part of a healthy life. Thus, it is vital to use the medicinal plant resource rationally, which is possible by knowing these plants' properties, their description, and their use conditions. Ancient sources have reported on the impact of plants on human health. Before the development of medicine and pharmacy, humans only used herbal and animal medicines. Medicinal herbs and Phyto preparations have the essential advantage that a person acquires a complex of related substances, easily absorbed by the body, rarely causes allergic side effects, and has no accumulation ability. At present, about 30% of existing medicines are made from herbal raw materials. As a source of raw materials used both of wild and cultivated plants, this has led to the depletion of valuable plant resources in some areas. Medicinal plants constitute almost half of the raw materials needed for the pharmaceutical industry in our country.

Consequently, deepening the knowledge of various medicinal plants of Georgia will help expand the base of natural medicinal products and develop relevant fields, which will benefit the population.

Keywords: Medicinal plants, Georgia, health, folk medicine.

შესავალი

გასულ საუკუნეების ხალხურ მედიცინაში მცენარეების შემადგენლობა შესწავლილი არ იყო, მოგვიანებით, ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზების, კლინიკური ცდებისა და ბიოსამედიცინო შესწავლის შედეგად, მცენარეების შემადგენელი ელემენტები ცნობილი გახდა და მკურნალობაში დამკვიდრდა; განისაზღვრა მათი გამოყენების ვადები, სიხშირე და ეს მაჩვენებლები თანამედროვე ფიტოთერაპიად ჩამოყალიბდა.

აღნიშნულმა ფაქტმა ხელი შეუწყო სამკურნალო მცენარეების პოპულარიზაციას და მათი მოხმარების გაზრდას. ქვემოთ საუბარია ამ დარგის, როგორც ეკონომიკური სარგებლის მომტანი წყაროს შესახებ და განხილულია ამ პროცესთან დაკავშირებული საფრთხეები.

შემთხვევითობის პრინციპით გამოკითხული იქნა სხვადასხვა ასაკის მოსახლეობა, რათა ზოგადი სურათი მიგვეღო სამკურნალო მცენარეების გამოყენების მხრივ და დამუშავდა შესაბამისი ლიტერატურა. საქართველოში სამკურნალო მცენარეები ყველა რეგიონში მოიპოვება და ისინი ძირითადად ორმოცდაათ წელს გადაცილებული მოსახლეობის მიერ არის აქტიურად გამოყენებადი. ეს განპირობებულია წინაპართა მიერ დატოვებული მემკვიდრეობით და გარკვეული რეცეპტებით, თუმცა ახალგაზრდა მოსახლეობის ნაწილი არ ამბობს უარს ამ ტრადიციაზე და თვლის, რომ სახალხო მედიცინა საკმაოდ ეფექტურია, განსაკუთ-

რებით, როდესაც ხდება მისი პრევენციის მიზნით გამოყენება. სამკურნალო მცენარეების შესწავლა-მოყვანის, ამ დარგის ეკონომიკურ საქმიანობაში ინტეგრაციის თავისებურებების და ხალხური მედიცინის შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხები საქართველოში სამედიცინო გეოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

1. საქართველოში სამკურნალო მცენარეების ისტორიული გამოყენების მოკლე მიმოხილვა

ცნობები საქართველოში სამკურნალო მცენარეთა არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ უძველეს დროს მიეკუთვნება.

ანტიკური ხანის ქართულმა მედიცინამ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ სიტყვა მედიცინა დაკავშირებულია კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის ქალიშვილის, მედეას სახელთან, რომელიც თავისი ეპოქის სახელგანთქმულ მკურნალად ითვლება. მედეას სამკურნალო მცენარეები ცნობილი იყო ანტიკური სამყაროსთვის. ზოგიერთი მათგანი: დაფნა, შინდი და სხვა დღესაც გამოიყენება ქართულ ხალხურ მედიცინაში.

ინფორმაციას საქართველოში სამკურნალო მცენარეების აქტიურ გამოყენებაზე ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოღვაწე აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობზე გაშენებული იყო „ჰეკატეს ბაღი“, სადაც ორმოცზე მეტი სამკურ-

ნალო მცენარე მოჰყავდათ, მაგალითად, იქ გაშენებული ყოფილა ცერცველა, ვენერას თმა (გვიმრა), ძალყურძენა, პაპირუსი, ყოჩივარდა, ლავანდი, პიტნა, ზაფრანა, ყაყაჩო, კატაბალახა და სხვა. უძველესი სამკურნალო მცენარეები, რომლებიც დღესაც ფართოდ გამოიყენება მედიცინაში არის: ასკილი, დიდგულა, ვირის-ტერფა, მრავალძარღვა, ქრისტესისხლა, ანწლი, აჭარის ყოჩივარდა, ბარამბო, და მრავალი სხვა (წუწუნავა ნ., 1959)

როგორც მედიცინის ისტორიის ქართველი მკვლევრები აღნიშავენ, საქართველოში სამკურნალო საქმიანობისა და წამალთმკეთებლობის შესახებ ცნობები ანტიკური ხანის თითქმის ყველა უცხოელ მწერალს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს აქვს. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ მთელი რიგი ძვირფასი სამკურნალო მცენარეების შეგროვების, დამზადებისა და მოხმარების გარკვეული წესები, რომლებიც საქართველოში იცოდნენ, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდ ინტერესს იწვევდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა საჭირო მცენარეების შეგროვებისა და წამლების მომზადების შესახებ, როგორც ეს ბერძენ და რომაელ ავტორებს აქვთ. თუ ასე დეტალურად იძლევიან ცნობებს, ალბათ, იმისთვის, რომ უცნობი სამკურნალო მცენარეები გაეცნოთ თავიანთი ქვეყნებისთვის (სააკაშვილი, გელაშვილი, 1956).

ასეთივე ტრადიცია გაგრძელდა შემდეგაც, რასაც მოწმობს ბიზანტიელ ავტორთა და საქართველოში სხდასხვა დროს ნამყოფ მოგზაურთა, მისიონერთა და მეცნიერთა ცნობები, რომელთა შორის აღსანიშნავია: გიულდენშტედტი, ლამბერტი, შარდენი, სპენსერი და ა.შ. (მინდაძე ნ., 2002).

საქართველოს სამკურნალო მცენარეების აღწერა და გავრცელება მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“-ში. ასევე, შუა საუკუნეებში საქართველოში შეიქმნა მნიშვნელოვანი სამედიცინო წიგნები. მათ შორის, ზაზა ფანასკერტელ-ცი-

ციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XV ს.) და დავით ბაგრატიონის „იადიგარდაუდი“ (XVI ს.). მათში მოცემულია ცნობები მრავალი ველური და კულტურული მცენარის სამკურნალო მნიშვნელობასა და გამოყენების შესახებ.

ხალხური მედიცინა ის უწყვეტი და უმდიდრესი წყაროა, საიდანაც მეცნიერულმა მედიცინამ მიიღო მრავალი დაავადების სამკურნალო საშუალება. ხალხური მედიცინის გამოცდილებით დადგენილი იქნა მცენარეების: აზინდას, ბერულას, ჟოლოს, ცაცხვის ყვავილის, ლენცოფას, შმაგას, ტყის ჩიტისთვალას და სხვა მრავალი ბალახის ეფექტური სამკურნალო თვისებები (ზ. შენგელია, 1952).

2. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი მრავალფეროვნება

სამკურნალო მცენარეები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ხალხურ მედიცინაში (ეთნომედიცინა) და თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეები. მათ შორის მკვეთრი საზღვრის გავლება არ შეიძლება, რადგან მათი სამკურნალო თვისებები ხშირად ერთნაირია. თვით თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული მცენარეებიც შეიძლება დაიყოს ორ ქვეჯგუფად: სამეცნიერო სამედიცინო და პრაქტიკული დანიშნულების მცენარეებად. პირველს მიეკუთვნებიან ის მცენარეები, რომლებიც შედიან სახელმწიფო ფარმაცოპეაში და, შესაბამისად, მათი სამედიცინო წარმოებაში გამოყენება ნებადართულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ. მეორე ჯგუფში შედის ის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც თანამედროვე მედიცინისათვის ცნობილია როგორც სამკურნალწამლო მცენარეები, მაგრამ ისინი შეტანილი არ არიან ფარმაცოპეაში. ეს ის მცენარეებია, რომელთაც ფართო გამოყენება ჰქონდათ ხალხურ მედიცინაში (შ. შეთევასური, 2011).

თანამედროვე ხალხურ მედიცინაში სამკურნალო მიზნით 400-ზე მეტი სახეობის მცე-

ნარეა გამოყენებული. მრავალი მათგანი ოფიციალურ ფარმაცოპეაშია შესული. დედამიწაზე ფართოდ გავრცელებულ მცენარეებს შორის სამკურნალოდ საქართველოს ფლორის ბევრი იშვიათი და ენდემური მცენარეა გამოყენებული. ამასთან, ერთი და იგივე მცენარე ხშირად მრავალმხრივად შეიძლება იყოს გამოყენებული. ზოგიერთი (მაგ., ლემა, შხამა, დიცი, ძაღლყურძენა და სხვ.) ერთდროულად არის როგორც სამკურნალო, ისე შხამიანი მცენარე. ამას განაპირობებს მცენარეში სხვადასხვა ნივთიერების როგორც შემადგენლობა, ისე მათი გამოყენების დოზები. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ნაირგვარობა და კონტრასტულობა, განსხვავებული ფიტოლანდშაფტური მდებარეობა მცენარეული სამყაროს განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას განაპირობებს. საქართველოს ფლორა მოიცავს უმაღლეს მცენარეთა 4 ათასზე მეტ სახეობას, რომელთა შორის 700-მდე გამოიყენება სახალხო მედიცინაში, 200-მდე კი მეცნიერულ მედიცინაში (შ. შეთეკაური, 2011).

მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებით ხდება კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების, ნერვული სისტემის დაავადებების, სასუნთქი გზების დაავადებების და სხვა ფართოდ გავრცელებული ავადმყოფობების მკურნალობა.

მცენარეული სამკურნალო ნივთიერებებიდან ფიტოთერაპიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარმაცოლოგიურდ ისეთი აქტიური ნივთიერებები, როგორცაა ნახშირწყლები (მონო – და პოლისაქარიდები), გლიკოზიდები (სპონინები, გულის აქტიური გლიკოზიდები და სხვ.), ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთი, ვიტამინები და ცილოვანი ნაერთები (გლობულინები, პროტეინები, ნუკლეოპროტეინები), ალკალოიდები, ტანინები, ფლავონები, ფერმენტები და სხვ. (შ. ხიდაშელი, 1985)

მცენარეთა შედგენილობაში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში იწვევენ თერაპი-

ულ ეფექტს ამა თუ იმ ორგანოზე ზემოქმედებისას, არის ფიტონციდები. ფიტონციდები ზრდიან ჰაერის იონიზაციის ხარისხს და უვნებელს ხდიან სამრეწველო წარმოშობის ტოქსინებს ჰაერსა და ნიადაგში. ფიტონციდების ქიმიური ბუნება რთული და ნაკლებად შესწავლილია. დადგენილია, რომ ის წარმოადგენს მრავალ ნივთიერებათა ნარევს, რომელთა შორის იდენტიფიცირებულია ეთეროვანი ზეთები, ალდეჰიდები, ციანწყავა და სხვა. ფიტონციდი არის მცენარეთა მიერ პროდუცირებული ნივთიერებები, რომლებსაც გააჩნიათ ბაქტერიოციდული და პროტისტოციდული მოქმედების უნარი მიკროსკოპული სოკოებისა და აქტინომიცეტების მიმართ. ფიტონციდების ბიოლოგიური აქტივობა განპირობებულია არა რომელიმე ერთი, არამედ ნივთიერებათა ერთობლიობით. არჩვენ ფიტონციდების აქროლად ფრაქციას და ქსოვილური წვენი ფიტონციდურ თვისებებს (ნ. ლომთათიძე, 2012).

აღსანიშნავია, რომ ფიტონციდები მცენარეთა იმუნიტეტის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მათ მცირე დოზითაც კი შესწევთ უნარი, შეაჩერონ ერთი სახეობის მიკროორგანიზმთა ზრდა-გამრავლება და ასტიმულირონ მეორე სახეობის ზრდა. ამასთანავე, შეუძლიათ არეგულირონ ჰაერის, ნიადაგისა და წყლის მიკროფლორა. ნებისმიერი მცენარე, დაწყებული ბაქტერიებიდან, ყვავილოვნების ჩათვლით, აპროდუცირებს ფიტონციდებს, რომლებიც ხასიათდებიან მრავალფეროვანი ქიმიური ბუნებით.

მცენარეთა მიერ აქროლადი ნივთიერებების გამოყოფა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კერძოდ, სისტემატიკურ თავისებურებებზე, ასაკზე, ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, ეკოლოგო-ბიოლოგიურ თავისებურებებზე, განვითარების პირობებზე. ფიტონციდების მეშვეობით მცენარეები გარკვეულწილად ამცირებს ჰაერში დაავადებების წარმომქმნელი მიკრობების რაოდენობას. ისინი მოქმედებენ არამარტო დაავადებების წარმომქმნელ მიკროფ-

ლორაზე, არამედ, სახელდობრ, ადამიანზეც. მაგალითად, დახურულ სივრცეში განთავსებული პიტნის ტოტები 10-ჯერ ამცირებენ ჰაერში მიკრობების რაოდენობას. მირტის მცენარე იცავს ადამიანს ანგინისა და შემოდგომა-ზამთრის სხვა ვირუსული ინფექციებისაგან. სამკურნალო როზმარინი დახმარებას უწევს ზემო სასუნთქი გზებისა და ბრონქული ასთმით დაავადებულებს და ა.შ. (ნ. ლომთათიძე, 2012).

საქართველოში სამკურნალო მცენარეების გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ისტორია არსებობს. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ბევრი მცენარე კვლავ შეუსწავლელია. მიუხედავად ამისა, სამკურნალო მცენარეებზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება, ისინი ვერ შეცვალა სინთეზური გზით მიღებულმა ქიმიურმა პრეპარატებმა, პირიქით, მათი უპირატესობა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გამოიკვეთა იმის გამო, რომ მცენარეში ფოტოსინთეზის შედეგად მიღებული ნივთიერებები წარმოიქმნება ცოცხალ უჯრედში, რომელსაც ძალზედ დიდი საერთო გააჩნია ცხოველურ უჯრედთან (საერთო სტრუქტურა, მსგავსი ბიოქიმიური პროცესები და სხვა). ცხოველური უჯრედი იკვებება მცენარის მიერ წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებებით, ყოველივე აქედან გამომდინარე ადამიანის ორგანიზმისათვის სამკურნალო მცენარეების მიღება ადვილი და ეფექტურია, ისინი არ არიან ტოქსიკური, არ იწვევენ შემდგომ უარყოფით მოვლენას ორგანიზმში (მ.კვერნაძე, 2014). დღეისათვის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეთა დამზადების ხარჯზე, აქედან გამომდინარე, ველურად მოზარდი სამკურნალო ფლორის არაგეგმიური დამზადება საშიშროებას უქმნის მათ გადაშენებას და გაქრობას, რაც ეკოლოგიურ პრობლემებში აისახება. საქართველოში მცენარეებით მკურნალობა კულტურის ნაწილია და მათი მოყვანაც და გამრავლებაც გაუკონტროლებელია, შესაბამისად, ამ კუთხით კვლევების და შესაბამისი ღონისძიებების გაფართოება ხელს შეუწყობს ამ მცენარეების

რაციონალურ გამოყენებას და მათი მრავალფეროვნების შენარჩუნებას. რასაკვირველია, მცენარეების სამკურნალო ეფექტი არ გამოვლინდება მხოლოდ ფიტონციდების მოქმედებით, მცენარეები შეიცავს სამკურნალო დანიშნულების, თითქმის ყველა ქიმიურ ნივთიერებას, რომელთაგან აღსანიშნავია ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ალკალოიდები, ორგანული მჟავები, საპონინები და ა.შ. მცენარეებში ვხვდებით მრავალი სახის ვიტამინს, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმში ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ისინი პირველხარისხოვან როლს ასრულებენ ნივთიერებათა ცვლაში, ნერვული, გულსისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემებისა და სისხლწარმოქმნელი ორგანოების ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებაში. ვიტამინის უკმარისობა ასუსტებს ორგანიზმს და ავითარებს დამახასიათებელ დაავადებებს ჰიპო და ავიტამინოზებს, რომლის დროსაც ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და ორგანიზმის ფუნქციათა უმეტესობა. მცენარეული წარმოშობის პროდუქტები შეიცავენ ადამიანისათვის აუცილებელი ვიტამინების უმეტესობას. ადამიანისათვის ბევრი მცენარეული პროდუქტი ორგანიზმის სიცოცხლისათვის აუცილებელი ვიტამინებით დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა. ზოგიერთი მცენარე ისეთი მდიდარია ამა თუ იმ ვიტამინით, რომ შეუძლიათ არა მარტო ჰიპო და ავიტამინოზის მკურნალობის საშუალებად გამოდგნენ, არამედ სხვა დაავადებათა სამკურნალოდაც, რომელთა დროსაც საჭიროა გარკვეული ვიტამინური ნივთიერებების დიდი რაოდენობით გამოყენება (ნ. ლომთათიძე, 2012).

აქედან გამომდინარე, მცენარეების როლი მედიცინაში არსებითია და მისი ეფექტურობა დამოკიდებულია სამკურნალო მცენარეების სწორად მიმართულ ექსპლუატაციასა და მათი კონსერვაცია-აღდგენისთვის საჭირო პირობების შექმნაზე, რასაც, თავის მხრივ, გეოგრაფიული არეალების სპეციფიკა და ბუნებრივი ხასი-

ათი განაპირობებს. საქართველოს ყველა რეგიონში ვხვდებით გარკვეული სახის სამკურნალო მცენარეებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ანთროპოგენული და ბუნებრივი ფაქტორების გამო ამ მცენარეების შენარჩუნება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, სამკურნალო მცენარეების ნაკლები პოპულარიზაცია ხელს უწყობს ამა თუ იმ მცენარის ველურ პირობებში არსებობას.

3. სამკურნალო მცენარეების გავრცელების ზოგიერთი გეოგრაფიული თავისებურება

სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ტყის ლანდშაფტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტყეში არსებული ბალახოვანი მცენარეები გამოიყენება არა მხოლოდ სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად, არამედ კულინარიაში, კოსმეტოლოგიაში და სხვ. ტყეში არსებული მსგავსი რესურსების ერთობლიობას ტყის არამერქნული პროდუქტი ეწოდება. ტყის არამერქნული პროდუქტი არის „ტყეში არსებული ყველა ბიოლოგიური წარმოშობის პროდუქტი, გარდა მერქნისა, რომელიც მოიპოვება ტყეში, ტყის ფონდის მიწებზე და ტყის გარეთ არსებულ ხეებზე“ (FAO, 1999).

არამერქნული ტყის პროდუქტებს განეკუთვნება ყველა სახის სამკურნალო სამედიცინო და საკვები მცენარეები, როგორცაა: კოწახური, თხილი, შინდი, კუნელი, კომში, ლედვი, კაკალი, წყავი, მაჟალო, ზღმარტლი, თუთა, ტყემალი, კვრინჩხი, ბროწეული, პანტა, ნუში, ასკილი, ჟოლო, მოცხარი, უნაბი, მოცვი, მაყვალი, პანტა, ჯონჯოლი, ბამბუკი, სატაცური, დეკა, პანტა, სოკო, ასევე, არამერქნული ტყის პროდუქტებში შედის ფიჩხი, ქერქი, ნეშომპალა, გირჩი, ტყისმიწა, ტორფი და სხვა.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობა დიდწილად დამოკიდებულია ველურად მზარდი მცენარეული პროდუქტების მრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით, სამკურნალო მცენარეებზე, რომელიც, ძირითადად, ფარმაცევტულ და არომათერაპიის სექტორებში გამოიყენება.

სახალხო მედიცინაში მნიშვნელოვანია მდელოს მცენარეულობის როლი, ალპებში ვხვდებით არაერთ უნიკალურ სახეობას, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენება: დეკა, ნაღველა, ალპური თეთრყვავილა (მიიჩნევა კავკასიის ეკორეგიონის ენდემად) და სხვ.

მცენარეებით ვაჭრობა წარმოადგენს შემოსავლის წყაროს მილიონობით ფერმერისთვის მთელ მსოფლიოში, ამასთან, სამკურნალო მცენარეების წარმოებაში ხშირად, მთავარი როლი ქალებს უკავიათ.

ამგვარად, არამერქნული ტყის პროდუქტების ჩამონათვალში სამკურნალო მცენარეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და სერიოზული საექსპორტო პოტენციალი აქვს.

ფარმაცევტული და ფიტოფარმაცევტული კომპანიები სამკურნალო მცენარეებს ექსტრაქტების, ფარმაკოლოგიური ნივთიერებების, დანამატების, მცენარეული ნაყენის დასამზადებლად იყენებენ.

4. სამკურნალო მცენარეების დაჯგუფება მათი ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მიხედვით

სამკურნალო მცენარეების სასარგებლო თვისებები განპირობებულია მათში სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების არსებობით. ეს ნივთიერებები წარმოიქმნება და გროვდება სამკურნალო მცენარეების სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოში, გარკვეულ სავგეტაციო პერიოდში. ამასთან დაკავშირებით დადგენილია სამკურნალო მცენარეების შეგროვების ვადები, როდესაც მათში დაგროვილი სასარგებლო ნივთიერებების ფარმაკოთერაპიული აქტივობა მაქსიმუმს აღწევს.

შეგროვებულ სამკურნალო მცენარეებს აშრობენ, იშვიათად იყენებენ ნედლსაც (მაგ., შროშანა, გვიმრა). აშრობენ უმეტესად დახურულ, კარგად განიავებულ სათავსებში, ზოგს (მაგ., კატაბალახას ფესვები, ღვიის ნაყოფი) – მზეზე, აგრეთვე ღუმლებში (განსაკუთრებით ნაყოფს). გამომშრალი სამკურნალო მცენარეების შენახვისას ანგარიში უნდა გაეწიოს ჰაერის ტემპერატურ-

რას, სინესტესა და სამკურნალწამლო ნედლეულის მანუფაქტურებს (ქუთათელაძე ი., 1945).

შესაბამისად, გარკვეული მცენარეები კონკრეტული ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში გამოიყენება, რის მიხედვითაც შეგვიძლია მოვხდინოთ სამკურნალო მცენარეების კლასიფიკაცია.

- ✓ ნერვული სისტემის დაავადებების სამკურნალო – კატაბალახა, ჟენშენი, ლიმონურა, მანჯურიული, არალია, დეზურა, ფითრი, წვავი;
- ✓ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო – კუნელი, თრიმლი, ზღვის კომბოსტო, შროშანა, ოლეანდრე, ფუტკარა, ევკომია, ჩაის ბუჩქი, ფითრი და სხვა;
- ✓ სპაზმოლიზური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები – ძირთეთრა, ურცი, შმაგა (ბელადონა), ხაშხაში, პიტნა, სტაფილო, ტილჭირი, სკოპოლია;
- ✓ სასუნთქი ორგანოების დაავადების სამკურნალო – სამკურნალო ტუხტი, იპეკო, ვირისტერფა, თერმოფსისი, ურცი;
- ✓ კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალო – ალოე, საბრი, ტუხტი, გულყვითელა, მრავალძარღვა, კოთხუჯი, აბუსალათინი, კოწახური;
- ✓ ღვიძლის, სანაღვლე გზების, საშარდე ორგანოების დაავადების სამკურნალო – კოწახური, მოცვი, სიმინდი (ფოჩი), თირკმლის ჩაი;
- ✓ სისხლდენის შემამჩერებელი საშუალებები – კოწახური, ჭინჭარი, ჭვავის რქა, მრავალძარღვა, ცხენისწაბლა, სოფორას სახეობები;
- ✓ გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალო – ქაცვი, ხახვი;
- ✓ კანის დაავადებებისა – ალოე (საბრი), კრაზანა, ძირთეთრა.
- ✓ და სხვ.

5. სამკურნალო მცენარეების გამოყენების ეკონომიკური ასპექტები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 80% ტრადიციულ მედიცინას (მცენარე-

ული სამკურნალო პრეპარატები) მიმართავს. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, გერმანიაში ტრადიციულ პრეპარატებს იყენებს მოსახლეობის 40-50%, აშშ-ში – 42%, საფრანგეთში – 49%, ავსტრალიაში კი – 48% (FAO, 2017).

სამკურნალო და ეთერზეთოვანი მცენარეების მიმართ ინტერესის ზრდა განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ახალ შესაძლებლობებს აძლევს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სამკურნალო მცენარეების იმპორტში ევროკავშირში 95% უკავია „მცენარეებს და მცენარეთა ნაწილებს, თესლებს და ხილს, რომელიც პარფიუმერიაში, მედიკამენტებში, ინსექტიციდური, ფუნგიციდური ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის, ახალი ან გამშრალი, დაჭრილი და დაუჭრელი, დაქუცმაცებული ან ფხვნილის სახით გამოიყენება“, დანარჩენი 5% კი – ძირტკბილას და ჯანჯაფილის ფესვებს.

სამკურნალო და ეთერზეთოვანი მცენარეებით ვაჭრობაში აშშ-სა და გერმანიის ბაზრები უმსხვილესია როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის კუთხით. 1992-2003 წლებში აშშ-მ 1,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სამკურნალო მცენარეების იმპორტი და 1,05 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განახორციელა. რაც შეეხება გერმანიას, ამავე პერიოდში ამ ქვეყანამ 1,04 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტის იმპორტი განახორციელა. სამკურნალო მცენარეების ვაჭრობის კუთხით, გერმანია უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის, ვინაიდან სამკურნალო მცენარეების 2/3 ამ ქვეყნებიდან ექსპორტზე სწორედ გერმანიაში გადის (ევროსტატი, 2017).

სამკურნალო მცენარეების ექსპორტს საქართველოც ახორციელებს, კონკრეტულად, გერმანიაში. სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ქალთა კოოპერატივები მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებში აგროვებენ სხვადასხვა მცენარეს, მათ შორისაა: კრაზანა, ფარსმანდუკი, ფურისულა სამკურნა-

ლო, შავი კუნელის ფოთლები, ბაბუაწვერა, დიდგულა, ტყის მაჟალო, ასკილი და სხვ.

როგორც ვხედავთ, სამკურნალო მცენარეების პოპულარიზაცია მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ჯანმრთელობის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა, მეორე მხრივ, იგი მოიცავს რისკებს სამკურნალო მცენარეების შემცირებას ან უარეს შემთხვევაში, მათ გადაშენებასთან დაკავშირებით.

6. სამკურნალო მცენარეების რაციონალური გამოყენება

მცენარის შეგროვება ბუნებაში საფრთხის შემცველი და დაუშვებელია. ამის მტკიცების საშუალებას მრავალი ფაქტორი გვაძლევს: ჰაბიტატის დესტრუქცია, კომერციული მიზნებისთვის მათი გამოყენება, გადამეტებული მოვება აღკვეთილ ტერიტორიებზე, გზებისა და მილსადენების მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა, ურბანიზაცია და სხვ. (ახალკაცი და სხვ. 2008).

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტრადიციულ ხალხურ მედიცინაში დაახლოებით 250 მცენარის სახეობა გამოიყენება. თუმცა, მათი ეს ქმედება საფრთხეს არ უქმნის ბუნებრივ ჰაბიტატებს. საფრთხის შემცველია მათი ინდუსტრიული მიზნებისთვის გამოყენება, რადგან შეიძლება ამ ფაქტმა სახეობის გაქრობა გამოიწვიოს. ბევრ მათგანს პერიოდულად აგროვებენ, როცა კომპანიებს მათზე მოთხოვნა აქვთ. მათ შორის არიან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები. დიდი საფრთხის შემცველია, როცა მცენარის ფესვია სარგებლიანი. ეს ფაქტი ზრდის მის, როგორც ინდივიდის გაქრობის შანსებს (თ. ბერიშვილი, 2012).

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ალტერნატიული გზა არის სამკურნალო მცენარეთა ნაკვეთზე და სათბურში წარმოება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სამკურნალო მცენარეების შეგროვება ინდუსტრიული გამოყენებისთვის ბუნებაში დაუშვებელია, ვინაიდან მათ პოპულაციებს ამით გაქრობის რეალური საფრთხე ექმნებათ. ამიტომ, ისინი საჭიროებენ დაცვას.

სამკურნალო მცენარეების მდგრადი მოხმარებისთვის საჭიროა არაერთი ეტაპის გავლა, მაგალითად, მნიშვნელოვანია:

1. სამკურნალო მცენარეთა ნუსხის შედგენა, რომელთაც რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს;

2. სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება;

3. ვირტუალური რუკების მომზადება, რომლითაც დავადგენთ თითოეული მცენარის ადგილმდებარეობას;

4. გარკვეული სახეობების ნაკვეთებში მოყვანის შესაძლებლობა და სამკურნალო მცენარეების კულტივირება და გამრავლება;

5. ნაკვეთებში მოყვანისა და გამოყენების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

სამკურნალო მცენარეების 8 სახეობა საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი. (ახალკაცი და სხვ. 2008). ყველა ისინი ძვირფასი სამკურნალო მცენარეები არიან, რომლებსაც ბუნებაში ფართო მასშტაბით მოიპოვებენ ბაზარზე რეალიზაციისთვის.

აღსანიშნავია, რომ არსებობს კანონი სამკურნალო მცენარეების შესახებ, რომელშიც ნათლადაა აღწერილი ის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სამკურნალო მცენარეები, რათა ქვეყანაში ჯანსაღი პროდუქციის რიცხვი გაიზარდოს. ასევე აქ ჩაწერილია, რა უნდა გაკეთდეს მათ დასაცავად. სასურველია, სკოლებში შემოვიდეს სამკურნალო მცენარეების შესწავლის მეთოდი რეგიონების მიხედვით. ეს ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას, გაერკვნენ, თუ რომელი მცენარის გამოყენება შეუძლია, რომელია დასაცავი, რომელს შეუწყოს ხელი გამრავლებაში და ა.შ.

დასკვნები

სამკურნალო მცენარეები აქტიურად გამოიყენება მოსახლეობის მიერ, რაც განპირობებულია ზემოთაღნიშნული თვისებებითა და ეფექტიანობით, საქართველოში არსებობს მრავალი

სამკურნალო მცენარე, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად, ფარსმანდუკი, დიდგულა, კუნელი, მატიტელა, ფურისულა და სხვ. ამასთან, სამკურნალო მცენარეების ნუსხა შედგება არა მხოლოდ ველურად გაზრდილი მცენარეებისგან, არამედ, კულტივირებული სახეობისგანაც, როგორებიცაა: ლიმონი, შინდი, ჩაი, თხილი, თუთა და ა.შ.

საქართველოში სამკურნალო მცენარეების სრული პოტენციალის გამოყენება არ ხდება, მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თავს იკავებს ტრადიციული მედიცინის გამოყენებისგან, რაც დაკავშირებულია გარკვეული ინფორმაციების არქონასთან: დოზირება, მიღების წესი და სხვ. შესაბამისად, ამ დარგის პოპულარიზება გამოიწვევს მოსახლეობის ინტერესის გაზრდას და სამკურნალო მცენარეების ინტენსიურ გამოყენებას, ამ შემთხვევაში კი, მნიშვნელოვანია

მდგრადი გამოყენების პრინციპების შემუშავება და მათი დანერგვა.

სამკურნალო მცენარეების გამოყენების გეოგრაფიული თავისებურებები და სამომავლო პერსპექტივები პირდაპირ კავშირშია სამედიცინო გეოგრაფიასთან. მცენარეების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე სამედიცინო გეოგრაფიის ერთ-ერთი შესწავლის საგანია, რაც აღნიშნული საკითხის კომპლექსურად შესწავლის წინაპირობაა. მნიშვნელოვანია სამკურნალო მცენარეების კატეგორიზაცია და მათი გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებების დადგენა. მცენარეების შემადგენლობის ანალიზი და მათი ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის მახასიათებლების შესწავლა ხელს შეუწყობს ფარმაცოლოგიურ წარმოებებში ჩართულობის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალკაცი, მ., მოსულიშვილი, მ., ქიმერიძე, მ., მაისაია, ი., სამცხე-ჯავახეთის იშვიათი სამკურნალო მცენარეების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება, 2008.
2. კარაბადინი – ხალხური სამკურნალო რეცეპტები, 2017.
3. კუჭუხიძე ჯ., ჯოხაძე მ., ბოტანიკა (სამკურნალო მცენარეები), 2012.
4. ქუთათელაძე ი., სამკურნალო და ზოგიერთ ტექნიკურ მცენარეთა რესურსები საქართველოში, 1945.
5. შეთეკაური შ., „ბიომრავალფეროვნება“, 2013.
6. წუწუნავა ნ., „საქართველოს სამკურნალო მცენარეები, 1966.
7. ხიდაშელი შ., პაპუნძიძე ვ., საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები, 1980.
8. <ftp://ftp.fao.org/docrep/fao/008/af285e/af285e00.pdf>

ევროპის ლანდშაფტური კონვენცია და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა ქართულ კანონმდებლობაში

ირინე ჯავახიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი
irine.javakhishvili889@ens.tsu.edu.ge*

ანოტაცია

თანამედროვე სამყაროში მდგრადი განვითარების მიღწევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ მიზნის შესრულება ლანდშაფტების დაცვისა და მართვის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება ამ საკითხების განხილვა, რაც ევროპის ლანდშაფტური კონვენციის შემუშავებამ კიდევ უფრო აქტუალური და მრავალმნიშვნელოვანი გახადა. ევროპის რიგ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს კონვენციის მიზნების განხორციელების პროცესი, ვინაიდან აღიარებულია, რომ ლანდშაფტების დაგეგმარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა მდგრადი განვითარების მისაღწევად.

ევროპის ლანდშაფტური კონვენცია წარმოადგენს საკონონმდებლო საფუძველს ლანდშაფტურ დაგეგმარებაში. იგი არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და სრულიად ახლებურად წარმოაჩენს ლანდშაფტის არსს (The European Landscape Convention: a revolution in thinking about 'cultural landscapes', 2007).

კონვენციას ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს წევრმა 40-მა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ქვეყანამ შეასრულოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულება. ასევე, არსებითია, რომ კონვენციის მიზნების განსახორციელებლად, შესწავლილ იქნას გეოგრაფიული მეთოდოლოგიის საფუძვლები. ჩვენი ქვეყნისთვის ორმაგად საპასუხისმგებლოა დოკუმენტით აღებული ვალდებულების შესრულება, ვინაიდან 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება გარემოსდაცვით ვალდებულებას და საერთაშორისო დოკუმენტებით აღებული პასუხისმგებლობის შესრულების აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ლანდშაფტური კონვენცია, კანონმდებლობა, ინტეგრაცია.

EUROPEAN LANDSCAPE CONVENTION AND ITS LEGAL PROVISION IN GEORGIAN LEGISLATION

Irine Javakhishvili

Master of Iv. Javakhishvili Tbilisi State University
irine.javakhishvili889@ens.tsu.edu.ge

Annotation

In the modern world achieving sustainable development is one of the most important tasks. It's impossible without protection and management of landscapes. Consequently, the discussion of these issues is becoming more and more actual and the European Landscape Convention makes it more actual and significant. A number of European countries are actively pursuing the objectives of the Convention, as it is recognized that landscape planning is one of the most important way of achieving sustainable development.

The European Landscape Convention is the legal framework for landscape planning. This is the first international document based on the principles of sustainable development and representing the essence of the landscape in a completely new way.

The convention was signed by 40 member states of the Council of Europe, including Georgia. Therefore, it is important for our country to fulfill its obligations under the Convention. It is also important to be studied the basics of geographic methodology to achieve the objectives of the Convention. Our country has a double responsibility for fulfilling obligations of the Convention. Our country signed an Association Agreement with the European Union in 2014. An important part of the agreement concerns environmental obligations and the need to fulfill obligations in accordance with international documents.

Keywords: Georgia, Landscape Convention, Legislation, Integration.

შესავალი

თემის აქტუალობა უკავშირდება ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ინტეგრაციას ეროვნულ პოლიტიკაში, მისი მნიშვნელობის, გამოცდილების და საკანონმდებლო ბაზის შესწავლას და ანალიზს.

2011 წელს საქართველომ მოახდინა ევროპის ლანდშაფტური კონვენციის რატიფიცირება, შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა კონვენციის ინტეგრაცია ქართულ კანონმდებლობასთან და მისი მიზნების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოში ჩატარდა უწყებათაშორისი სამუშაო მრგვალი მაგიდის შეხვედრა სახელწოდებით „ლანდშაფტების პოლიტიკაში ინტეგრაცია“. შეხვედრის მიზანი იყო ევროპის ლანდშაფტების კონვენციის განხორციელების განხილვა ეროვნულ დონეზე და გამოცდილებების გაზიარება. სიმპოზიუმს ესწრებოდა 14 ქვეყნის წარმომადგენელი, რომლებმაც წარმოადგინეს საკუთარი ქვეყნის გამოცდილებები კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სიმპოზიუმზე სიტყვით გამოვიდა ევროპის ლანდშაფტების კონვენციის აღმასრულებელი მდივანი, რომელმაც ისაუბრა ლანდშაფტის ლეგალურ აღიარებზე, ლანდშაფტის პოლიტიკის განხორციელებაზე ეროვნულ დონეზე და ამ კუთხით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე (https://www.heritagesites.ge/ka/news_item/100).

მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ლანდშაფტის პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ლანდშაფტის სტრატეგიის შემუშავება ქვეყნების მიერ. ლანდშაფტის სტრატეგია უნდა შემუშავდეს სამინისტროების და საზო-

გადოების ჩართულობით. დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს ლანდშაფტის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და ლანდშაფტის პოლიტიკის განსახორციელებლად დასახოს კონკრეტული მიზნები.

ასევე, ხაზი გაესვა, რომ მნიშვნელოვანია ლანდშაფტის პოლიტიკის განხორციელების საკითხში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობა. ადგილობრივ დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ პოლიტიკის განხორციელებაზე და ექნებათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია ადგილობრივი ლანდშაფტების შესახებ (https://www.heritagesites.ge/ka/news_item/100).

კონვენციის ინტეგრაციის პროცესი ქართულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და საჭიროებს სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებას და სრულყოფას. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნების განხორციელების ჭრილში.

კვლევის მეთოდები

ზემოაღნიშნულ სტატიაზე მუშაობისას განხილულ იქნა ქართული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ჭრილში, შეფასდა, თუ რამდენად უწყობს ხელს კონვენციის მიზნების განხორციელებას. სტატიაში განვიხილეთ შემდეგი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა: კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, კანონი გარემოს დაცვის შესახებ, კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, კანონი დაცული ტე-

რიტორიკის სისტემის შესახებ, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ, ტყის კოდექსი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, კანონი წყლის შესახებ, კანონი საქართველოს ზღვის წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ, კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ.

შედეგები

ევროპის ლანდშაფტურმა კონვენციამ სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ლანდშაფტის მნიშვნელობა გლობალური თვალსაზრისით. პრეამბულაში აღნიშნულია ის ძირითადი მესიჯები, რის გამოც ის შეიქმნა, კერძოდ:

1. „დოკუმენტის ხელმომწერი ქვეყნები, ითვალისწინებენ რა ევროპის საბჭოს მიზანს, მიღწეულ იქნეს უფრო მჭიდრო კავშირი მის წევრებს შორის, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელების მიზნით, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს და რაც შესაძლებელია ერთობლივი შეთანხმებების საფუძველზე;

2. „დაინტერესებულნი არიან, მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარება, რაც დაფუძნებულია სოციალურ საჭიროებებს, ეკონომიკურ საქმიანობასა და გარემოს შორის გაწონასწორებულ და ჰარმონიულ კავშირზე“ (ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, 2000).

დოკუმენტი ხაზს უსვამს ლანდშაფტის როლს ადამიანის ცხოვრებაში და მას განიხილავს კულტურის, გარემოსდაცვით და სოციალური სფეროს ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. გაცნობიერებულია, რომ ადგილობრივი, თვითმყოფადი კულტურის ჩამოყალიბებაში ლანდშაფტი ფუნდამენტურ

როლს ასრულებს და კულტურული მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ხაზს უსვამს, რომ იგი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობისთვის რესურსს, რომ ლანდშაფტის დაცვა, მართვა და დაგეგმარება ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას.

კონვენციამ ლანდშაფტის არსი და მნიშვნელობა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა და მისი დაცვის საკითხიც უფრო მნიშვნელოვანი გახადა. კონვენციის მიხედვით: ა) ლანდშაფტი მოიიაზრება როგორც ადამიანის და ბუნების ურთიერთქმედების შედეგი და ბ) მასში ბუნებრივი და კულტურული კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

ამრიგად, კონვენცია წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტს, რომელიც ჰოლისტიკური ხასიათის მიდგომით ხაზს უსვამს, რომ ლანდშაფტი ყველგან არსებობს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც არის საზოგადოება, მისი პიროვნული იდენტობა და ადგილობრივი კულტურა მაშინაც კი, როდესაც ისინი ჩვეულებრივია ან დეგრადირებულია.

ვინაიდან ლანდშაფტი განხილულია, როგორც საზოგადოების განვითარების, მისი კეთილდღეობის, პიროვნული იდენტობის ძირითადი ელემენტი, ხაზს უსვამს თითოეული ადამიანის უფლებას და პასუხისმგებლობას მისი დაცვის, მართვის და დაგეგმარების პროცესში. ამიტომ, კონვენციის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ინფორმაციის საჯაროობა და ადგილობრივი თემის მაქსიმალური ჩართულობა ნებისმიერ ეტაპზე (ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, 2000).

კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ქვეყანა ადებულ ვალდებულებებს, კერძოდ, მე-5 და მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილების განაწილების საფუძველზე, კონსტიტუციური პრინციპების და ადმინისტრაციული მოწყობის შესაბამისად. ამ ღონისძიებების მიზანია თითოეულ ქვეყანაში ლანდშაფტის პოლიტიკის განხორციელების

ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ისეთი სტრატეგიის და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს ლანდშაფტის დაცვას, მართვასა და დაგეგმარებას.

ამრიგად, ევროპის ლანდშაფტების კონვენცია წარმოადგენს უნივერსალურ დოკუმენტს ლანდშაფტების პოლიტიკის შემუშავებაში. კონვენცია ხაზს უსვამს ლანდშაფტის მთლიანობას და მის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

კონვენციის მიზანია ევროპის ლანდშაფტის დაცვის, მართვის და დაგეგმარების უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელება კი შეუძლებელია გამართული საკანონმდებლო ბაზის გარეშე. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს და გამოვლინდეს საკანონმდებლო ბაზაში არსებული სუსტი და ძლიერი მხარეები.

საქართველოში გარემოსდაცვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „კანონი გარემოს დაცვის შესახებ“. იგი არის სხვა გარემოსდაცვითი კანონების და სამართლებრივი აქტების საფუძველი და განსაზღვრავს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს. ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ გარემოს დაცვის კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 3, 1996). ლანდშაფტების და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვის მიზნით, ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებულია გარემოზე დატვირთვის ნორმების დადგენა. გარემოზე დატვირთვის ნორმებს ადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 5 წელიწადში ერთხელ. ასევე, გარემოს დაცვის კანონის 45-ე მუხლი ეხება ლანდშაფტების და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვის მიზანს და დაცვას დაქვემდებარებულ არეალებს. აღნიშნულია, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვის, დაბინძურე-

ბის, დარღვევისა და დაშლისგან. დაცვას ექვემდებარება: ზღვის სანაპირო ზოლი, ჭაობები მდინარის სათავეები, მყინვარები, მღვიმეები, ძვირფასი ტყის მასივები და ა.შ.

ევროპის ლანდშაფტების კონვენციასთან მიმართებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონია – „კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“. კანონით განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები. ძეგლის დამცავი ზონები შედგება ინდივიდუალური და ზოგადი დამცავი ზონებისგან.

1. ინდივიდუალური დამცავი ზონა შედგება:
 - 1.1. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი;
 - 1.2. ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი;
2. ზოგადი დამცავი ზონებია:
 - 2.1. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;
 - 2.2. განაშენიანების რეგულირების ზონა;
 - 2.3. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;
 - 2.4. არქეოლოგიური დაცვის ზონა.

34-ე მუხლით დგინდება ძეგლის დამცავი ზონების კატეგორიები, მათ შორის, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა. დამცავი ზონის დადგენის მიზნებიდან (მუხლი 35) ყურადღება გამახვილებულია იმ ხედებისა და პანორამების შენარჩუნებაზე, რომელიც ხელს უწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვას და მდგრად განვითარებას. კანონის 39-ე მუხლი ეხება ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის და მისი რეჟიმის დადგენას. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში ყურადღება გამახვილებულია ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებაზე, რაც კონვენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

„ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონად განისაზღვრება ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი, სასოფლო ან ურბანული ტერიტორია, რომლის ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ

ადამიანის საქმიანობის შედეგია ან რომელიც ცალკეული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოა“ (კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 39, 2007).

კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების კატეგორიებს და მათი დაცვისა და მართვის სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ დაცული ტერიტორიების სისტემის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების და ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური კომპლექსებისთვის დამახასიათებელი პეიზაჟების შენარჩუნება და აღდგენა (კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ მუხლი 1, 1996). ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულია დაცული ლანდშაფტის დადგენის კრიტერიუმები, ხოლო მე-10 მუხლით განსაზღვრულია ბიოსფერული რეზერვატის დადგენის წესი, სადაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი ზონები:

1. ბირთვი (მკაცრი დაცვის ზონა);
2. ბუფერული ზონა;
3. აღდგენის ზონა;
4. ტრადიციული კულტურული ლანდშაფტის ზონა.

აღსანიშნავია, რომ ბიოსფერული რეზერვატი იქმნება ბუნებრივი გარემოს და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დინამიურ და თვითრეგულირებად მდგომარეობაში დასაცავად. ტრადიციულ კულტურული ლანდშაფტის ზონაში დასაშვებია განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენება. შესაბამისად, რეზერვატის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ლანდშაფტების მართვა ისე, რომ ჰარმონიზაცია შენარჩუნდეს სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოში მიმდინარე პროცესებს შორის.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი ადგენს საქართველოს სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობის გეგმების სისტემას, განსაზღვრავს მის მიზნებს და ამო-

ცანებს, ასევე მის იერარქიასა და შემადგენლობას. ეს კოდექსი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნების განხორციელებისთვის. კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად, ინტეგრირებული გეგმებიდან (საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა, გენერალური გეგმა, განაშენიანების გეგმა...) შეიძლება გამოიყოს ცალკეული ასპექტები დამოუკიდებელი გეგმის სახით. ასეთ გეგმათა შორის შეიძლება შესრულდეს ლანდშაფტების დაცვის გეგმა. კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სივრცის და ქალაქთმშენებლობით დაგეგმვისას სხვა პრინციპებთან ერთად მნიშვნელოვანია კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების და მისი დამახასიათებელი ნიშნების, ასევე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე კულტურული ლანდშაფტების მდგრადი განვითარება. კანონმდებლობით გათვალისწინებულია ლანდშაფტის მართვის საკითხებიც. მე-16 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმამ უნდა მოიცვას ლანდშაფტის დაცვის, გაუმჯობესების და განვითარების ღონისძიებები (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, 2018).

საქართველოს „კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ ითვალისწინებს კულტურული ლანდშაფტების და მისი დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნებას. კანონის მე-18, 22-ე და 29-ე მუხლებით განსაზღვრულია ქვეყნის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის და მიწათსარგებლობის გეგმები.

ტყის კოდექსი არეგულირების საქართველოს ტყის მართვის სამართლებრივ ნორმებს და პრინციპებს. კოდექსის მიხედვით გამოიყოფა ოთხი კატეგორიის ტყე:

1. დაცული ტყე;
2. დაცვითი ტყე;

3. საკურორტო და სარეკრეაციო ტყე;

4. სამეურნეო ტყე.

8-11 მუხლის ჩათვლით, კოდექსი განსაზღვრავს თითოეული ტყის კატეგორიას და დაცვის ნორმებს. კანონი ხელს უწყობს იმ ლანდშაფტების დაცვას, რომელიც ხვდება ამ ტყეების კატეგორიების ქვეშ.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ლანდშაფტს განიხილავს, როგორც პეიზაჟს, შესაბამისად, ორიენტირებულია მხოლოდ ვიზუალური ზემოქმედების შერბილებაზე. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ითვალისწინებს კონვენციის მიხედვით ლანდშაფტის დაცვის მიზანს, ვინაიდან ევროპის ლანდშაფტების კონვენციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ლანდშაფტის ვიზუალური ფასეულობა და მისი დაცვა.

საქართველოს **კანონი წყლის შესახებ** არის წყლის რესურსების დაცვის და გამოყენების სამართლებრივი საფუძველი. კანონის მე-18 და 21-ე მუხლებით განსაზღვრულია მდინარეთა წყალდაცვითი და სანიტარული დაცვის ზონები, რაც ხელს უწყობს ამ არეალში მოხვედრილი ლანდშაფტების დაცვას.

საქართველოს **კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ** – კანონის მიზანია, უზრუნველყოს ნიადაგის მთლიანობა, ნაყოფიერების შენარჩუნება და ზრდა. აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ამალღების მიზნით განხორციელებული ის ღონისძიებები, რომელიც აზიანებს მას. ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და მისი დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები კანონის მე-3 და მე-4 მუხლით განისაზღვრება.

მაგალითად, ამ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ნიადაგის დაცვის საშუალებებია: ნიადაგის პასპორტიზაცია შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა; ნიადაგის გამოფიტვის მიზეზების სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობო-

ტანიკური კვლევა, მონიტორინგა და კადასტრის პერიოდულად შედგენა; სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების კარიერული წესით მოპოვების შედეგად დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაცია და მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობით გამოწვეული ნიადაგისა და წყლის გაუვარდისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ა.შ. (კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ, 1994).

ასევე, მე-4 მუხლის მიხედვით დაწესებული აკრძალვებია: ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოყენებლად; ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება; ფერდობების დატერასება ნიადაგის შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე და ა.შ. (კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ, 1994).

საქართველოს **კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ** არეგულირებს მთლიანი ქვეყნის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებს მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისგან. აღსანიშნავია, რომ კანონი განსაზღვრავს დაბინძურების კატეგორიებს და მათ რეგულირებას. კანონით გათვალისწინებული საკითხები ლანდშაფტების დაცვისა და მართვისთვის მნიშვნელოვანია.

საქართველოს **კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ**, კანონის მე-17 მუხლი იცავს ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებს.

საქართველოს **კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ** ითვალისწინებს თითოეული კურორტისთვის და საკურორტო ადგილისთვის სანიტარული დაცვის ზონის შექმნას.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი
ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნებთან მიმართებით

		დაცვა	მართვა	დაგეგმარება
1.	კანონი გარემოს დაცვის შესახებ	+(მუხლი 3 ე ქვეპუნქტი; მუხლი 32, 45)		
2.	კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	+(მუხლი 34; მუხლი 35; მუხლი 37, პუნქტი 2, 3; მუხლის 39)		
3.	კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	+(მუხლი 1, მუხლი 8)	+(მუხლი 10)	
4.	საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი	+(მუხლი 8, მუხლი 38)	+(მუხლი 16, 3 ქვეპუნქტი;	+(მუხლი 6, 4 ქვეპუნქტი).
5.	საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	+(მუხლი 5, ო ქვეპუნქტი;)		
6.	ტყის კოდექსი	+(მუხლი 8 ბ ქვეპუნქტი, მუხლი 10, 2 ნაწილი).	+მართვა (7 მუხლის 4 ქვეპუნქტი)	
7.	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	+(მუხლი 10, გ ქვეპუნქტი, მუხლი 20)		
8.	კანონი წყლის შესახებ	+(მუხლი 18, 20, 21)		
9.	კანონი საქართველოს ზღვის წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ		+(მუხლი 7)	
10.	კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	+(მუხლი 3, მუხლი 4)		
11.	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	+(მუხლი 3, 16, 22)		
12.	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	+(მუხლი 17)		
13.	კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ	+(მუხლი 3, 7 ქვეპუნქტი)		

ცხრილში განხილულია 13 გარემოსდაცვითი საკანონმდებლო დოკუმენტი ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნებთან მიმართებით. გაანალიზებულია, თუ რამდენად ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და დაგეგმარებისთვის საჭირო პრინციპებს. ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ორიენტირებულია მხოლოდ ლან-

დშაფტის დაცვის ღონისძიებებზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის ღონისძიებები ძირითადად შემოიფარგლება გარკვეული ქმედებების აკრძალვით. ასევე აღსანიშნავია, რომ ლანდშაფტის დაცვის ღონისძიებები ვრცელდება მხოლოდ ლოკალურად, გარკვეული სახის ტერიტორიებზე, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებზე, მდინარეთა წყალდაცვით ზონებზე ან დაცული ტე-

რიტორიების კატეგორიებში არსებულ არეალებზე. შესაბამისად, ერთიანი ლანდშაფტის დაცვის სისტემა არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ხარვეზები გამოვლინდა ლანდშაფტის მართვისა და დაგეგმარების კუთხით. კანონმდებლობაში არ გვაქვს ლანდშაფტის მართვის კონკრეტული პრინციპები და ნორმები განსაზღვრული. ასევე მნიშვნელოვანია, ლანდშაფტის მართვა განხორციელდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რისი სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს. მართვითი ღონისძიებების გატარება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ არეალებში. მაგალითისთვის, ტყის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საკურორტო და სარეკრეაციო ტყის მართვის ამოცანა ტყის კურორტოლოგიური ფუნქციის, ლანდშაფტის და ბუნების კომპონენტების დაცვა და გაუმჯობესებაა. შესაბამისად, გარკვეული სახის ღონისძიებების გატარება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად სარეკრეაციო ტყის ზონაში.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით არ არის მოთხოვნილი ლანდშაფტური დაგეგმარება და ასევე არ არსებობს დაგეგმარების სახელმძღვანელო პრინციპების სამართლებრივი სა-

ფუძველი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კონვენციის მიზნების განხორციელების პროცესს. მხოლოდ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-6 მუხლის მუხლის თანახმად, ინტეგრირებული გეგმებიდან შეიძლება გამოიყოს ლანდშაფტის დაცვის გეგმა და შესრულდეს დამოუკიდებლად. თუმცა, ბუნდოვანია, რა შემთხვევაშია შესაძლებელი ასეთი გეგმების შესრულება, ასევე ეს კოდექსი არ იძლევა საშუალებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესრულდეს ლანდშაფტის მართვის გეგმები, შესაბამისად, არ არის ჩამოყალიბებული ასეთი მართვის გეგმების სახელმძღვანელო დოკუმენტებიც.

ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით მიიღწევა კონვენციის მიზნები. შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი, თუ რამდენად ითვალისწინებს და ხელს უწყობს კონვენციით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას.

ცხრილი 2

**საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი
ევროპის ლანდშაფტების კონვენციის კონკრეტულ ღონისძიებებთან მიმართებით**

		ცნობიერების ამაღლება	ტრენინგები და განათლება	ლანდშაფტების იდენტიფიცირება და შეფასება
1	კანონი გარემოს დაცვის შესახებ	+(მუხლი 8, მუხლი 9)	+(მუხლი 8, მუხლი 9)	
2	კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ			+(მუხლი 39)
3	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ			+(დანართი №1)

ევროპის ლანდშაფტების კონვენციით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფის ანალიზისას, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა. თითქმის არც ერთი კანონმდებლობით არ არის მოთხოვნილი მათი შესრულება, არადა თითოეული ქვეყანა ვალდებულია, თავის ტერიტორიაზე განახორციელოს ეს ღონისძიებები. ლანდშაფტის ხარისხის მიზნების განსაზღვრის და განხორციელების შედეგების პრინციპები და ნორმები არც ერთი კანონმდებლობით არ რეგულირდება. ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მე-6 მუხლის ე ქვეპუნქტის შესაბამისად კი, თითოეულმა მხარე ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს სპეციალური დოკუმენტი, რომლის მიზანი იქნება ლანდშაფტის დაცვა, მართვა და გეგმარება. ამიტომ, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ლანდშაფტის სტრატეგიის დოკუმენტი და მისი სამართლებრივი საფუძველი, რათა ქვეყანამ განსაზღვროს, თუ როგორ განახორციელებს ლანდშაფტის პოლიტიკას ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის პერსპექტივები

ზოგადად, საქართველო ახორციელებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დახვეწას და მის სრულყოფას. ამ რთულ პროცესში მნიშვნელოვანია ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მაქსიმალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა კანონმდებლობაში და, შესაბამისად, სივრცითი გეგმარების დოკუმენტებში. კვლევის პერსპექტივები უკავშირდება ამ ხარვეზების დეტალურ გააზრებას და მათ აღმოფხვრას.

ასევე კვლევის პერსპექტივებს უკავშირდება ლანდშაფტების სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა, რომლის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს: ფასეული ლანდშაფტების განსაზღვრა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე; სივრცითი დაგეგმარების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება; ლანდშაფტების შესახებ ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ლან-

დშაფტთა მართვის, დაცვის და/ან დაგეგმარების დოკუმენტაციების მომზადებისას; ლანდშაფტებზე მომუშავე ადგილობრივი ჯგუფების მომზადება; ლანდშაფტების მართვის, დაგეგმარების და დაცვის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება; ელექტრონული პლატფორმის მომზადება.

დასკვნები

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ განხილული კანონმდებლობა ძირითადად ხელს უწყობს კონვენციით გათვალისწინებულ ლანდშაფტების დაცვას. ლანდშაფტების დაცვის ღონისძიებები კი გულისხმობს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე.

კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი არ არის ფოკუსირებული ლანდშაფტის მართვის და დაგეგმარების საკითხებზე. ლანდშაფტის მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ტყის კოდექსი“ და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობების კოდექსი“. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს უკანასკნელია, ვინაიდან ითვალისწინებს, რომ ლანდშაფტების დაცვის გაუმჯობესების და განვითარების ღონისძიებები უნდა იქნას წარმოდგენილი საქართველოს სივრცის განვითარების გეგმაში. ეს კი საშუალებას იძლევა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდეს ლანდშაფტის დაცვის და მართვის ღონისძიებები და არა ცალკეულ შემთხვევაში. იგი შეიძლება ჩაითვალოს ლანდშაფტური დაგეგმარების სამართლებრივ საფუძვლად ევროპის ლანდშაფტურ კონვენციასთან ერთად. მართალია, კოდექსი ორიენტირებულია ლანდშაფტური დაგეგმარების ინტეგრაციაზე სივრცით დაგეგმარებაში, თუმცა მე-6 მუხლის თანახმად, ინტეგრირებული გეგმებიდან შეიძლება გამოიყოს ლანდშაფტის დაცვის გეგმა და შესრულდეს დამოუკიდებლად.

მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მოკლე ვადებში შეიქმნას ლანდშაფტური დაგეგმარების სამართლებრივი საფუძველი და ჩამოყალიბდეს დაგეგმარების სახელმძღვანელო პრინციპები. ეს ნაბიჯი უმნიშვნელოვანესია ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნების შესრულებისთვის.

რაც შეეხება „კანონს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, კანონით ლანდშაფტის

მართვის ღონისძიებები გათვალისწინებულია მხოლოდ იმ არეალში, რომელიც ბიოსფერულ რეზერვატში მოხვდება. „ტყის კოდექსი“ კი ითვალისწინებს იმ ლანდშაფტების მართვას, რომელიც საკურორტო-სარეკრეაციო კატეგორიაში ხვდება. შესაბამისად, არ ეხება საქართველოს მთლიანი ტერიტორიის ლანდშაფტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16210?publication=21>.
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=16>.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29614?publication=11>.
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=19>.
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>.
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33352?publication=18>.
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=11>.
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=26>.
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7>.
9. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276845?publication=9>.
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=1>.
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93874?publication=8>.
12. https://www.heritagesites.ge/ka/news_item/100.
13. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1744?publication=6>.
14. ROE, M. (თ. გ.). The European Landscape Convention: a revolution in thinking about ‘cultural landscapes’. 2007.

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) – არსი და განვითარების პერსპექტივები

გვანცა მოსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: gvantsamosidze@gmail.com

ანოტაცია

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მომიჯნავე მეცნიერებაა. ის აერთიანებს ჰუმანიტარულ (საზოგადოებრივ) და საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინებს, განიხილავს ადამიანი-გარემოს ურთიერთობის ისტორიულ განზომილებას, იკვლევს საზოგადოების კულტურულ განვითარებას შესაბამისი ბუნებრივი ტერიტორიის ფონზე, ასევე ბუნებრივი გარემოს ცვლილებებს, აანალიზებს ლანდშაფტის ცვლილების ანთროპოგენულ ფაქტორებს. გეოგრაფიულ-არქეოლოგიური კვლევის მეთოდებში გამოიყენება დისტანციური ზონდირების თანამედროვე მეთოდები (მათ შორის, საჰაერო და სატელიტური სურათების ინტერპრეტაცია), ისევე, როგორც გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS).

სტატიაში განხილულია გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) არსი და მნიშვნელობა, პერსპექტივები, კავშირი სხვა მეცნიერებებთან, ცნობადობა საქართველოში, როგორი და რომელი კვლევის მეთოდები გამოიყენება გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) კვლევის პროცესში და რა საჭიროა ის.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფია, ინტეგრაციული გეოგრაფია, გეოარქეოლოგია, ლანდშაფტი, გეოინფორმაციული სისტემა, განვითარება.

GEOGRAPHICAL ARCHAEOLOGY (GEOARCHAEOLOGY) – THE ESSENCE AND PERSPECTIVES OF DEVELOPMENT

Gvantsa Mosidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: gvantsamosidze@gmail.com

Annotation

Geographical Archaeology (Geoarchaeology) is an adjacent science of Geography and Archaeology. It combines the humanities (social) and natural sciences, Discusses the historical dimension of human-environmental relations, studies the cultural development of society against the background of the relevant natural area, as well as changes in the natural environment, analyzes anthropogenic factors of landscape change. Modern methods of remote sensing (including interpretation of aerial and satellite imagery) as well as geographic information system (GIS) are used in geographical-archaeological research methods.

The article discusses the essence and significance of Geographical Archaeology (Geoarchaeology), perspectives, connection with other sciences, awareness in Georgia, What and which research methods are used in the research process of Geographical Archaeology (Geoarchaeology) and what is needed for it.

Keywords: Geography, integrative geography, Geoarchaeology, Landscape, GIS, development.

შესავალი

გეოგრაფიული არქეოლოგია არის გეოგრაფიის ის მიმართულება, რომელიც *მრავალდის-*

ციპლინარული მიდგომით *პასუხობს* კითხვებს უძველეს ლანდშაფტებზე ანთროპოგენური გავლენის შესახებ და აანალიზებს ისტორიულ

ადამიანთა და გარემო ურთიერთობებს, რაშიც არქეოლოგიური, გეოგრაფიული და გეომეცნიერული მეთოდები და ცნებები გვეხმარება.

აქვე უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) შედის ინტეგრაციული, საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფიულ მეცნიერებათა ჯგუფში. იგი ისტორიული გეოგრაფიის ნაწილია. „საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის მეცნიერებათა ჯგუფი ისეთი ნაწილებისაგან შედგება, როგორცაა: ქვეყანათმცოდნეობა (დასავლეთში – რეგიონული გეოგრაფია), გეოეკოლოგია, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, რეკრეაციული გეოგრაფია, სამხედრო გეოგრაფია, სამეცდიცინო გეოგრაფია, მსოფლიო ოკეანის გეოგრაფია და სხვ. საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ნაწილები ერთიანი გეოგრაფიის თვალსაჩინო მაგალითია“ (ნ. ელიზბარაშვილი, 2010).

სტატიაში განხილულია გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) არსი, განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები, დანიშნულება, როგორ ფართოდ არის ათვისებული, რა სამუშაოები ხორციელდება ამისათვის, რა ციფრული ტექნოლოგიები გამოიყენება კვლევის პროცესში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი ინტეგრაციული დისციპლინის, გეოარქეოლოგიის არსის, დანიშნულების, განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივების შესწავლა. ამგვარი შესწავლა საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ გეოარქეოლოგიის მნიშვნელობა.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდები უკავშირდება არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) განვითარების თავისებურებების შესწავლას ევროპულ, ამერიკულ, აზიურ და აფრიკულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში (რისი მოპოვებაც გახდა შესაძლებელი ინტერნეტსივრცეში), სამეცნიერო წყაროების, შესაბამისი თეორიული კონცეფციების და შესაბამისი მასალების სისტემურ და შედარებით ანალიზს.

შედეგები

1. გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) არსი

გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის) არსი უძველესი ლანდშაფტების, წარსულის გარემოს რეკონსტრუქციაში, ადამიანისა და გარემოს შორის ისტორიული კავშირების შეფასებაში მდგომარეობს. გეოგრაფიული არქეოლოგია არის გეოგრაფიის ის მიმართულება, რომელიც მრავალდისციპლინარული მიდგომით და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს, გავცეთ პასუხები კითხვებზე: როგორი იყო უძველესი ლანდშაფტები? როგორი გარემო პირობები იყო წარსულში? როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ადამიანს გარემოსადმი? როგორ იყენებდა ბუნებრივ რესურსებს და გეოგრაფიულ გარემოს და სხვ.

იმის გათვალისწინებით, რომ არქეოლოგი ჯეროვან დონეზე ვერ აანალიზებს იმ გეოგრაფიულ ინფორმაციას, რომელიც ზემოაღნიშნული კითხვებისთვის პასუხის გასაცემადაა საჭირო, დადგა საჭიროება ახალი სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბებისა, რომელსაც გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) ეწოდება.

იმისათვის, რომ მეცნიერებამ უძველესი ლანდშაფტების და წარსულის გარემოს რეკონსტრუქცია შეძლოს, საჭიროა ისეთი ცოდნა, რომელიც გეოგრაფს აქვს. ამგვარია: კონკრეტულ გარემოში გეოეკოლოგიური ვითარების ადამიანის სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო საქმიანობის კავშირი გარემო ფაქტორებთან, ტერიტორიის ათვისების ფორმები და მასშტაბები, ამგვარი ინფორმაციის მოპოვება, არქეოლოგიური მასალის ანალიზთან ერთად, ციფრულ-სასიმალო მოდელის (DEM), დისტანციური ზონდირების და გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS) დახმარებით ხორციელდება.

წარსულში გეოგრაფიული გარემო არსებითად განაპირობებდა ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო პირობების გამოყენების თავისე-

ბურებებს, რომლის შესწავლაც გეოგრაფიული არქეოლოგიის (გეოარქეოლოგიის), როგორც გეოგრაფიული მეცნიერების, ერთ-ერთი მიმართულების კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

„გეოარქეოლოგია წარმოადგენს მრავალდისციპლინურ მიდგომას, სადაც გეოგრაფიული და გეომეცნიერული ცნებები და მეთოდები გამოიყენება პრეისტორიაში, არქეოლოგიასა და ისტორიაში“ (Rapp and Hill, 1998).

ამგვარად, გეოარქეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა მეთოდებისა და ცნებების გამოყენებას არქეოლოგიური კვლევის მიზნებისთვის. ამასთან, გარემოსდაცვითი კონტექსტუალური საკითხების გასარკვევად, გეოარქეოლოგები უნდა იყვნენ გამოყენებითი მეცნიერების პრაქტიკოსები (Butzer, 1982; Fouache, 2006; Fouache and Rasse, 2007).

გეოსაინფორმაციო სისტემა (GIS) კარგად არის ადაპტირებული, რომ გააანალიზოს ყველა ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია სხვადასხვა დისციპლინის მიერ ადამიანისა და სოციალურ მეცნიერებათა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისგან. გაფართოებული გაგებით, გეოსაინფორმაციო სისტემა (GIS) არის ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შექმნან ინტერაქტიული მოთხოვნები, გააანალიზონ სივრცული ინფორმაცია, შეცვალონ მონაცემები, შექმნან რუკები და წარმოადგინონ ყველა ამ ოპერაციის შედეგები არქეოლოგიური და გეოარქეოლოგიური კვლევებისთვის (Kvamme, 1999; Fletcher, 2008).

არქეოლოგიური პროგნოზირების მოდელირება, რომელიც გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) საშუალებით შესაძლებელი გახდა, ერთადერთი ყველაზე ადრეული პროგრამაა და კვლავ იზრდება, როგორც კულტურული რესურსების მართვისა და დაგეგმვის ინსტრუმენტი (Kvamme, 1999; Fry et al., 2004).

ამრიგად, გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) არის გეოგრაფიის ახალი მი-

მართულება, რომელიც ჩამოყალიბდა უახლოეს წარსულში და აქვს მრავალდისციპლინარული მიდგომა, სწორედ გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) არის ის დარგი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, გეოგრაფიული და გეომეცნიერული ცნებები და ცოდნა გამოვიყენოთ წარსულის გარემოს, ლანდშაფტების რეკონსტრუქციისთვის, რისთვისაც აუცილებლად გვჭირდება გეოსაინფორმაციო სისტემა (GIS), რომლითაც მოვახდენთ არქეოლოგიური პროგნოზირების მოდელირებას, მისი დახმარებით შესაძლებელია: წარსულისა და დღევანდელი გარემოს (რელიეფი, ჰიდროლოგია, სანაპირო ზოლები, მცენარეული საფარი და ა.შ.) ევოლუციის 3D მოდელირება, გარემოსდაცვითი, პალეოეკოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემების შედარება და სხვა.

2. გეოგრაფიული არქეოლოგია მსოფლიოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში

შესწავლილ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 12 უნივერსიტეტ-კოლეჯი (ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, მალაიზიის, გერმანიის, კანადის, ირლანდიის და სხვა ქვეყნების), სადაც როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამებზე ისწავლება გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) ან გეოგრაფიისა და არქეოლოგიის ინტეგრაციული პროგრამები.

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) მრავალ ქვეყანაში განვითარებული სამეცნიერო მიმართულებაა, რომელიც დღითიდღე მეტად აქტუალური ხდება, რაც მის მნიშვნელობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწავლებებთან ერთად ამ მიმართულებით კვლევებიც აქტუალურად ხორციელდება.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არქეოლოგიის მიმართულებაზე არაერთი გეოგრაფიული საგანი ისწავლება, თუმცა გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) საქართველოში მხოლოდ საწყის ეტაპზე არსებული სამეცნიერო მიმართულებაა.

3. გეოგრაფიულ-არქეოლოგიური კვლევები ქართველ მეცნიერთა შრომებში და მისი განვითარების პერსპექტივები

ცნობილია რამდენიმე ქართველი არქეოლოგი (ისტორიკოსი) ანუ ის მეცნიერები, რომლებიც გეოგრაფიულ კვლევის მეთოდებს აქტიურად იყენებენ თავიანთ შრომებში, ესენია:

3.1. ჯიმშერ ჩხვიმიანს სადოქტორო დისერტაციაში „შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა“ (ჯ. ჩხვიმიანი, 2020) სხვადასხვა კვლევის მეთოდებთან ერთად გამოყენებული აქვს გეოსაინფორმაციო და ტოპოგრაფიული კვლევის მეთოდი, ქალაქგეგმარებითი და ნივთიერი მასალის 3D მოდელირების და მისი ანალიზის მეთოდი;

3.2. მადონა მშვილდაძის სადისერტაციო ნაშრომში „იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეის კოორდინატთა სისტემის მიხედვით“ (მ. მშვილდაძე, 2015) ფართოდ და სიღრმისეულად არის ჩატარებული გეოგრაფიული კვლევა. სადისერტაციო ნაშრომის მომზადების დროს სხვა მეთოდოლოგიებთან ერთად გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია: საველე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება (ურბანული თვალსაზრისით ტერიტორიის შეფასება, GPS-კოორდინატების აღება, საველე ფოტოფიქსაცია), ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება და შესწავლა, კოორდინატთა ბადეზე მყარი წერტილის აღება და მათი თანამედროვე სიტუაციაში გადმოტანა, შესაბამისი პარალელებისა და მერიდიანების გათვალისწინებით ტოპონიმების რუკაზე დატანა.

3.3. გურამ ჩხატარაშვილის სადოქტორო დისერტაციაში „სამხრეთ კავკასიის ფინალური ზედა პალეოლითის რეგიონალური თავისებურებანი (ძუძუანას და საწურბლიას მღვიმეების მიხედვით)“ (გ. ჩხატარაშვილი, 2016), რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიუ-

რი მონაცემების შესწავლის შედეგად, დადგინდა ზედა პალეოლითური კულტურის ძეგლების გეოგრაფიული თავისებურებანი და მათი გავრცელების მიზეზები;

3.4. ირინე დემეტრაძის სადისერტაციო ნაშრომში – „იბერიის კულტურული ლანდშაფტები: ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში“ ძვ.წ. პირველ-ახ.წ. მესამე საუკუნეებში“ (ი. დემეტრაძე, 2014) რამდენიმე ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდი გამოყენებული, მათ შორისაა: ნამოსახლართა გეოგრაფიული (სივრცითი) ანალიზი, ლანდშაფტური თავისებურებების განსაზღვრის და ფენომენოლოგიური კვლევის მეთოდი (რაც კულტურული ლანდშაფტის ინტერპრეტაციას გულისხმობს). ამგვარი კვლევები GIS-ის მეთოდების გამოყენებით განხორციელდა (ი. დემეტრაძე, 2014). დისერტაციაში კულტურული და ბუნებრივი პროცესების გასაანალიზებლად, სხვა მონაცემებთან ერთად, გეოგრაფიული მონაცემებიც გაერთიანდა. კვლევის შედეგად განხორციელდა კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტის რეკონსტრუქცია. არქეოლოგიური, ეთნოპოტანიკური, ისტორიული და გეოგრაფიული მონაცემების ინტეგრირება და ანალიზი კულტურული და ბუნებრივი პროცესების შესასწავლად.

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ალექსანდრე ჯავახიშვილის შრომებს ანთროპოლოგიაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიაში და არა მარტო.

„ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებმა შუქი მოჰფინა საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიის კარდინალურ პრობლემებს; თავისი შრომებით მოიგვა კავკასიისა და საქართველოს თითქმის მთელი გეოგრაფია – გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ეკონომიკური გეოგრაფია, კარტოგრაფია, ქვეყანათმცოდნეობა და ლანდშაფტმცოდნეობა; ჩასწვდა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიის საკითხებსაც.“

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ორ ათეულ წელს (1917 წლამდე) მოსკოვში ატარებს და 11 უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიის სადავო და ნაკლებად ცნობილ საკითხებს იკვლევს; ამ საკითხების შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ისტორიის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ნათესაობის გადაწყვეტილი ან წყვედიადით მოსილი საკითხების გამოსარკვევად.

საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ფიზიკური და ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლას, ამ მოსახლეობის შემადგენელი ანთროპოლოგიური ტიპებისა და ჯგუფების წარმოშობის გაშუქებას და მსოფლიო ხალხთა ანთროპოლოგიურ ტიპებთან და ჯგუფებთან მათი დამოკიდებულების საკითხების გარკვევას ალ. ჯავახიშვილი იწყებს საქართველოს გულის – ქართლის ქართველების შესწავლით. ამ მიზნით იგი 1903 და 1904 წლების ზაფხულის თვეებში ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებას ეწევა ქართლში.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილი ანთროპოლოგიურ დაკვირვებებს აგრძელებს საქართველოს დანარჩენ კუთხეებში: 1905 წელს – კახეთსა და მთიულეთში, 1908 წელს – იმერეთსა და რაჭაში, 1909 წელს – გურიაში, 1911 წელს – სამეგრელოში. თითოეულ ამ კუთხეში ალ. ჯავახიშვილმა ას-ასი ცდის პირი შეისწავლა. სულ საქართველოში 900 პირი შეისწავლა, რომელთა შესახებ ას-ასი ზომითი მონაცემი აქვს აღებული. ამ მონაცემებს, მაშინდელი მათი პირდაპირი დანიშნულების გარდა, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი პრობლემის გასარკვევად, როგორცაა ადამიანთა განსაკუთრებული დიდსიმადლიანობა (გიგანტიზმი) მსოფლიოს ხალხთა, კერძოდ, ქართველთა შორის. საქართველოს ცალკეული მხარეების ქართველების ანთროპოლოგიური დახასიათებისადმი მიძღვნილ სტატიებში, აგრეთვე, შემაჯამებელი მონოგრაფიების პირველ თავებში,

იმდროინდელი მსგავსი ნაშრომებისაგან განსხვავებით, ალ. ჯავახიშვილი იძლევა საკმაოდ ღრმა და საფუძვლიან გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ დახასიათებას.

ალ. ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური შრომების მაღალმეცნიერულ ღირებულებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქართველოს ანთროპოლოგიის ორ მონოგრაფიას (საქართველოს ანთროპოლოგია, ტ. I, „ქართლისა და კახეთის ქართველები“ და ტ. II, „იმერეთის, გურიისა და რაჭის ქართველები“) მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო – პროფესორ ა. პ. რასცვეტოვის პრემიები მიანიჭა 1906 და 1912 წლებში, როგორც ძვირფასი შენამენი კავკასიის ანთროპოლოგიაში და რომელიც გამოირჩევა მასში მოყვანილი მონაცემების სიუხვით, დეტალური დამუშავებითა და მაღალი მეცნიერული დონით. ალ. ჯავახიშვილის გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ქართლის, კახეთის, მთიულეთის, იმერეთის, რაჭის, გურიისა და სამეგრელოს ქართველები ერთმანეთთან ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ, განსხვავებანი კი უმნიშვნელოა, ამასთან, ქართველები ადგილობრივ, ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ კავკასიაში.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიება სცილდება საქართველოს ფარგლებს და სწავლობს კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიას“.

ევროპული და ამერიკული სამეცნიერო სკოლების გამოცდილების მიხედვით, გეოგრაფიული არქეოლოგიის მეთოდოლოგია და გამოცდილება საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენება. ქართველი მეცნიერები გარკვეულწილად იყენებენ გეოგრაფიული კვლევის მეთოდებს არქეოლოგიური კვლევის პროცესში, თუმცა პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ არსებულ გამოცდილებას და ამის გამო ამგვარ კვლევებს არ გააჩნიათ მეთოდოლოგიური მნიშვნელობა.

საქართველოში გეოგრაფიული არქეოლოგიის განვითარების პერსპექტივები რამდენიმე მომენტს უკავშირდება: 1. დეტალურადაა შესასწავლი ამ სამეცნიერო მიმართულების საერთაშორისო გამოცდილება; 2. იგი აქტიურად უნდა დაინერგოს სასწავლო პროცესში და 3. გააქტიურდეს ქართველ გეოგრაფთა და არქეოლოგთა სამეცნიერო კავშირები.

კვლევის პერსპექტივები

კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების ფონზე ძალზე აქტუალური ხდება როგორც პალეოგეოგრაფიული, ისე გეოგრაფიულ-არქეოლოგიური გამოკვლევები. მისი მეშვეობით იქნება შესაძლებელი, წარმოვაჩინოთ ისტორიულ წარსულში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმიანობის კავშირი ბუნებრივ გარემოსთან, ბუნებრივი რესურსების და გარემო ფაქტორების გავლენა საზოგადოების განვითარების პროცესებზე, კავშირი ბუნებრივი გა-

რემოს ცვლილებასა და საზოგადოებრივი აქტივობის ფორმებს შორის.

დასკვნები

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) არის ინტეგრაციული გეოგრაფიის ახალი მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა უახლოეს წარსულში და აქვს *მრავალდისციპლინარული* მიდგომა.

გეოგრაფიული არქეოლოგია აქტიურად ისწავლება მსოფლიოს არაერთ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც გეოგრაფიულ, ისე ისტორიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) საქართველოში პრაქტიკულად ჩასახვისა და განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფება და არსებითად გაიგივებულია პალეოგეოგრაფიასთან, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემეტრაძე ი., *იბერიის კულტურული ლანდშაფტები: ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში“*, ძვ.წ. პირველ-ახ.წ. მესამე საუკუნეებში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
2. ელიზბარაშვილი ნ., *გეოგრაფიის საფუძვლები*, თბ., „უნივერსალი“, 2010.
3. შშილდაძე მ., *იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეის კოორდინატთა სისტემის მიხედვით*, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015.
4. ჩხატარაშვილი გ., *სამხრეთ კავკასიის ფინალური ზედა პალეოლითის რეგიონალური თავისებურებანი (მუძუანას და საწურბლიას მღვიმეების მიხედვით)*, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
5. ჩხვიმიანი ჯ., *შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის საკითხები*, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020.
6. <http://dspace.gela.org.ge>.

მთიანი რეგიონების პრობლემატიკა და საერთაშორისო ორგანიზაციები

ანა ჩართოლანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბაკალავრი
Chartolani.ani@gmail.com*

ანოტაცია

მთიან ტერიტორიებს მსოფლიოს ხმელეთის ერთი მეხუთედი უკავია. მათა სისტემები ყველა კონტინენტზეა წარმოდგენილი, თუმცა მსოფლიოს მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან, თუ რას უწოდონ მაღალი მთები. ერთი ყველასთვის ცხადია, რომ ისინი სიმაღლითა და ფერდობთა დახრილობით უნდა ხასიათდებოდეს (გოიშვილი, 2004).

მთები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მდებარეობის, ფართობის, სიმაღლის, ოროგრაფიის, ბუნებრივი პირობების, სიმაღლებრივი სარტყლურობის, გეოპოლიტიკური ვითარების და სხვა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით (გოგოლაძე, 2020). აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ადგილობრივი ადათ-წესები მათ კიდევ უფრო გამოარჩევს სხვა ტერიტორიებისგან.

წარსულში სახელმწიფოების მმართველი ორგანოები ცდილობდნენ, განეციტარებინათ ბარი და კომფორტული ცხოვრების პირობები შეექმნათ იქ მცხოვრები ადამიანებისთვის. სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენდა ქვეყნების მშპ-ს წარმოების ძირითად ცენტრს, მთიანი ტერიტორიები კი რჩებოდა განვითარების გარეშე. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ასევე მცირე იყო მეცნიერების, ექსპერტებისა თუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების დაინტერესება მთიანი ტერიტორიებით.

მთიანი ტერიტორიების საკითხი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში 1992 წელს მოხვდა. რიო-დე-ჟანეიროში გაეროს მიერ გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე, რომლის თემსაც გარემო და განვითარება (UNCED) წარმოადგენდა, შეიმუშავეს პროგრამა (Agenda 21), რომლის მე-13 თავის მიხედვით, მთის მდგრადი განვითარება XXI საუკუნის პრიორიტეტად დასახელდა. სამოქმედო გეგმის მიღება კი UNCED-ის მიერ თითოეული ქვეყნის წარმომადგენლის ხმათა უმრავლესობით მოხდა (Price 1998; Stone 2002).

სტატიაში განხილულია მთიანი ტერიტორიების მნიშვნელობა, მათი გეოგრაფიული პრობლემატიკა და ის საერთაშორისო კონვენციები და ორგანიზაციები, რომელთა მიზანს მთიანი ტერიტორიების დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: მთების გეოგრაფიული პრობლემატიკა, მთის კანონი, საერთაშორისო კონვენციები, მონტოლოგია.

PROBLEMS OF MOUNTAINOUS REGIONS AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS

Ana Chartolani

*Bachelor Student of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chartolani.ani@gmail.com*

Annotation

Mountainous landscapes occupy about a fifth of Earth's entire terrestrial surface. Despite the fact, mountain systems are present on every continent, world scientists have not agreed on the definition of high mountains yet. One thing is clear, mountains criteria is based on altitude and slope in combination (Goishvili, 2004).

Mountains are differed by their location, area, elevation, orography, natural conditions, Altitudinal zonation, level of geopolitical development and other characteristics (Gogoladze, 2020).

In the past, governments were trying to develop lowlands and create comfortable living conditions for local people, because these territories were producing a major share of states' GDP. Mountain areas were often left without development. Before the XX century, mountains were a topic of interest to a relatively small number of scientists, development experts, and decision makers.

The United Nations Conference on Environment and Development (UNCED), held in Rio de Janeiro in 1992, presented a unique opportunity to move mountains onto the global stage, through the inclusion of a specific chapter in Agenda 21, the plan for action endorsed at UNCED by the Heads of State or Government of most of the world's nations (Price 1998; Stone 2002).

The article discusses the importance of mountain areas, their geographical problems and international conventions and organizations whose main objectives are promotion of protection and sustainable development of mountain areas.

Keywords: Geographical problems of mountains, mountain law, international conventions, Mountainology.

შესავალი

თემის აქტუალობა უკავშირდება მთებში არსებული რესურსების დიდ მნიშვნელობას კაცობრიობისთვის, ასევე იმ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც სამყაროში არსებული ბუნებრივი პროცესებისა თუ ტექნოგენური ჩარევების შედეგად ვლინდება და 21-ე საუკუნეებში მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

მთებს დედამიწის ზედაპირის 24 პროცენტი უჭირავს (Kapos et al. 2000) და წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის 12 პროცენტის საცხოვრებელ ადგილს (Huddleston et al. 2003). მთები მდიდარია არაერთი სახეობის ბუნებრივი რესურსით, რომელთაგან კაცობრიობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასმელი წყალი, ჰიდროენერგია, მზის და ქარის ენერგია, თერმული და მინერალური წყლები. მთები მსოფლიოში ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ბუნებრივი სრულყოფილებით და უნიკალობით გამოირჩევა. ამის გამო მთები მეცნიერებისთვის საუკეთესო „ექსპერიმენტული“ დაკვირვების ადგილია, სადაც თვალსაჩინოა ტექტონიკური, გეოდინამიური, კლიმატური და ბიოლოგიური მოვლენები და პროცესების გლობალური მიმდინარეობის თავისებურებანი (ელიზბარაშვილი, 2018).

მთების მნიშვნელობა ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული რიო-დე-ჟანეიროში 1992 წელს გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს მიერ გამართულ კონფერენციაზე შემუშავებული პროგრამის (Agenda 21). მე-13 თავის შესავალში ვკითხულობთ:

„მთები არის ძირითადი წყარო წყლის, ენერჯის, ბიოლოგიური და ისეთი რესურსებისა, როგორებიცაა მინერალები, ტყისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რეკრეაციული რესურსები. როგორც ძირითადი ეკოსისტემა, ის წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ეკოლოგიის კომპლექსს ჩვენს პლანეტაზე. მთიან გარემოს აქვს გლობალური ეკოსისტემების გადარჩენისთვის არსებითი მნიშვნელობა, ამასთან მთის ეკოსისტემები სწრაფად იცვლება, ექვემდებარება გამლიერებულ ნიადაგურ ეროზიას, მეწყერებს, ჰაბიტატებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების სწრაფ დაკარგვას. ადგილობრივი მოსახლეობისთვის საყოველთაო სიღარიბე და ტრადიციულ ჩვევათა დაკარგვაა დამახასიათებელი. მსოფლიოს მთიანი ტერიტორიები განიცდის გარემოს დეგრადაციას, აქედან გამომდინარე მთის რესურსების სწორი მენეჯმენტი და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას“ (United Nations Conference on Environment & Development, 1992).

კვლევის მეთოდები

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია.

შედეგები

1. მთების გეოგრაფიული პრობლემატიკა

ადამიანებისთვის მთა ოდითგანვე მშვიდ გარემოსა და უნიკალურ ბუნებასთან ასოცირდებოდა, თუმცა ბუნებაზე გახშირებული არაპირდაპირი თუ პირდაპირი ზემოქმედების შედეგად მთიანი ტერიტორიები ამ უნიკალურთვისებებს კარგავს.

მთებს უდიდეს მნიშვნელობასთან ერთად აქვს მრავალი პრობლემა, მაგალითად, მთებში ინტენსიურია სტიქიური ბუნებრივი პროცესები, რაც უკავშირდება: სეისმურ აქტივობას, რელიეფის ფორმებს (დახრილობას), წყლის ბრუნვის თავისებურებებს (მაღალ ინფილტრაციას), ამინდის სწრაფ ცვლილებას და სამეურნეო ზემოქმედების (მოვებას, გზების მშენებლობა, ტყეების ექსპლუატაცია) მასშტაბებს. ისინი გამოიხატება მეწყრული და დენიდაციური პროცესების, ღვარცოფების და თოვლის ზვავების სახით (ელიზბარაშვილი, 2018). ჩამოთვლილი პროცესები საცხოვრებლად რთულ პირობებს ქმნის, ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე და აფერხებს მთიანი რეგიონების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ სიდუხჭირეს და ცხოვრების დაბალ დონეს განაპირობებს. მთებში არსებული ძირითადი პრობლემებიდან განსაკუთრებით აქტუალურია:

ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დაკარგვა – მთების დამრეცი ფერდობები ძალიან სენსიტიურები არიან ეროზიის მიმართ, რაც იწვევს ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის დაკარგვას და შემდგომში განაპირობებს მცენარეული საფარის შემცირებას.

ომები და ეთნიკური კონფლიქტები ამცირებს მიწის რესურსებს და მათ პროდუქტიულობას. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-Food and Agriculture Organisation) მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტი საფრთხის წინაშე აყენებს მთის ეკოსისტემებს და ადგილობრივ მოსახლეობას, 1999 წელს მსოფლიოს ყველაზე მწვავე კონფლიქტები (27-დან 23 კონფლიქტი) სწორედ მთიან რეგიონებში დაფიქსირდა (www.fao.org).

წყლის მართვა – დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის 90 პროცენტზე მეტი წარმოდგენილია ყინულისა და სეზონურად მოსული თოვლის ერთობლიობით, რომლებიც წლის ცხელი და მშრალი პერიოდის განმავლობაში დნება და ასაზრდოებს მდინარეებს. ესაა მიზეზი, რატომაც მთები ცნობილია „წყლის კომპლექსის“ („water towers“) სახელწოდებით, რომლებიც მილიარდობით ადამიანისთვის მტკნარი წყლის ძირითადი წყაროა. მსოფლიო მოსახლეობის 1/3-ზე მეტი სასმელი, სარწყავი, ჰიდროენერგეტიკული, რეკრეაციული თუ სხვა მიზნებისთვის სწორედ მთიანი ტერიტორიებიდან მიღებულ წყალს იყენებს (The key issues of mountain areas, 2004).

ანთროპოგენული ზეწოლის შედეგად, ბოლო წლებში ძლიერ ჰიდროლოგიურ ცვლილებებს აქვს ადგილი. ხშირია მდინარეების დონის არაპროგნოზირებული ცვლილება, გახშირებული წყალდიდობები თუ წყალმოვარდნები. ჩვენ ვართ კრიტიკულ პერიოდში, როცა წყლის რესურსის დაცვა და სწორი მართვა დიდი აუცილებლობის წინაშეა, რადგან მთიანი ტერიტორიების წყლის რესურსი ისეთი გამოწვევების წინაშეა, როგორცაა ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლის დაბინძურება, წყალთან დაკავშირებული დაავადებები და სუფთა წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია (The key issues of mountain areas, 2004).

მცენარეული საფარი – ტყის და მცენარეული საფარის ეკოლოგიური მნიშვნელობა განუზომელია. ტყეს უდიდესი გარემოსდაცვითი

და გარემოს აღმდგენი ფუნქცია გააჩნია. მისი მეშვეობით მსოფლიოს არაერთ რეგიონში რეგულირდება სითბოცვლა და ტენზიონა, ფერხდება არიდინაციის და ეროზიული პროცესები, დაცულია ნიადაგის ნაყოფიერება და სხვა. ტყის რესურსებზე დიდი მოთხოვნილებაა მშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, ასევე დიდი გამოყენება აქვს სამკურნალო მცენარეულობას (ელიზბარაშვილი, 2018), მაგრამ რადგან ზაფხულის თბილი პერიოდი ბართან შედარებით მთაში უფრო მოკლეა, აქ მცენარეების ზრდის პერიოდიც მოკლეა, შესაბამისად, მცენარეული საფარის აღდგენა დიდ სირთულეებს უკავშირდება და ეს საკითხი მუდამ დიდ პრობლემად გვევლინება. მითუმეტეს, რომ ტყე და მცენარეული საფარი ახდენს მეწყერების, ღვარცოფების, თოვლის ზვავებისა და დენუდაციური პროცესების პრევენციას.

კლიმატის ცვლილება – კლიმატი გავლენას ახდენს ამინდის წარმოქმნის პროცესზე, ნალექების სიხშირესა და ჰიდროლოგიური პირობების ცვლილებაზე. ის ასევე მოქმედებს მცენარეული საფარისა და ბიომრავალფეროვნების რაოდენობასა და მის ხარისხზე. მთის სისტემები განსაკუთრებით სენსიტიურები არიან კლიმატის ცვლილების მიმართ: უმნიშვნელო ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი რეგიონალური ან უფრო ფართომასშტაბიანი ცვლილებები (The key issues of mountain areas, 2004).

კვლევების მიხედვით დგინდება, რომ მთებში არსებული ვითარების ზოგადი ტენდენცია ამგვარია – მცენარეები და ცხოველები ინაცვლებენ ზღვის დონიდან უფრო დიდ სიმაღლეებზე (Grabherr, Gottfried, and Pauli 1994; Gottfried, Pauli, and Grabherr 1998), ის სახეობა კი, რომელიც ვერ შეეგუება მაღალ მთაში არსებობას, ემუქრება გადაშენება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს მთიანი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია სურათიც და პროგნოზიც.

ტურიზმი – მთები ტურიზმის განვითარების პოტენციალით გამორჩეულია მთელ მსოფლიოში. აქ ადამიანს განუმეორებელი ბუნება, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, მინერალური და სასმელი წყლები, ეფექტური პეიზაჟები და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები იზიდავს (ელიზბარაშვილი, 2018).

მართალია, ბოლო წლების განმავლობაში (იგულისხმება პერიოდი პანდემიის დასაწყისამდე) ტურიზმი და რეკრეაცია გახდა ერთ-ერთი სწრაფად ზრდადი ინდუსტრია. თუმცა მთიანი რეგიონებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიუხედავად, ტექნოგენურმა საქმიანობამ – მაგალითად, სათხილამურო ტრასების და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობამ – სერიოზულად შეუცვალა სახე გარემოს და გამოიწვია მისი დეგრადაცია.

სამომავლო პროგნოზის სახით – ისეთი ფაქტორები, როგორცაა ყინულის საფარის მუდმივი დნობა, მზის ულტრაიისფერი გამოსხივების დონის ზრდა და ყინვიანი დღეების რაოდენობის შემცირება, უარყოფით ეფექტს მოახდენს ზამთრის სპორტზე. გლობალური დათბობის პირდაპირი მოქმედების გარდა, მოხდება შემოსავლის შემცირება იმ კურორტებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომლებიც ზამთრის სპორტზე არიან დამოკიდებული (Key issues for mountain areas, 2004).

2. საერთაშორისო კონვენციები და ორგანიზაციები

კარლტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეკ ივსი აღნიშნავს, რომ მთების განადგურების ძირითადი შედეგები მოიცავს სასმელი წყლის შემცირებას და ისეთი სტიქიების გამოწვევას, როგორებიცაა მეწყერი, ზვავი, ტერიტორიების დატბორვა და სხვა. ივსი ასევე აცხადებს, რომ რთულია მსოფლიოს ყველა რეგიონისთვის მორგებული მოდელის შექმნა, რომელიც დაიცავს მთიან რეგიონებს ამ ცვლილებებისგან, რადგან თითოეული მათგანს გააჩნია

განსხვავებული პრობლემა (Jack D. Ives, 2013), ამის მიუხედავად, მსოფლიოში მრავალი გარემოსდაცვითი პროგრამა მიმდინარეობს, უამრავი ორგანიზაცია ცდილობს, ხალხში აამაღლოს ცნობიერება მთიანი რეგიონების მნიშვნელობის შესახებ.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის აქტივობები, რომლებიც მთების მნიშვნელობის წარმოჩენისთვის განხორციელდა:



მთის საერთაშორისო წელი (2002 წ.) – მთების საჭიროების აღნიშვნა გახშირდა მას შემდეგ, რაც 2002

წელი დასახელდა საერთაშორისო „მთის წელიწადად“. სურსათისა და სოფლის მეურნეობის (FAO) და პარტნიორი ორგანიზაციების კოლაბორაციის შედეგად კი მოხდა „საერთაშორისო სამთო პარტნიორობის“ ჩამოყალიბება.

საერთაშორისო

მთის დღე – 11 დეკემბერი. ასევე 2002 წელს, შემუშავდა გაერო-ს რეზოლუცია 57/245, რომლითაც გენერალურმა ასამბლეამ 11 დეკემ-



ბერი მთის საერთაშორისო დღედ აღიარა და საზოგადოებას მოუწოდა მისი აღნიშვნისაკენ, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო მთის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა.

2006 წელს აღნიშნული საერთაშორისო მთის დღე აღინიშნა დევიზით „მთის მრავალფეროვნების მართვა უკეთესი მომავლისთვის“. ამის შემდეგ მთის პრობლემებით მეტად დაინტერესდნენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: გაერო, იუნესკო, მსოფლიო ბანკი და სხვა.

მსოფლიოს განვითარების პარალელურად, მთიანი რეგიონები საჭიროებს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელების, არამედ ეკონომიკური და სოციალური კე-

თილდღეობის უზრუნველყოფას. ამ მხრივ, გაერო დიდ სამსახურს უწევს მსგავს ტერიტორიებს, ის დღეღეობით აქტიურად მოუწოდებს და ასტიმულირებს სახელმწიფოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ჩართონ მთიანი რეგიონები სტრატეგიული განვითარების გეგმებში. ეს განსაკუთრებით ეხებათ განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

მთა და მთის პრობლემები კაცობრიობის მუდმივი მსჯელობის საგნად იქცა. მსჯელობისა და კვლევების მიხედვით დგინდება, რომ ჩვენს საუკუნეში უმთავრეს მნიშვნელობას იძენს ბუნების დაცვა, მთაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების, სამეურნეო ჩვევათა შენარჩუნება და მთასა და ბარის რეგიონებს შორის ბალანსის დამყარება, დეცენტრალიზაცია, მთაში მცირე მრეწველობის განვითარება, ტურიზმის ადაპტირებული ფორმის დანერგვა, კონტროლირებადი მიგრაცია, პოლიტიკურ-ეკონომიკური დეცენტრალიზაცია და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით შეიქმნა უამრავი საერთაშორისო კონვენცია და პროგრამა, რომლებიც მთიან ტერიტორიებზე და მათ მდგრად განვითარებაზე ზრუნავენ:

ალპების კონვენცია (Alpine Convention) მე-20 საუკუნის 90-იანებში იყო მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ტრანსნაციონალურ მთიან ტერიტორიას, მის გეოგრაფიულ მთლიანობაში.

ევროპის ცენტრში არსებული ეს მთი-



ნი ტერიტორია 14 მილიონზე მეტი ადამიანისთვის არის ბუნებრივი, კულტურული, საცხოვრებელი და ეკონომიკური გარემო, ის ასევე ტურისტების დიდ ნაკადს იღებს მთელი წლის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების ყოველი მხარე იზიარებს საერთო/მსგავსი გამოწვევების მქონე ტერიტორიას, ალპების კონვენციის მიზანია ამ ტერიტორიის დაცვა და მდგრადი განვითარება. მისი ძირითადი მიმართულებებია: კლიმატის ცვლილება, სივრცული დაგეგმარება, მწვანე ეკონომიკა, მოსახლეობა და კულტურა, ბიომრავალფეროვნება და ბუნების შენარჩუნება, მთის აგროკულტურა და სხვა.

ალპების კონვენცია ფარავს 190, 700 კმ² ფართობის მქონე გეოგრაფიულ არეალს, მისი პარტნიორი მხარეები არიან: ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლიხტენშტეინის სამთავრო, მონაკოს სამთავრო, სლოვენია, შვეიცარია და ევროკავშირი.

კონვენცია შეიცავს ალპური კონვენციის ოქმებს. ამ ოქმებში კი არის განსაზღვრული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას ალპების დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის. არსებული ოქმები მოიცავს მრავალ განსხვავებულ საკითხს, როგორცაა: სივრცითი დაგეგმარება და მდგრადი განვითარება, მთის მეურნეობა, ბუნების და ლანდშაფტების დაცვა, ტურიზმი, ენერგეტიკა და სხვა (www.alpconv.org).

კარპატების კონვენცია (The Carpathian Convention) არის სუბრეგიონული ხელშეკრულება კარპატების რეგიონის მდგრადი განვითარებისა და დაცვისთვის. ჩარჩო კონვენცია კარპატების დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ (კარპატების კონვენცია) მიღებულ და ხელმოწერილ იქნა შვიდი მხარის მიერ (ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და უკრაინა). კონვენცია ერთადერთია, რომელსაც მრავალსაფეხურიანი მმართველობის მექანიზმი გააჩნია და მთელ კარპატების რეგიონს მოიცავს. ის ალპების კონვენციის შემდეგ მეორე კონვენციაა მთელ მსოფლიოში, რომელსაც სუბრეგიონულ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული რეჟიმი გააჩნია მთების დაცვისა და მდგრადი განვითარების კუთხით.

კონვენციის ხელმომწერი მხარეების მიზანია ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომე-

ლიც გარანტირებულად დაიცავს და მდგრად



დად განავითარებს მოცემულ ტერიტორიას, რაც ითვალისწინებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ეკონომიკის გაძლიერებას, ბუნებრივი ღირებულებების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებას.

კარპატების კონვენცია მიჰყვება ორმხრივ „ჩარჩო კონვენცია-ოქმი“ მიდგომას: რადგან ჩარჩო კონვენცია შედგება მრავალი ძირითადი დებულებებისგან, მხარეებს შეუძლიათ კონვენციას შესთავაზონ ოქმი, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს. მოცემული ოქმის მიღება და ხელმოწერა კი ხდება მხარეთა კონფერენციაზე (Conference of the Parties (COP)). ამჟამად არსებული ოქმებია: ბიომრავალფეროვნება, ტყის მდგრადი მართვა, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი ტრანსპორტი, მდგრადი სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება (www.carpathianconvention.org).

მთის ბიოსფერული ნაკრძალები (Mountain Biosphere Reserves). იუნესკომ (The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) 1971 წელს დააფუძნა მთავრობათმორისი სამეცნიერო პროგრამა – ადამიანი და ბიოსფერო (the Man and the Biosphere – MAB), რომელიც მხარს უჭერს ბუნებრივი რესურსების შენახვისა და მათი რაციონალური გამოყენების ინტერდისციპლინარულ მიდგომებს. პროგრამის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი არის იუნესკოს მიერ ბიოსფერული ნაკრძალების შექმნა, სადაც ხორციელდება კონსერვაციისა და მდგრადობის სტრატეგიები.

მთები წარმოადგენენ MAB პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ფოკუსს. ამის დასტური 1973 წელს გამოცემული სპეციალური პროგრამაა, რომლის ამოცანაც მთებისა და ტუნდრის ეკოსისტემაზე ადამიანის ზემოქმედების შესწავლაა



(MAB-6). ასევე იუნესკო ხელს უწყობს მთებთან დაკავშირებულ კვლევით პროგრამებს, კონფერენციებს, გამოცემებს და ორი უნივერსიტეტის კათედრას, რომლებიც მთების მდგრად განვითარებაზე მუშაობენ (University of Highlands and Islands, Scotland; International University of Kyrgyzstan, Kyrgyzstan).

MAB პროგრამამ ბოლო დროის განმავლობაში დაიწყო საუბარი მსოფლიოში გარემოს ცვლილებებზე, განსაკუთრებით ადამიანების ჩარევით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებაზე. მთიან ტერიტორიებზე არსებული ნაკრძალები იყენებს კვლევებისა და დაკვირვებებისთვის, რათა მოხდეს იმ ზეგავლენების შეფასება, რომლებსაც განიცდის მთის ეკოსისტემები. ნაკრძალების დაკვირვების შედეგად კი ხდება დაგროვილი ცოდნის გამოყენება მსოფლიო პრობლემების გადასაჭრელად (Sustainable Mountain Development Green Economy and Institutions, 2012).

ევრომონტანა (Euromontana) არის ევროპის მულტიინტერპორული ასოციაცია, რომელიც მთიანი ტერიტორიების კოოპერაციასა და განვითარებაზე ზრუნავს. ის აერთიანებს რეგიონალური და ეროვნული დონის ორგანიზაციებს მთელი ევროპის მასშტაბით. მათ შორის რეგიონალური განვითარების და გარემოსდაცვით სააგენტოებს, სოფლის-მეურნეობის და სატყეო მეურნეობის სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებს და კვლევით ინსტიტუტებს.

ევრომონტანას მისია არის, რომ ხელი შეუწყოს მთიან ტერიტორიაზე ცხოვრების ინტეგრირებულ და მდგრად განვითარებას, ამას-



თანავე მისი ხარისხის ზრდას. ამის მისაღწევად,

ევრომონტანა ხელს უწყობს ისეთი სემინარების და კონფერენციების ორგანიზებას, სადაც მოხდება მთიან ტერიტორიებს შორის გამოცდილების გაზიარება. ასევე ევრომონტანა აქტიურად მონაწილეობს ევროპულ პროექტებში და თანამშრომლობს სხვადასხვა ინსტიტუტთან

მთიანი ტერიტორიების საკითხებთან დაკავშირებით (www.euromontana.org).

ალპური სივრცის პროგრამა (The Alpine Space programme) არის ევროპული ტრანსნაციონალური კოოპერაციის პროგრამა ალპების რეგიონისთვის. ის უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კოოპერაციის სტრუქტურას რამდენიმე ალპურ ქვეყანაში.

პროგრამა დაფინანსებულია ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის (ERDF) მიერ, ასევე თანადაფინანსება ხდება პარტნიორი შტატების საჯარო და კერძო სექტორების მხრიდან (www.alpine-space.eu).



მეცნიერული შეხედულებები და სამეცნიერო ჟურნალები – ძირითადი საშუალება, რომლის დახმარებითაც ხდება ახალი ცოდნის გავრცელება მსოფლიო მოსახლეობაში. მათ შორისაა:

- **ალპების კვლევის ჟურნალი (The Revue de Géographie Alpine / Journal of Alpine Research)** 1913 წელს შეიქმნა ფრანგი გეოგრაფის რაულ ბლანშარდის (Raoul Blanchard) მიერ. 1968 წლიდან ასოციაცია ალპების გეოგრაფიის (Association of Alpine Geography) მიერ იმართება. ჟურნალი არის საერთაშორისო, მრავალდისციპლინალური და ორენოვანი (ფრანგულ-ინგლისური), რომელიც აქვეყნებს იმ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც ეხება ევროპის ფარგლებში არსებულ რეგიონულ და გარემოსდაცვით პრობლემებს (Sustainable Mountain Development Green Economy and Institutions, 2012).
- **მთის კვლევა და განვითარება (Mountain Research and Development)** დაფუძნდა 1981 წელს ჯეკ ივისის (Jack Ives) მიერ. ჟურნალი წარმოადგენდა პიონერულ ძალას მსოფლიოს მდგრადი განვითარების პროგრამაში. გაძლიერებულმა კონცეფციამ მოგვიანებით ერთიანობაში მოიყვანა კვლევა და

განვითარება. 2009 წლიდან კი ჟურნალი წარმოადგენს რიო 2012-სთვის სრულად განხილულ საბოლოო პროექტს და მოიცავს 120 ქვეყნის აუდიტორიას. საერთაშორისო სარედაქციო საბჭო ჟურნალის მადალი ხარისხის სტატიებს უზრუნველყოფს, შემგომში ისინი ციტირებულია ყველაზე რეიტინგული ჟურნალების მიერ (Sustainable Mountain Development Green Economy and Institutions, 2012).

- **ჟურნალი მთის მეცნიერება (The Journal of Mountain Science)** დაფუძნდა 2004 წელს, ის საერთაშორისო ინგლისურენოვანი ჟურნალია მთების მეცნიერებების შესახებ. ბეჭდავს კვლევით და ტექნიკურ ნაშრომებს მთების გარემოს, ეკოლოგიის, საფრთხეების, რესურსებისა და მთის განვითარების შესახებ. ჟურნალი, რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოდის, იმართება ჩინეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ, მისი სარედაქციო საბჭო და რეცენზენტები წარმოადგენენ ხუთი კონტინენტის თვრამეტ ქვეყანას (Sustainable Mountain Development Green Economy and Institutions, 2012).

საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროგრამების მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დონეზე სწორი პოლიტიკის განხორციელებას, ამ შემთხვევაში განვიხილავთ **მთის კანონის საჭიროებას** – მთის კანონის შექმნა ხდება სახელმწიფო დონეზე მთის განვითარების ხელშეწყობისთვის, რაშიც სრულად ერთვება ადგილობრივი მოსახლეობა. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მთაში მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტად ცდილობს ბუნების დაცვას და მის მოვლას, რაც უფრო მეტად აქვთ ტერიტორიებზე და იქ არსებულ რესურსებზე საკუთრების ან კონტროლის განცდა.

მაგალითად მოვიყვანოთ ნეპალი, სადაც მოსახლეობის 80%-ზე მეტი მთის სოფლის ტი-

პის დასახლებაში ცხოვრობს და თითქმის სრულიად არიან დამოკიდებული სოფლისა და სატყეო მეურნეობაზე, როგორც მდგრად საარსებო წყაროზე. დაახლოებით 50 წლის წინ მათ არანაირი მოტივაცია არ ჰქონდათ, რომ დაეცვათ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე. თუმცა მას შემდეგ, რაც სატყეო მეურნეობის განვითარება სატყეო სექტორის გენერალური გეგმის (Master Plan for the Forestry Sector, 1989) მიხედვით დაიწყო, შეიცვალა მოსახლეობის უფლებები ტყეებთან მიმართებით, ამან გამოიწვია მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა. ტყის დეცენტრალიზებული მმართველობის ძირითადი ეტაპები მოიცავდა ტყის აქტს (The Forest Act-1993), რეგულაციას (Regulation-1995) და მრავალ სხვა სახელმძღვანელოს. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ხე-ტყის რესურსის მართვის, დაცვის და გამოყენების უფლებას აძლევდა მათზე მორგებული მმართველობის რეჟიმის მიხედვით. მას შემდეგ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტყეების მდგრადობა არსებითად უმჯობესდება და მდგრადი განვითარების კარგ მაგალითს წარმოადგენს (FOREST TENURE POLICIES IN NEPAL: STATUS, GAPS AND WAY FORWARD, 2016).

კვლევები გვიჩვენებს – იმის მიუხედავად, რომ მთის კანონს უამრავი დადებითი შედეგი მოაქვს, ქვეყნების უმეტესობა არ იზიარებს სპეციფიური პოლიტიკის და კანონების ამოქმედების იდეას, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემდა, ეფექტურად ემართათ მთის ეკოსისტემები.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) უახლესი ანგარიშის თანახმად (Mountain poverty poses unique problems, requires tailor-made solutions, 2003), მთებმა მხოლოდ ბოლო პერიოდში მიიქცია პოლიტიკოსების და ეკონომისტების ყურადღება. მთის კანონი კი ჯერ კიდევ „პიონერია“, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციფიკური ინსტრუმენტი მუშაობს გამართუ-

ლად. ამჟამად რამდენიმე ქვეყანა – საფრანგეთი, საქართველო, იტალია, შვეიცარია და უკრაინა არიან მაგალითები, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს სპეციფიკური, მთის განვითარებაზე მორგებული ინსტრუმენტები სახელმწიფოში, სხვა ქვეყნები კი კვლავ კანონმდებლობის დონეზე მათი ჩამოყალიბების პროცესში არიან.

კვლევის პერსპექტივები

მთიან რეგიონებში არსებული პრობლემების კვლევის პერსპექტივა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი მხარეა დაინტერესებული ამავე ტერიტორიების განვითარებით. რადგან 21-ე საუკუნეში მთის მდგრადი განვითარება მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან მიმართულებადაა მიჩნეული, ამიტომაც მათი პრობლემატიკის კვლევაც აქტიურად მიმდინარეობს.

მთის მცხოვრებთა მდგრადი არსებობა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნება-დაზოგვასთან, წარმოადგენს მონტოლოგიის შესწავლის საგანს. მათი მოგვარება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რაც გულისხმობს ერთობლივ კვლევას მეცნიერების ისეთი სხვადასხვა დარგისა, როგორცაა: გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, კულტურული, ბუნებათსარგებლობის და სხვა (გოიშვილი, 2004). არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის ფონზე, მეცნიერების ამ მიმართულების და ხელისუფლების გაერთიანებული ძალებით მუშაობა წარმოადგენს უნიკალურ შანსს, რათა მოხდეს არა მხოლოდ პრობლემების მოგვარება, არამედ შემდგომში მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოში განხილვის პროცესშია „კანონი კავკასიონის შესახებ“, რომელიც დაფუძნებულია ალპების და კარპატების ძირითად პოსტულატებზე. კანონის მიხედვით, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მიმდებარე ტერიტო-

რიები, ადმინისტრაციული ერთეულები და აქ მცხოვრები მოსახლეობა კიდევ უფრო მეტი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით ისარგებლებენ, რაც ამ რეგიონების მდგრადი განვითარების არსებითი წინაპირობა შეიძლება გახდეს. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება კი ქართული გეოგრაფიული სკოლის არსებითი გამოწვევაა.

დასკვნები

მთები და მთიანი რეგიონები გამორჩეული ტერიტორიებია მთელ მსოფლიოში მათი რესურსებით, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალით და უნიკალურობით. მართალია, მთებში ვაწყდებით უამრავ პრობლემას, როგორცაა – ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური თუ სხვა, თუმცა მსოფლიოში მთების მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად იზრდება მოცემული პრობლემებით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაც მათ მოგვარებაში – იგულისხმება, როგორც ცალკეული სახელმწიფოების მმართველი ორგანოები, ისე საერთაშორისო კონვენციები თუ პროგრამები.

XX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, მთიან რეგიონებში არსებული პრობლემების შესწავლასა და მოგვარებაში მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერთო, შეიქმნა საერთაშორისო კონვენციები და ამოქმედდა პროგრამები, რომლებიც მთის ეკოსისტემების დაცვასა და მდგრად განვითარებაზე ზრუნავენ. ასევე ტარდება მრავალი კვლევა და გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალები, რომლებიც ძირითად აქცენტს მთებზე, მათ მნიშვნელობასა და განვითარების პერსპექტივებზე აკეთებენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი იძლევა იმედს, რომ არსებული მდგომარეობის გამოსწორება და პრობლემების მოგვარებაში სამეცნიერო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია ჩართული, რომელთა აქტიური მოქმედებაც აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარაშვილი ნ., მელაძე გ., მეესენი ჰეინო, ხოცვიანი აშოტ, კოლერი ტომას, მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის), გამომც. „დანი“, გვ. 10-11, 15-16, თბ., 2018.
2. გოგოლაძე ს., მთიანი ტერიტორიების გეოგრაფიული სპეციფიკა და ტურისტულ-რეკრეაციული გამოყენების თავისებურებები, გვ. 1, 2020.
3. გოიშვილი ბ. გოგიტიძე ა., მონტოლოგია (მთათმცოდნეობა), გამომც. „ინოვაცია“, გვ. 11, თბ., 2004.
4. Martin F. Price, Libor F. Jansky, Andrei A. Iatsenia – Key issues for mountain areas, United Nations University, 2004, pg-1, 24-25.
5. Jack D. Ives – SUSTAINABLE MOUNTAIN DEVELOPMENT Getting the facts right, Publisher of Himalayan Journal of Sciences, 2013, pg-18.
6. United Nations Conference on Environment & Development – Agenda 21, Rio de Janeiro, 1992, Chapter 13, pg-119.
7. Thomas Kohler (CDE), Daniel Maselli (SDC) – Sustainable Mountain Development Green Economy and Institutions, 2012, pg-33.
8. www.Fao.org
9. www.alpconv.org
10. www.carpathianconvention.org
11. www.euromontana.org
12. www.alpine-space.eu

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი
დამკაბადონებელი

რუსუდან მიქენაია

მარინა ჭყონია

მარიამ ებრალიძე

ლალი კურდღელაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tshavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge